იგორ გიორგაძე კლიპში გადაიღეს A2

ნათელაშვილი ბოიკოტზე მყარად დგას A3

მსოფლიო 2003 წელს A8

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

ოთხშაბათი, 31 დეკემბერი, 2003 წელი. №337 (549)

ფასი 50 თეთრი

# ხვალ ახალი წელია

B2



წელს ამ მოედანზე დაიწყო ახალი ერა საქართველოსთვის.

## პარლამენტმა, შესაძლოა, ქვეყანა 100 მილიონი ლარით აზარალოს

*სარგებლობისა და სიკეთის მოტანას ვინ ჩივის, საქართველოს პარლამენტმა, შესაძლოა, უზარმაზარ ზარალში ჩააგდოს ქვეყანა. ეს მაშინ მოხდება, თუ დღეს უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში 118 დეპუტატი არ შეიკრიბება და საგადასახადო კანონმდებლობაში ცვლილებებს არ შეიტანს. ამ შემთხვევაში, 2004 წელს 100 მილიონი ლარის ოდენობის დამატებითი ხარჯები იქნება გასაწევი. შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით, ფინანსთა მინისტრი შეშფოთებას ვერ მალავს: "ბიუჯეტს უზარმაზარი დამატებითი ვალდებულებები მიემატება, რასაც ის ნამდვილად ვერ მოერევა. შედეგად, დამდეგი წელი კიდევ ერთი წარუმატებელი წელიწადი იქნება ქვეყნისთვის და სახელმწიფოს დალაგება სამომავლოდ გადაიდება," - აცხადებს ზურაბ ნოღაიდელი.*

გიორგი ასანიშვილი

პარლამენტის მოქმედმა თავმჯდომარემ გუშინ ცდა არ დააკლო, რომ საქმე ასეთ ცაიტნოტამდე არ მისულიყო: სიის ამოკითხვით, პარლამენტარებთან რეკვით და მრავალგზის მოწოდებებით, გიგი წერეთელი მთელი დღის განმავლობაში სხდომათა დარბაზში უხმობდა კოლეგებს. ოღონდ კვორუმი შეკრებილიყო და სპიკერის მოვალეობის შემსრულებელი ყველაფერზე თანახმა იყო, მათ შორის - დეპუტატების ცდუნებაზეც.

**"დარბაზში შემოსული ასმეთვრამეტე პარლამენტარისთვის სერიოზული პრიზია დაწესებული,"** - საახალწლო საჩუქარს "ჰპირდებოდა" წერეთელი იღბლიან დეპუტატს.

ამანაც არ გაჭრა: სატყუარაზე არავინ წამოეგო და კვორუმი აუხდენელ ოცნებად დარჩა. ისე, სარეგისტრაციო ტაბლომ სხდომათა დარბაზში 123 დეპუტატის ყოფნა ერთხელ კი დააფიქსირა, მაგრამ ეს ციფრი იმდენად შეუსაბამო იყო რეალობასთან, რომ იგი სერიოზულად არავინ მიიღო, მათ შორის, არც სხდომის წამყვანმა.

თუმცა, "ახალი მემარჯვენეების" ლიდერმა დავით გამყრელიძემ, ყოველი შემთხვევისთვის, თავი მაინც დაიზღვია. მან შეახსენა დეპუტატებს, რომ სხვისი პულტებით სარგებლობას კანონი კრძალავს და ასეთი გზით კანონის მიღება კონსტიტუციის დარღვევა იქნებოდა.

**"ჩემო დათო, რომ იცოდე, ისედაც კონსტიტუციის დარღვევაა, ამ დარბაზში რომ ზიხარ,"** - რეალობასთან მიაახლოვა გამყრელიძე მისმა სეხნიამ, დავით სალარიძემ.

"ახალი მემარჯვენეების" ხელმძღვანელის გარდა, კანონიერების სადარაჯოზე დგომა გუშინ ზვიად მუკბანიანმაც მოინდომა. მან რამდენჯერმე "წაკბინა" ნოემბრის რევოლუციას, მაგრამ საპასუხოდ ურჩიეს, "იაზვობისთვის" თავი დაენებებინა.

გაგრძელება A3 გვერდზე

## მოქალაქის სტატუსით მოსაუბრე მომავალი მთავარსარდალი

ვერიკო თევზაძე

"არ დავუშვებ იმას, რომ ქართულ ჯარში გაგრძელდეს კორუფცია და განუკითხაობა, რომელიც დღეს, სამწუხაროდ, არსებობს... არ დავუშვებ იმას, რომ საქართველოში იყოს ორი უმაღლესი მთავარსარდალი. აჭარაში გამოცხადდა, რომ ავტონომიის მეთაური არის ადგილობრივი მთავარსარდალი. ქვეყანაში ერთადერთი უმაღლესი მთავარსარდალი იარსებებს და ეს იქნება საქართველოს პრეზიდენტი. აჭარის ტერიტორიაზე ნებისმიერი შეიარაღებული პირი დაემორჩილება 4 იანვარს არჩეულ პრეზიდენტს. მე ვფიქრობ, რომ ამას ასლან აბაშიძე გაგებით შეხვდება..." – გუშინ პრეზიდენტობის კანდიდატი მიხეილ სააკაშვილი თავდაცვის სამინისტროს გაფართოებულ კოლეგიას დახურულ კარს მიღმა ესაუბრა.

გაგრძელება A2 გვერდზე

## "2004 წელს ქუთაისელებთან ერთად შევხვდები"

სოფო ბუკია

*იმერეთის ახალი გუბერნატორი დავით მუმლაძე ამბობს, რომ მისთვის ძალიან მნიშვნელოვანია მოსახლეობის მხარდაჭერა, რომლის მოპოვებას ახალი გუბერნატორი საკადრო ცვლილებებით, პოლიციური სტრუქტურების სერიოზული გადახალისებითა და საარჩევნო უბნებზე შეშის ღუმელების დადგმით აპირებს.*

**- ამბობენ, მუმლაძემ თანამდებობაზე არავინ დატოვაო...**

- ნაწილობრივ, მართალია. ჩემი ამ თანამდებობაზე დანიშვნის შემდეგ, პირველ რიგში, აქცენტი კეთდება საკადრო პოლიტიკაზე. გადაყენებულია უკლებლივ ყველა გამგებელი, დავნიშნეთ ახალი გამგებლები.

ჩატარდა ანტიკრიმინალური ღონისძიებები. დაუნდობელი ბრძოლა გამოვუცხადეთ თანამდებობებზე მოკალათებულ ნარკომანებს. ერთ მაგალითს გეტყვით: რამდენიმე დღის წინ, სწორედ ნარკოტიკების მოხმარების გამო, გავათავისუფლეთ ქუთაისის ვიცე-მერი. მაქვს კონკრეტული მოთხოვნა, ასეთი ადამიანების მიმართ განხორციელდეს კანონით გათვალისწინებული ღონისძიებები.

**- თქვენი ქართლელი კოლეგა ირაკლი ოქრუაშვილი საკმაოდ ეფექტურად შეუდგა კრიმინალებთან ბრძოლას, რა ხდება ამ მხრივ იმერეთის რეგიონში?**

- პოლიციის სტრუქტურებში ძალიან მნიშვნელოვანი საკადრო ცვლილებები განხორციელდა, რაც შემდგომაც გაგრძელდება. შეიცვალნენ ხელმძღვანელი მუშაკები, ქალაქის სამმართველოს უფროსი, სამხარეო სამმართველოს უფროსი. როგორც გითხარით, ნარკოტიკების მოხმარების გამო დაკავებულია ქუთაისის ვიცე-მერი, რომელსაც ძალიან ბევრი მიჰყვება უკან.

გაგრძელება A3 გვერდზე

## სახელმწიფო საწარმოების მართვა მომავალი ხელისუფლების თავსატეხად რჩება

*"რკინიგზის" ირგვლივ ატეხილი აჟიოტაჟი საკმაოდ სერიოზულ სიგნალად იქცა დღევანდელი ხელისუფლების ოპონენტებისთვის. დროებითმა ხელისუფლებამ ფეხი სწორედ იმ მექანიზმს "წამოჰკრა", რომელიც თავად მოიფიქრა და შემოიტანა სახელმწიფო საწარმოთა მართვის სისტემაში. 10-15 კაციანი სამეთვალყურეო საბჭოს დაარსება და საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების გამჭვირვალობა უნდა ქცეულიყო იმ "სამოდელო" მართვის მექანიზმად, რომელსაც უკვე სხვა სახელმწიფო საწარმოებზეც გაავრცელებდნენ. ჯერ კიდევ რკინიგზის საბჭოს შექმნის პირველი დღიდანვე მოხაზული იყო საქართველოს მთავრობაში "პირველი რიგის" იმ საწარმოთა ნუსხა, რომელთაც უახლოეს პერიოდში "რეფორმირებული მმართველობის სტილის" გამოცდა მოუწევდათ.*

თამარ ხორბალაძე

"ფოთის პორტი", შ.პ.ს "ტელეკომი", "მადნეული", "საქაერონავიგაცია", "ელექტროკავშირი", "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა", "საქრუსენერგო", "საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია", "საქნავთობი" და "გაზის საერთაშორისო კორპორაცია" - ასეთია იმ საწარმოების ჩამონათვალი, რომელთა მართვის სტილიც უახლოეს პერიოდში უნდა შეიცვალოს.

გაგრძელება A6 გვერდზე

### პოლიტიკა

**არჩევნების ჩატარებას უხელფასობა და უპენსიობა ხელს შეუშლის**

სააკაშვილის საარჩევნო შტაბის უფროსის ორი მოადგილე ამტკიცებს, რომ ახალი წელი მათთვის და მათი მხარდამჭერებისათვის 4 იანვრის შემდეგ დაიწყება.

A3

### ეკონომიკა

**საახალწლოდ რეგიონებს შეძლებისდაგვარად გაანათებენ**

საახალწლოდ საქართველოს "გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია" (გსეკ) რუსეთიდან 150 მეგავატი სიმძლავრის ელექტროენერგიის იმპორტს იწყებს. ხელშეკრულების თანახმად, იმპორტი 29 დეკემბერს უნდა დაწყებულიყო, მაგრამ ეს პროცესი 30 დეკემბრის საღამომდე შეფერხდა.

A6

### საზოგადოება

**ნახეთ, როგორ მღერის ამირან გამყრელიძე**

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში გუშინ ტრადიციულად ტკბილი, წინასაახალწლო ბრიფინგი ჩატარდა. სამინისტროს ხელმძღვანელები წლის ბოლო შეხვედრას მედიასთან შამპანურითა და ნამცხვრებით ასრულებენ.

A6

### სამართალი

**მერაბ ჟორდანიას ახლად აღმოჩენილმა გარემოებამ ვერ უშველა**

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია წინასწარი პატიმრობიდან ვერც ახლად აყვანილმა ადვოკატმა გაათავისუფლა.

A7

### ამინდი

31 დეკემბერი

| | |
|---|---|
| თბილისი | 8 |
| ქუთაისი | 11 |
| ბათუმი | 13 |
| სოხუმი | 11 |
| ფოთი | 13 |
| თელავი | 8 |
| ზუგდიდი | 12 |
| გორი | 6 |

1 იანვარი

| | |
|---|---|
| თბილისი | 7 |
| ქუთაისი | 12 |
| ბათუმი | 14 |
| სოხუმი | 11 |
| ფოთი | 13 |
| თელავი | 7 |
| ზუგდიდი | 12 |
| გორი | 6 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.0750 |
| ევრო | 2.5920 |
| გირვანქა სტერლ. | 3.6819 |
| რუბლი | 0.0704 |

A2 პოლიტიკა A3 პოლიტიკა A4 რეკლამა A5 რეკლამა A6 ამბები A7 სამართალი A8 უცხოეთი

B2 რევიუ B3 რევიუ B4 სპორტი B5 სპორტი B6 ისტორია B7 სხვადასხვა B8 სხვადასხვა

# იგორ გიორგაძე კლიპში გადაიღეს



*ამერიკელი "პიარშიკები", რომლებიც გიორგაძის გაპრეზიდენტებისთვის მუშაობენ.*

*საქართველოს უშიშროების ექსმინისტრი ამომრჩეველს ამერიკელი იმიჯმეიკერების დახმარებითა და ვაშინგტონში დამზადებული სარეკლამო რგოლებით ესაუბრება. იმის მიუხედავად, რომ იგორ გიორგაძე საპრეზიდენტო არჩევნებს, დიდი ხანია, გამოეთიშა, მისი ამერიკელი კონსულტანტები იგორ გიორგაძეს პრეზიდენტობისთვის ამზადებენ.*

თამარ ასათიანი

სასტუმრო "შერატონ-მეტეხი პალასში" იგორ გიორგაძის მხარდამჭერებმა და ექს-მინისტრის იმიჯზე მომუშავე ამერიკული საკონსულტაციო ჯგუფ "Witman inside strategies"-ის წარმომადგენლებმა გიორგაძის წინასაარჩევნო კლიპების პრეზენტაცია მოაწყვეს.

დარბაზში იმყოფებოდა პრეზიდენტობის ორი კანდიდატიც – ზაზა სიხარულიძე და ზურაბ ქელეხსაშვილი. სასტუმროში გამოჩნდა ქალბატონი ირინა სარიშვილიც, თუმცა პრეზენტაციას რატომღაც არ დასწრებია, ჟურნალისტების წინაშე კი მხოლოდ ის განაცხადა, რომ **"მხარს უჭერს ყველა იმ ძალას, რომელიც მოქმედი ხელისუფლების ალტერნატივად უნდა ჩამოყალიბდეს."**

**"იგორ გოორგაძე უნდა დაბრუნდეს პოლიტიკურ სივრცეში, დღევანდელი პოლიტიკური ლიდერებისადმი ნდობა არ არის და ძალიან მალე საქართველოში დარწმუნდებიან, რომ ახალი პრეზიდენტი ვერ გაართმევს თავს იმ დაპირებებს, რომელიც მან მოსახლეობას მისცა. ეს კი, ჩვენი ვარაუდით, 10-12 იანვარს მოხდება,"** – ეს ამერიკელი გრეგ სტივენსის მოსაზრებაა, რომელიც იგორ გიორგაძის მხარდამჭერი ამერიკული პიარ-ჯგუფის წარმომადგენელია და რომელსაც ღრმად სწამს, რომ საქართველოს მოსახლეობა რვა დღეში აიცრუებს გულს ახალ ხელისუფლებაზე(?!).

ერთი სიტყვით, იგორ გიორგაძისაგან გმირის შექმნის საქმეში ამერიკული პიარ-ჯგუფის სპეციალისტები სულ უფრო აქტიურად ერთვებიან.

საკმაოდ რთულია იმის თქმა, თუ ვინ აფინანსებს ასეთ ძვირადღირებულ პიარ-კამპანიას. მით უფრო, რომ, თუკი იმავე გრეგ სტივენსს დავუჯერებთ, პროფესიონალ პოლიტტექნოლოგებს საკმაოდ სერიოზული შეკვეთა აქვთ მიღებული, რომელიც გიორგაძის გაპრეზიდენტებით უნდა დასრულდეს.

საქართველოში ჩამოსული სტივენსი უკვე დარწმუნებულია, რომ სრულად ფლობს ინფორმაციას საქართველოში არსებული პოლიტიკური რეალობის თაობაზე და აცხადებს: **"შესაძლოა, დღეს ბევრი საკმაოდ სკეპტიკურად არის განწყობილი ჩემი განცხადებების მიმართ, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ის, რასაც მე ვამბობ, მალე რეალობად იქცევა."**

ამასთან, მზად არის ის სარეკლამო რგოლებიც, რომელიც ხალხს იგორ გიორგაძის მხარდაჭერისკენ მოუწოდებს და რომელიც, სიმართლე რომ ითქვას, საკმაოდ ბანალურად გამოიყურება. თუმცა, იგორ გიორგაძის მხარდამჭერები და ამერიკელი კონსულტანტები ამ კლიპებით კმაყოფილები არიან. მით უფრო, **"რომ მონტაჟი და ტექსტზე მუშაობა ვაშინგტონში მიმდინარეობდა."**

პრეზენტაციის დასრულების შემდგომ ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, რომ ამერიკელი სპეციალისტები ან სრულად არ ფლობენ ინფორმაციას ქვეყანაში არსებულ სიტუაციასთან დაკავშირებით, ან, უბრალოდ, შეცდომაში არიან შეყვანილები იმ სოციოლოგიური კვლევებით, რომელსაც გიორგაძის მხარდამჭერები საკმაოდ ხშირად უფრიალებენ მედიის წარმომადგენლებს ცხვირწინ და რომლის თანახმადაც, იგორ გიორგაძეს საქართველოს მოსახლეობის 80 პროცენტი უჭერს მხარს.

თუმცა, გუშინ ერთი, საკმაოდ დამაფიქრებელი მესიჯი ამერიკელებმა ქართველებს მაინც გამოუგზავნეს. მართალია, სტივენსს არ დაუკონკრეტებია, თუ როგორ ან რატომ უნდა გააწბილოს ქართველი ამომრჩეველი მიხეილ სააკაშვილმა სწორედ 10 ან 12 იანვარს, მაგრამ ისიც ცხადია, რომ ეს თარიღი სიტყვის მასალად არ დასახელებულა. აქედან გამომდინარე, შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ არ არის გამორიცხული, იგორ გიორგაძის მხარდამჭერები იანვრის დასაწყისში რაღაც სერიოზული სვლებისთვის ემზადებოდნენ.

და ბოლოს: გუშინ იგორ გიორგაძის ბიძაშვილმა იგორ გიორგაძის მიმართვა წაიკითხა. ექსმინისტრი მოსახლეობას მოუწოდებს არჩევნებზე მისვლას.

ჩვენ შევეცადეთ გაგვერკვია, თუ ვის უნდა მისცენ ხმა ამ მიმართვის ადრესატებმა, რადგან თავად გიორგაძე კენჭს არ იყრის, მაგრამ ამ კითხვაზე პასუხის გაცემა გიორგაძის ქართველმა და უცხოელმა მხარდამჭერებმა რატომღაც არ ისურვეს.

# მოქალაქის სტატუსით მოსაუბრე მომავალი მთავარსარდალი

პირველი გვერდიდან

კონფიდენციალური შეხვედრის შემდეგ სააკაშვილმა ბრიფინგი გამართა. პრეზიდენტობის კანდიდატის საუბრის ტონი მკაცრი და კატეგორიული იყო. სანდო წყაროს ცნობით, მიხეილ სააკაშვილი დახურულ შეხვედრაზე კიდევ უფრო მეტი სიმკაცრით გამოირჩეოდა და დროდადრო ხმას უწევდა.

სააკაშვილმა მასმედიას მოახსენა, რომ იგი პარლამენტში შეიტანს კანონპროექტს, რომელიც საქართველოს ყველა მოქალაქეს დაავალდებულებს, პირნათლად მოიხადოს ვალი სამხედრო სამსახურში: **"ვერც ერთი ადამიანი ვერ გახდება მინისტრი, თუ მისი გასაწვევი ასაკის შვილი არ წარმოადგენს ცნობას, რომ შეიარაღებული ძალების წინაშე ვალი მოიხადა... ვერავინ გახდება პარლამენტარი, თუ ჯარში არ იქნება გაწვეული."**

სააკაშვილის განცხადების თანახმად, საქართველოს მარტიდან თავდაცვის მინისტრად ეყოლება სამოქალაქო პირი და გენერალური შტაბის ახალი ხელმძღვანელი, თავისი გაფართოებული ფუნქციებით. **"ვინ იქნება თავდაცვის ახალი მინისტრი?"** - ეს შეკითხვა სააკაშვილს ჟურნალისტებმა რამდენჯერმე გაუმეორეს, მაგრამ პრეზიდენტობის კანდიდატს მინიშნებაც კი არ გაუკეთებია. **"კარგად მახსოვს, ბატონი დავითი როგორ ლამაზად გამოიყურება კოსტიუმში, მაგრამ, ამასთანავე, მას ძალიან უხდება სამხედრო ფორმა,"** - ხსენებული ციტატა არ იძლევა იმის საშუალებას, დავასკვნათ, საბოლოოდ რა გადაწყვეტილების მიღებას აპირებს სააკაშვილი, რომელი ტიპის ტანისამოსში ტოვებს იგი დავით თევზაძეს... სააკაშვილმა გუშინ თევზაძის დამსახურებაზე, მის საერთაშორისო ავტორიტეტზეც ისაუბრა. ასევე ძნელი სათქმელია, რას მოუტანს ეს თბილი სიტყვები დავით თევზაძეს - მომავალ ახალ თანამდებობას თუ პენსიას და მშვიდ ცხოვრებას?

**"წინა პრეზიდენტს არ უყვარდა ჯარი და, შესაბამისად, მაინცდამაინც არც ჯარს უყვარდა პრეზიდენტი. მე ძალიან მიყვარს ჯარი, დიდ პატივს ვცემ ოფიცრებს და შევეცდები, რომ ჯარსაც შევაყვარო თავი, რათა ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანესი ამოცანები გადავწყვიტოთ,"** - სააკაშვილი აცხადებს, რომ მისი გაპრეზიდენტების შემთხვევაში ქვეყანაში მთავარი პრიორიტეტი ძლიერი ჯარის ჩამოყალიბება იქნება.



*ქვეყანაში ერთი მთავარსარდალი იქნება, - აცხადებს მიხეილ სააკაშვილი.*

სააკაშვილმა თავდაცვის სფეროს გარდა, კიდევ რამდენიმე საკითხზე გაამახვილა ყურადღება. მისი თქმით, დაგეგმილია უშიშროების საბჭოს რეორგანიზება. **"უშიშროების საბჭო დღეს ჰგავს პოლიტბიუროს. ჩამოსხდებიან ერთ გრძელ მაგიდასთან საბჭოს წევრები და დღემდე არ იციან, რისთვის იკრიბებიან. მეც დავსწრებივარ ამ სხდომებს, სადაც არა მხოლოდ მე, საბჭოს წევრთა უმრავლესობას ეძინა."** პრეზიდენტობის კანდიდატის განცხადებით, უშიშროების ახალი საბჭო უფრო მცირე მოცულობის და, რაც მთავარია, ქმედითი სტრუქტურა იქნება. საბჭო კოორდინაციას გაუწევს თავდაცვის, შინაგან საქმეთა და უშიშროების სამინისტროების მუშაობას.

სააკაშვილმა გუშინ მასმედიას მოახსენა, რომ მან და სახელმწიფო მინისტრმა ზურაბ ჟვანიამ 29 დეკემბერს ერთობლივად მიიღეს გადაწყვეტილება რკინიგზის ტენდერის შედეგების გაუქმების შესახებ: **"ტენდერთან დაკავშირებით სერიოზულად აქტიურობდა რამდენიმე კრიმინალური დაჯგუფება, მათ შორის, გარკვეული საძმოები. არ დავუშვებ, საქართველოში კრიმინალებმა დანიშნონ თანამდებობის პირები, მაფიოზურმა ჯგუფებმა ჩაიგდონ ხელში ქართული ეკონომიკის მნიშვნელოვანი სფეროები. მე ველაპარაკე ზურაბ ჟვანიას, რომელმაც მითხრა, რომ შედეგების გაუქმებას აპირებს. პრობლემა არ არის - იგივე კანდიდატებმა მიიღონ მონაწილეობა ტენდერში, ოღონდ კონკურსი იყოს გამჭვირვალე."**

სააკაშვილი არჩევნების ჩაშლის საფრთხეზე საუბრობს და საზოგადოებას 4 იანვარს სრული მობილიზაციისკენ მოუწოდებს. როგორც პრეზიდენტობის კანდიდატი აცხადებს, მას არ ხიბლავს კანცელარიის მე-11 სართული. თუ პრეზიდენტი გახდება, ვერც "იმელის" შენობის მოსაწყობად დახარჯავს სოლიდურ თანხებს. გამომდინარე აქედან, სააკაშვილის სამუშაო რეზიდენცია **"ერთ-ერთ მოქმედ სახელმწიფო დაწესებულებაში"** იქნება.

სააკაშვილი მოსახლეობას ჰპირდება, რომ თუ ხელფასები და პენსიები 31 დეკემბრამდე არ დარიგდა, ზურაბ ნოღაიდელს ჰაუპტვახტში ჩასვამენ.

**"რა სტატუსით იმყოფებით დღეს თავდაცვის სამინისტროში?"** – ეს იყო ბოლო შეკითხვა, რომელიც ჟურნალისტებმა მიხეილ სააკაშვილს დაუსვეს. **"მოქალაქის სტატუსით. ქელეხსაშვილიც მოიწვიეს აქ, მაგრამ არ მოსულა,"** – არ დაიბნა სააკაშვილი, მაგრამ პრესამ ინფორმაციის გადამოწმება მოისურვა: **"ბატონო დავით, მართლა მოიწვიეთ ქელეხსაშვილი?"** სიტყვაძუნწმა მინისტრმა პასუხი წამითაც არ დააყოვნა: **"არა, ქელეხსაშვილი არ მომიწვევია".**

# პარლამენტმა, შესაძლოა, ქვეყანა 100 მილიონი ლარით აზარალოს

პირველი გვერდიდან

**"წინათაც რომ ასეთი პრინციპულები ყოფილიყავით, რევოლუცია საერთოდ არ მოხდებოდა,"** - ძველი საქმიანობის შეხსენებით გააჩუმა ელენე თევდორაძემ ყოფილი სახელისუფლებო ბანაკის წარმომადგენელი.

ასეთი მიკროშეტაკებები გუშინ მრავლად იყო. მაგალითად, წარსულთან და ახალ ხელისუფლებასთან დამოკიდებულების გამო, ზეზვა ლუღუნიშვილმა და კობა ამირხანაშვილმაც საკმაოდ ბევრი იდავეს. ბოლოს, ამ უკანასკნელის მხრიდან საქმე ლანძღვა-გინებამდეც მივიდა... შექმნილ ვითარებაში, გიგი წერეთელმა გამოსავალად ისლა მონახა, რომ მოდავეებს მოუწოდა, გულღრძოობა და სხვა მავნე ჩვევები ძველი წლისთვის გაეტანებინათ.

მან, სხვათა შორის, სინანულით ისიც გაიხსენა, რომ ჯერ კიდევ ორი წლის წინათ გამოვიდა ინიციატივით, სხდომის გახსნის გაადვილების მიზნით, კვორუმი 118-დან 79-მდე დაწეულიყო.

**"ხშირად ხდება, რომ დარბაზში 115-116 დეპუტატი ზის, რაც კანონების მიღების საშუალებას იძლევა, მაგრამ ვინაიდან სხდომის გახსნა ვერ ხერხდება, მუშაობა საერთოდ იშლება. დარწმუნებული ვარ, 79-კაციანი კვორუმის საკითხს პარლამენტი მომავალშიც დაუბრუნდება,"** - განაცხადა მოქმედმა სპიკერმა.

ეს, ალბათ, მაინც შორეული მომავლის საქმეა. ამჟამად კი არსებითი ის არის, რა მოხდება დღეს - მოახერხებს თუ არა პარლამენტი, ქვეყანას 100-მილიონიანი ზარალი აარიდოს..

# "საქართველოს ბანკმა" კაჭრეთის ბავშვთა სახლის აღსაზრდელებს იმედიანი შობა-ახალი წელი დაუქენა



შობა-ახალი წლის დღესასწაულები ყველაზე მეტად ჩვენს პატარებს ახარებთ, მაგრამ საყოველთაო საზეიმო განწყობილებას ოდნავი სევდაც ახლავს თან, ვინაიდან ჩვენს გვერდით არიან ისეთი პატარებიც, რომლებსაც აკლიათ მშობლების ზრუნვა. თითოეული მათგანის მიმართ სითბოს გამოჩენა და დახმარების ხელის გაწვდენა კი ყოველი ჩვენგანის მოვალეობა უნდა იყოს.



უკვე რამდენიმე წელია "საქართველოს ბანკი" პატრონობას უწევს კაჭრეთის ბავშვთა სარეაბილიტაციო ცენტრის აღსაზრდელებს. ბანკის წარმომადგენლებმა ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით წელსაც გაუხარეს გული პატარებს და საახალწლო ნობათით ჩააკითხეს კაჭრეთში.

გაიხარეს ბავშვებმა საჩუქრების მიღებით – თბილი ტანსაცმელი, ფეხსაცმელი სათამაშოები, სურსათ-სანოვაგე... ბანკის წარმომადგენელთა თბილმა სიტყვებმა კი კიდევ ერთხელ აგრძნობინეს ოჯახისა და საზოგადოებისაგან ყურადღებამოკლებულ ბავშვებს, რომ შეჭირვებული ცხოვრების მიუხედავად მათზე ზრუნავენ და ფიქრობენ.

ბანკის ხელმძღვანელობას არც პატარების განსაკუთრებული თხოვნა – აკუმულატორზე მომუშავე ფერადი ტელევიზორი დავიწყებია. ამიერიდან, შუქიც რომ არ იყოს, ბავშვებს ახალ წელს მაინც შეეძლებათ გასართობი გადაცემების ნახვა. "საქართველოს ბანკი" კი კვლავაც არ მოაკლებს ყურადღებას ოჯახურ ზრუნვას მონატრებულ პატარებს.

## მოკლედ

### ქალაქების ხელმძღვანელებს საპრეზიდენტო არჩევნებში ჩაურევლობა მოეთხოვებათ

საქართველოს პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი ნინო ბურჯანაძე გუშინ სახელმწიფო კანცელარიაში ქალაქების მერებს შეხვდა.

როგორც შეხვედრის დასრულების შემდეგ ჟურნალისტებს რუსთავის მერმა მერაბ ტყეშელაშვილმა განუცხადა, პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა მოუწოდა ქალაქების თავკაცებს, აღმოფხვრან მერების არჩევნებში ჩარევის პრაქტიკა, თავი შეიკავონ იმ "დათვური სამსახურისგან, რომელიც არასამართლიანი, არადემოკრატიული არჩევნების ჩატარების ერთ-ერთი მიზეზი იყო და საქართველოს სახელს უტეხდა".

ტყეშელაშვილის თქმით, დღევანდელ შეხვედრაზე მხარეებმა ასევე ყველა ის პრობლემა განიხილეს, რომელიც დღეისათვის საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში არსებობს. მისივე თქმით, დაუშვებელია, მოსახლეობის პრობლემები ცენტრალურ ხელისუფლებამდე შელამაზებული სახით მიდიოდეს.

ამ პრობლემების შესწავლა ნინო ბურჯანაძემ კანცელარიის რეგიონალური სამსახურის უფროსს მალხაზ ბეგიაშვილს დაავალა. **ინტერ-პრესი**

### რუსეთში მანდარინის სიძვირეს უჩივიან

რუსები საახალწლოდ მანდარინის სიძვირეს უჩივიან. მათი თქმით, საახალწლოდ სუფრა ციტრუსის გარეშე წარმოუდგენელია. მოსკოვში ერთი კილოგრამი მანდარინის ფასი 35-45 რუბლია. აფხაზეთიდან რუსეთში ციტრუსების გატანა პრობლემებთან არის დაკავშირებული. აფხაზეთის საზღვრიდან სოჭამდე 150 კილომეტრია და საგზაო პოლიციის 14 საგუშაგო, რომლის გავლაც, საშუალოდ, 20 რუბლი ღირს. ერთ მოვაჭრეს საშუალოდ 400 კგ მანდარინი მიაქვს. ამ გზაზე გავლას 300 რუბლის ბენზინი სჭირდება, ამდენივე კი საგზაო ინსპექტორების ჯიბეში მიდის.

აფხაზეთში წელს ციტრუსების ცუდი მოსავალია, რის გამოც მოვაჭრეებს არ ულირთ მათი საზღვარზე გატანა. ამიტომ, რუსეთი საახალწლოდ მანდარინის სიმცირეს და სიძვირეს უჩივის. **მედია-ნიუსი**

## ორი სიტყვით

**თბილისი.** 4 იანვრის რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნების მონიტორინგს არასამთავრობო ორგანიზაციის "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" 400-მდე დამკვირვებელი განახორციელებს.

როგორც "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" წარმომადგენელმა თინა ხიდაშელმა განაცხადა, ისინი სამშაბათს მიმართავენ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საოლქო საარჩევნო კომისიებს, რომ მათი დამკვირვებლები რეგისტრაციაში გაატარონ. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** პრეზიდენტობის კანდიდატი თემურ შაშიაშვილი არსებული ცენტრალურ საარჩევნო კომისიის კანონიერებას ეჭვქვეშ აყენებს და აცხადებს, რომ კანონით ამ ცესკო-ს საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარება არ ევალება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** სახალხო მოძრაობა "ჩვენი აჭარა" თანათავმჯდომარეების მტკიცებით, ასლან აბაშიძის განცხადების მიუხედავად იმის შესახებ, რომ აჭარის ხელისუფლება საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარებას პრობლემებს არ შეუქმნის, აბაშიძის ხელისუფლებისა და "აღორძინების კავშირის" აქტივისტები ფარულად მოუწოდებენ რეგიონის მოსახლეობას, საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობისგან თავი შეიკავონ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ცხინვალის დე ფაქტო ხელისუფლების მიერ კონტროლირებად სოფელ ტაძარში 2004 წლის 4 იანვრის რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნებისთვის ხვალ საარჩევნო უბანი გაიხსნება. სოფელში, ოსებთან ერთად, ქართველებიც ცხოვრობენ და არჩევნებში მონაწილეობის სურვილი სწორედ მათ გამოთქვეს. უბნის გახსნის გამო ხვალ ტაძარში ჩასვლას აპირებს ცესკო-ს თავმჯდომარე ზურაბ ჭიაბერაშვილი. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი**. გუშინ სახელმწიფო მინისტრმა ზურაბ ჟვანიამ ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს თანამშრომლებს ახალი მინისტრი ეთერ ასტემიროვა წარუდგინა. ახალდანიშნულმა მინისტრმა განაცხადა, რომ მან იცის პრობლემების მოგვარების გზები. ამისათვის კი კოლექტივის მხარდაჭერა სჭირდება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრი მალხაზ კაკაბაძე უარყოფს გავრცელებულ ინფორმაციას მისი მოადგილის ლალი მაროშკინას ქართულ-ოსური კონფლიქტის მოწესრიგების შერეული საკონტროლო კომისიის თანათავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოში განთავსებული რუსეთის სამხედრო ბაზების მოსამსახურეებმა ერთი თვის განმავლობაში, ხელფასების სახით, საქართველოს ეროვნული ბანკიდან 8.209 მლნ ლარი მიიღეს. საქართველოს ეროვნული ბანკის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველოს ინფორმაციით, ამ ოპერაციების მეშვეობით ქვეყნის სავალუტო რეზერვების მოცულობა ყოველწლიურად 12-15 მლნ აშშ დოლარით გაიზრდება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი**. გუშინ ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე გამართული ვაჭრობის შედეგად, საქართველოს ეროვნული ვალუტის კურსი აშშ დოლართან მიმართებაში 2,0750 ლარის ნიშნულზე დაბალანსდა. სულ ვაჭრობაში თორმეტი კომერციული ბანკი მონაწილეობდა, სამი - გამყიდველის და ცხრა - მყიდველის სტატუსით. დაიდო ათი საბირჟო გარიგება, რომელთა საერთო მოცულობამ 830 000 აშშ დოლარი შეადგინა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** წინასაახლწლოდ საქართველოს ენერგოსისტემაში მობილიზაცია გამოცხადდა. სისტემა დღეს, ღამით, პიკის საათებში 1750 მეგავატის სიმძლავრით იმუშავებს.

სათბობ-ენერგეტიკის მინისტრის პირველმა მოადგილემ ნუგზარ უფლისაშვილმა განაცხადა, რომ წელს, პიკის საათებში ენერგეტიკაში სიმძლავრე შარშანდელზე მეტი იქნება. 1750 მეგავატიდან ელექტროენერგიის ნაწილი სომხეთიდან და რუსეთიდან შემოვა. "ახალი წლის ღამეს ჩაირთვება "ვარდნილჰესი", "ენგურჰესი". მისი თქმით, გენერაციის ობიექტებთან ერთად, სრული დატვირთვით მუშაობისთვის მზად არის ელექტროგადამცემი ხაზებიც. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ქალაქის მერები გარდამავალ მთავრობას მუნიციპალური და ფედერალური ქონების გამიჯვნას სთხოვენ. გუშინ სახელმწიფო კანცელარიაში საქართველოს პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელთან ნინო ბურჯანაძესთან 20-მდე ქალაქის მერი შეიკრიბა, რომლებმაც ახალ ხელისუფლებას ქონების გამიჯვნას სთხოვეს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ცხინვალის დე ფაქტო ხელისუფლების საბაჟო სამსახურმა სოფელ კვაისასთან, რომელიც რაჭის რეგიონს ესაზღვრება, საბაჟო-საკონტროლო პუნქტი გახსნა.

სამსახურის წარმომადგენელთა განცხადებით, მისი ამოქმედება სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის საზღვრის გავლით მოძრავი ტვირთების გაკონტროლებისა და, შესაბამისად, ბიუჯეტის შემოსავლების გაზრდის მიზნით მოხდა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრომ ქვეყანაში გადამამუშავებელი მრეწველობის რეაბილიტაციისა და განვითარების პროექტი შეიმუშავა, რომელიც სამინისტროში გამართულ კოლეგიის სხდომაზე ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენლებსა და ბიზნესმენებთან ერთად განიხილეს. პროექტი ხუთ წელიწადზეა გათვლილი და მრეწველობის განვითარების ძირითად მიმართულებებს ასახავს.

პრიორიტეტები ენიჭება ისეთ დარგებს, როგორიცაა ხორბლის, მარცვლეულის გადამუშავება, საკონსერვო წარმოება, მეღვინეობა, მეთევზეობა. **მედია-ნიუსი**

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# "2004 წელს ქუთაისელებთან ერთად შევხვდები"

პირველი გვერდიდან

კრიმინოგენული სიტუაციის მხრივ, იმერეთი ძალიან სპეციფიკური რეგიონია. კრიმინალების დიდი ნაწილი სწორედ იმერეთშია თავმოყრილი. თუ პოლიციელები არ იქნებიან შეკრული დამნაშავეთა სამყაროს წარმომადგენლებთან, თუ არ იქნება პოლიციელებსა და კრიმინალებს შორის კონკრეტული გარიგებები, ვერც ერთი კრიმინალი ვერ გაბედავს ასე აშკარად მოღვაწეობას ვერც იმერეთში და ვერც, მთლიანად, საქართველოში. ჩემი კატეგორიული მოთხოვნა ეხება სწორედ პოლიციის თანამშრომლებს. რა თქმა უნდა, მესმის გარკვეული ტრივიალური მიზეზები - ის, რომ პოლიციას დღეს არა აქვს მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და ა.შ. დღეს საქართველოში ყველაზე მეტად სწორედ რიგით ადამიანებს უჭირთ, მაგრამ სწორედ ამ ადამიანებმა შეძლეს იმ სასწაულის მოხდენა, რასაც "ვარდების რევოლუცია" ჰქვია. ამდენად, პოლიციას არანაირი მორალური უფლება არა აქვს, იწუწუნოს მძიმე მდგომარეობაზე და ამით გაამართლოს შექმნილი ვითარება.

**- როგორ ემზადება იმერეთი არჩევნებისთვის?**

- მთელი პასუხისმგებლობით უნდა აღვნიშნო, რომ იმერეთში სრული მზადყოფნაა არჩევნების ჩასატარებლად. აქ, დაახლოებით, 350 ათასი ამომრჩეველია. ქუთაისში 12 რაიონული რგოლია, ამას დამატებული 11 რაიონი. ახლა მივდივარ ხონიდან სამტრედიაში, იქიდან ვანში ჩავალ, მერე, გვიან ღამით - ბაღდათში. კარგად ვიცი, რა ხდება თითოეულ უბანზეც კი. კატეგორიულად ავკრძალე, და დარწმუნებული ვარ, სხვა რეგიონებშიც ასეა, ადმინისტრაციული რესურსების ჩარევა არჩევნების პროცესში. არავითარ შემთხვევაში არ მოხდება მათი მხრიდან წინასაარჩევნო აგიტაცია, ამისათვის შექმნილია სპეციალური პოლიტიკური შტაბები.

უკლებლივ ყველა საარჩევნო უბანი იქნება გამთბარი, ეს ჩემი კატეგორიული მოთხოვნაა. ხალხმა უნდა იგრძნოს ელემენტარული ყურადღება. სადაც მივდივარ, პირველი, რასაც ვკითხულობ - მზად არის თუ არა შეშის ღუმელი საარჩევნო უბნის გასათბობად. თუ რომელიმე უბანზე ამგვარი ღუმელი


დავით მუმლაძე იმერლების ნდობის მოსაპოვებლად იღწვის.

არ იქნება, ამაზე პასუხს აგებს სოფლის საკრებულოს ხელმძღვანელი და სხვა პირები, ვისაც ამის მოწესრიგება დაევალათ.

**- როგორი განწყობაა იმერეთში საახალწლოდ?**

- ხალხი ძალიან დაღლილია, ბევრ პრობლემასთან უწევთ ყოველდღიურად შეჭიდება. ჩემი დიდი სურვილია, იმერეთში მაცხოვრებელ თითოეულ ოჯახს საახალწლო განწყობა შევუქმნა. მაქსიმალურად ვცდილობ, დამდეგი ახალი წელი მათთვის განსხვავებული იყოს. საახალწლო ღამეს ქუთაისის ცენტრალურ მოედანზე, მესხიშვილის თეატრთან, ფეიერვერკი იქნება, ვცდილობთ, ლამაზი სანახაობა იყოს. ჩატარდება კონცერტი, ისეთი არა, რა თქმა უნდა, როგორიც თბილისში იქნება, მაგრამ არანაკლები სითბოთი გაკეთებული. გვინდა ხალისი გავუჩინოთ ადამიანებს, იგრძნონ, რომ მათზე ვიღაც ზრუნავს.

**- თავად სად შეხვდებით დამდეგ ახალ წელს?**

- რა თქმა უნდა, ძალიან მინდა ოჯახთან ერთად ვიყო, მაგრამ, ალბათ, ქუთაისში დავრჩები და 2004 წელს ქუთაისელებთან ერთად შევხვდები.

# არჩევნების ჩატარებას უხელფასობა და უპენსიობა ხელს შეუშლის

ლელა მჭედლიძე

*სააკაშვილის საარჩევნო შტაბის უფროსის ორი მოადგილე ამტკიცებს, რომ ახალი წელი მათთვის და მათი მხარდამჭერებისათვის 4 იანვრის შემდეგ დაიწყება.*

**"მართალია, მიხეილ სააკაშვილს საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვების პრობლემა არც ახლა აქვს, არც ერთი თვის ან ხუთი წლის შემდეგ ექნება, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამომრჩეველი უნდა მოდუნდეს. პირიქით, ახლა ამომრჩეველმა მაქსიმალური აქტიურობა უნდა გამოიჩინოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, არჩევნების ჩატარებას რეალური საფრთხე ემუქრება,"** - ასე ფიქრობს პრეზიდენტობის ყველაზე რეალური კანდიდატის შტაბი. თუ 4 იანვარს არჩევნები არ შედგა, მაშინ უკვე რევანშის მოსურნეთა სერიოზული გააქტიურებაა მოსალოდნელი. ამისი სურვილი კი, ვანო მერაბიშვილის ინფორმაციით, ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენელთა გარდა, კრიმინალების სერიოზულ ჯგუფსაც აწყობს, რადგან, სხვა ყველაფერთან ერთად, უკანონოდ მოპოვებული სიმდიდრის დაკარგვით არის შეშინებული. არჩევნების ჩაშლის თვალსაზრისით კი შიშის საფუძველს "ნაციონალური მოძრაობის" ლიდერის საარჩევნო შტაბის წევრებს "რუსთავი 2"-ის წინააღმდეგ განხორციელებული ტერაქტი აძლევს. ვანო მერაბიშვილი და ირაკლი ჩუბინიშვილი ვარაუდობენ, რომ ეს უფრო ძველი ხელისუფლების წარმომადგენელთა მიერ მოწყობილი აქტი იყო, რომელიც საზოგადოებაში გარკვეული შიშის დათესვას ისახავს მიზნად. გარდა ამისა, "ნაციონალური მოძრაობის" და "გაერთიანებული დემოკრატების" წარმომადგენლებს ჯერ ისევ სერიოზულად აშინებთ აჭარიდან წამოსული "საფრთხეც". მართალია, სააკაშვილის გუნდს უკვე აჭარის ყველა უბანზე ეყოლება თავისი წარმომადგენელი, მაგრამ, როგორც მერაბიშვილი მიიჩნევს, **"აჭარა 4 იანვარს, 8 საათის შემდეგ მიიღებს გადაწყვეტილებას, თუ არჩევნების როგორი შედეგები გამოაქვეყნოს და გამოგზავნოს თბილისში".**

მოსახლეობის აქტიურობის გარდა, თავისი სიტყვა, უსაფრთხოების დაცვის თვალსაზრისით, ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლებმაც უნდა თქვან. მაშინ, როცა ყველასთან ერთად, უხელფასობაზე ახლა თვით უშიშროების მინისტრმაც დაიჩივლა, მხოლოდ ენთუზიაზმზე მუშაობა, მით უმეტეს - წინასაახალწლოდ, ამ სტრუქტურებსაც გაუჭირდებათ. სააკაშვილის საარჩევნო შტაბის წარმომადგენლები ამის თაობაზე პასუხის მოთხოვნას აღმასრულებელი ხელისუფლებისთვის აპირებენ. თუმცა, ამავე დროს, იმედს გამოთქვამენ, რომ წინასაახალწლოდ ფინანსთა მინისტრი დანაპირებს მაინც შეასრულებს - ხელფასებს და პენსიებს დაარიგებს...

# ნათელაშვილი ბოიკოტზე მყარად დგას


ნათელაშვილი საახალწლოდ ცუდ ამბებს გვიწინასწარმეტყველებს.

ლენა მიქაძე

"არავინ არჩევნებზე!"- 4 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნების ბოიკოტირებას შალვა ნათელაშვილი საქართველოს ხსნის ერთადერთ გზად მიიჩნევს. თუ ეს არჩევნები ჩატარდა და ქვეყნის სათავეში მიხეილ სააკაშვილი მოვიდა, მაშინ, ნათელაშვილის "უტყუარი" პროგნოზით, ძალზე რეალური შანსი არსებობს, რომ მილიარდობით ლარის ღირებულების მიტაცებული სიმდიდრე ერთი კლანის ხელიდან, უბრალოდ, მეორის ხელში თუ ჯიბეში გადავიდეს, სოციალურად დაჩაგრული მოსახლეობა კიდევ უფრო დაიჩაგროს და სრულ სიღატაკეს თავი საერთოდ ვერ დააღწიოს.

სამაგიეროდ, ახალ ხელისუფლებაში აღზევება ისედაც აღზევებულ ხალხს ელის, რადგან, თანამდებობებზე ან მხოლოდ მდიდართა კლანის წარმომადგენლები დაბრუნდებიან, ან სააკაშვილის გუნდის, გარემოცვის წევრები დაინიშნებიან. შესაბამისად, დაინგრევა განათლებისა და ჯანდაცვის სისტემები, ათასობით პედაგოგი და ექიმი უმუშევარი დარჩება, ახალგაზრდობა კი გაუნათლებელი და იოლად სამართავი იქნება.

წინასაახალწლოდ შალვა ნათელაშვილი პოტენციური ამომრჩევლისათვის "მწარე სიმართლით" გუნება-განწყობის გაფუჭებას არ ერიდება. ქართველ "ლეიბორისტთა" მამამთავარს არც სხვა საკითხებში აქვს ახალი ხელისუფლების იმედი და, როგორც ამტკიცებს, ჩვენ ახლა კორუფციის და მექრთამეობის დონის კატასტროფული ზრდა გველის. არც სამაჩაბლო და აფხაზეთი დაბრუნდება, აჭარა საქართველოს სამართლებრივ სივრცეს კიდევ უფრო დასცილდება. ყველა სტრატეგიული დარგი უცხოელებზე გაიყიდება, აღარც ეროვნული კულტურა გვექნება და არც არაფერი...

მოკლედ, ნათელაშვილი წინასწარმეტყველებს, რომ საქართველოს სააკაშვილის პერიოდში უფრო უარესი ბედი ელის, ვიდრე ედუარდ შევარდნაძის მმართველობის ხანაში ჰქონდა. კიდევ კარგი, ედუარდ შევარდნაძის მობრუნების სურვილი შალვა ნათელაშვილს არ გასჩენია, მაგრამ არც ბევრი დააკლდა.




# სნსკ საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია













**საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია გულითადად გილოცავთ შობა-ახალ წელს!**

**სიხარული, ბედნიერება და წარმატებები დაგბედებოდეთ თქვენ, თქვენს ოჯახსა და ახლობლებს, სრულიად საქართველოს.**

**ფეხბედნიერი ყოფილიყოს ახალი 2004 წელი!**

# საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია სნსკ



**საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია აცნობებს საქართველოს მოსახლეობას, რომ ინტენსიურად მიმდინარეობს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ძირითადი საექსპორტო ნავთობსადენის მშენებლობა**

**ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ძირითადი საექსპორტო ნავთობსადენის მშენებლობის ღიად და გამჭვირვალედ წარმართვისათვის, საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია მოგაწვდით ინფორმაციას პროექტის განხორციელების წლიური შედეგების შესახებ**



## ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ძირითადი საექსპორტო ნავთობსადენის მშენებლობის დაწყებიდან დღემდე

**მომზადებულია ნავთობსადენის დერეფნის 113 კილომეტრი**

**მილები განლაგებულია ნავთობსადენის დერეფნის 87 კილომეტრზე**

**მილები შედუღებულია 80 კილომეტრზე**



## უშუალოდ ნავთობსადენის მშენებლობის პროცესში დასაქმებულია საქართველოს 3 060 მოქალაქე

## ნავთობსადენის მშენებლობის პროცესში

**მთლიანად შესრულებულია 33 026 850 ლარის სამშენებლო სამუშაო**

**2 660-ზე მეტი ოჯახისათვის და 12 მაღალმთიანი სოფლისათვის გადახდილია 21 000 000 ლარი მიწისა და მოსავლის კომპენსაციისათვის**



**ქართული კომპანიებისაგან შეძენილია 5 115 000 ლარის ღირებულების სამშენებლო და ინერტული მასალა**

**ადგილობრივი მეწარმეებისა და ქართული კომპანიებისაგან შეძენილია 4 010 000 ლარის ღირებულების ქვების პროდუქტი**

**ბინების დაქირავების საზღაურად მოსახლეობისათვის გადახდილია 5 722 000 ლარი**



**მიწის ფართის დროებითი სარგებლობის საზღაურად მოსახლეობისათვის გადახდილია 365 190 ლარი**

**ბათუმისა და ფოთის პორტებში ტვირთების მიღებასა და გადამუშავებაში გადახდილია 7 255 000 ლარი**

**საქართველოს რკინიგზისათვის ტვირთების ტრანსპორტირებისათვის გადახდილია 7 140 000 ლარი**

**საქართველოს ცენტრალურ და ადგილობრივ ბიუჯეტში გადარიცხულია 3 876 000 ლარი**



**ნავთობსადენის მშენებლობის დაწყებიდან დღემდე საქართველოს 16 000-ზე მეტმა მოქალაქემ სხვადასხვა ფორმით მიიღო მონაწილეობა პროექტისთვის აუცილებელი მომსახურეობის გაწევისა და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერის პროცესში**

## პროექტის ეკონომიკური ზეგავლენა საქართველოში ათასობით ოჯახს შეეხო

ეკონომიკა

# სახელმწიფო საწარმოების მართვა მომავალი ხელისუფლების თავსატეხად რჩება

პირველი გვერდიდან

სხვათა შორის, საგულისხმოა, რომ იმ ეტაპზე, როცა რკინიგზასთან დაკავშირებით აღნიშნული გადაწყვეტილება იყო მიღებული, "24 საათთან" საუბარში თითქმის ყველა ეკონომიკური ექსპერტი დროებითი ხელისუფლების განზრახვას დადებით მოვლენად მიიჩნევდა და მაშინ ალტერნატიული აზრის მოძიება საკმაოდ გაჭირდა.

დღეს, რკინიგზასთან შექმნილმა სიტუაციამ (რომლის მიზეზების განხილვა ცალკე საუბრის საგანია) გარკვეული ეჭვები მართვის ახალ მოდელთან დაკავშირებით უკვე გააჩინა. გაჩნდა წინადადებებიც ამ მოდელის და, საერთოდ, სახელმწიფო საწარმოთა მართვის სტილის დახვეწასთან დაკავშირებით.

სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ მსხვილ საწარმოებში სამეთვალყურეო საბჭოების შემადგენლობების შეცვლის თაობაზე დროებითი მთავრობის ინიციატივას პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის ხელმძღვანელი რომან გოცირიძე აუცილებელ, გადაუდებელ და პირველი რიგის ამოცანად მიიჩნევს.

როგორც "ინტერ-პრესს" გოცირიძემ განუცხადა, აღნიშნული ცვლილებით ახალი მთავრობა ეცდება, გარკვეულ ჯგუფებს "მსხვილი ლუკმა პირიდან გამოსტაცოს" და ბიუჯეტში ჩადოს.

**"მიუხედავად ამისა, მთავარი მაინც საწარმოთა მართვის ახალი სისტემის შექმნა იქნება. არ შეიძლება, საწარმოთა მართვის სააგენტო იმ ფორმით არსებობდეს და ფუნქციონირებდეს, როგორც დღეს არის. სააგენტო საერთოდ უნდა გაუქმდეს, რადგან ის საწარმოებში დანიშნულ სამეთვალყურეო საბჭოებზე კონტროლს ვერ ახორციელებს და მხოლოდ ფორმალური დატვირთვა გააჩნია,"** - განაცხადა გოცირიძემ.

მისი თქმით, ზედმეტია ის თანხაც, რასაც სააგენტო თავისი ფუნქციონირებისთვის საწარმოებიდან იღებს. **"არ შეიძლება, ქონების მართვის სააგენტოს საწარმოთა დივიდენდებიდან 15 პროცენტი მიჰქონდეს, ეს თანხა სახელმწიფოში არსებული ყველა სამინისტროს აპარატის შენახვას ეყოფოდა,"** - განაცხადა გოცირიძემ.

**"მსხვილ ლუკმად" მიჩნეულ სახელმწიფო საწარმოებში ხელისუფლებას და მთავრობას საკუთარი ინტერესები ყოველთვის გააჩნია, ამიტომ საწარმოთა სამეთვალყურეო საბჭოების შემადგენლობების შეცვლით "მსხვილი ლუკმისთვის" მისამართის შეცვლის საშიშროება მართლაც არსებობს,"** - ამის შესახებ "ინტერ-პრესს" "ახალი მემარჯვენეების" ლიდერმა დავით გამყრელიძემ განუცხადა.

მისი თქმით, სამეთვალყურეო საბჭოებში ახალი ადამიანების მიყვანა არსებული მდგომარეობის გამოსწორების საკმარისი წინაპირობა არ არის, რადგან ასეთი საწარმოები ყოველთვის პარტიული და პირადი ინტერესებისთვის გამოიყენებოდა.

**"იმედი მაქვს, ამ ორგანიზაციების გაჯანსაღებისთვის ეს ერთადერთი ნაბიჯი არ იქნება და აქცენტი საწარმოთა სწორ მენეჯმენტზე გაკეთდება. სამეთვალყურეო საბჭოები ადრეც არსებობდა, მაგრამ - ფორმალური სახით. თუ ახალ მთავრობას ჰგონია, რომ ამით საზოგადოებას გამჭვირვალობის ილუზიას შეუქმნის, ცდება,"** - განაცხადა გამყრელიძემ.

"ახალი მემარჯვენეების" ლიდერის აზრით, გამჭვირვალობისთვის ახალმა ხელისუფლებამ მსხვილ საწარმოებში საერთაშორისო აუდიტი ყოველწლიურად უნდა ჩაატაროს.

ხოლო ალექსანდრე თვალჭრელიძემ კი ამ საკითხთან დაკავშირებით განაცხადა: საბჭოებში წევრების დანიშვნა მხოლოდ იმ ნიშნით, რომ ისინი არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები არიან, არ შეიძლება.

**"ვნახოთ, რა ხალხი მოვა. ცალსახად ამის განსაზღვრა ძნელია, მაგრამ საინტერესოა, შეძლებენ თუ არა ისინი აქციების კაპიტალიზაციას და ბირჟაზე გატანას. ეს დიდი გამოცანაა,"** - განაცხადა თვალჭრელიძემ.

მისი აზრით, სარფიანი იქნებოდა, მთავრობას საწარმოთა მენეჯერები საფონდო ბირჟაზე მოეძებნა. **"ბირჟაზე ამ საქმის პროფესიონალები მუშაობენ და ისინი საწარმოთა სწორ მართვას კარგად შეძლებენ,"** - მიაჩნია თვალჭრელიძეს.

საინტერესოა, რომ სახელმწიფო საწარმოთა მართვის თავისი ხედვა გააჩნდა ანტიკორუფციულ საბჭოსაც, რომლის რეკომენდაციებიც, თავის დროზე, ხელისუფლებისა და პარლამენტის მიერ მხოლოდ ნაწილობრივ იყო გათვალისწინებული.

ერთი რამ ფაქტია - სახელმწიფო საწარმოთა ნუსხა და მათი წარმოების მასშტაბები საკმაოდ დიდია საიმისოდ, რომ ამ საკითხის ირგვლივ სერიოზული დისკუსია არ გაიმართოს. მომავალი ხელისუფლების ერთ-ერთი ძირითადი თავსატეხი ხომ სწორედ სახელმწიფო საკუთრებაში დარჩენილი საწარმოების "გამჭვირვალე" და, რაც მთავარია, პროფესიონალურად განხორციელებული მართვა იქნება.

# საახალწლოდ რეგიონებს შეძლებისდაგვარად გაანათებენ

*საახალწლოდ საქართველოს "გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია" (გსეკ) რუსეთიდან 150 მეგავატი სიმძლავრის ელექტროენერგიის იმპორტს იწყებს. საშუამავლო კომპანია "ვინგფილდთან" რუსეთიდან დენის იმპორტის ხელშეკრულებას "გსეკ"-მა, "სახელმწიფო ელექტროსისტემამ" და საბითუმო ბაზარმა ხელი 29 დეკემბერს მოაწერეს. ხელშეკრულების თანახმად, იმპორტი 29 დეკემბერს უნდა დაწყებულიყო, მაგრამ ეს პროცესი 30 დეკემბრის საღამომდე შეფერხდა.*

"გსეკ"-ისთვის განკუთვნილი დენი საქართველოში "კავკასიონის" საშუალებით უნდა შემოვიდეს. ანუ, ელექტროგადამცემი ხაზი, რომლის მეშვეობითაც ამჟამად 100 მეგავატის იმპორტს "თელასი" აწარმოებს, ხოლო 100 მეგავატიც აზერბაიჯანში გაედინება, სრული დატვირთვით იმუშავებს. ამის გამო არ არის გამორიცხული მისი დაზიანება. თუმცა, ან ხაზის ოპერატორი "საქრუსენერგო" აცხადებს, რომ ყოველი შემთხვევისთვის, საახალწლოდ და წინასაარჩევნოდ კომპანიის ბრიგადები მობილიზებული იქნება.

რუსეთიდან "გსეკ"-ის მიერ იმპორტირებული დენი ელექტროენერგიის საბითუმო ბაზრის მიერ კომპანიისათვის მიწოდებულ დენს უნდა დამატებოდა და, შედეგად, რეგიონების ელექტროკვება მნიშვნელოვნად გაუმჯობესებულიყო და მოსახლეობის 24-საათიანი რეჟიმით მომარაგება განხორციელებულიყო. მაგრამ, იმის გამო, რომ ენერგოსისტემას ტექნიკურად მეტი დენის მიღების საშუალება არა აქვს, "გსეკ"-ი რეგიონებს 24-საათიან ელექტრომომარაგებას ვერ ჰპირდება.

**"ჩვენ 31 დეკემბერს, 1 და 4 იანვარს დღეში 10 მილიონი კილოვატსაათი ელექტროენერგიის მოწოდება მოვითხოვეთ, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ტექნიკური მიზეზებით 7,5 მილიონზე მეტს ვერ მოგვცემენ. ეს ნიშნავს, რომ საახალწლოდ რეგიონების 24-საათიანი მომარაგება არ მოხერხდება,"** – აცხადებენ კომპანიაში.

ამის გამო, "სახელმწიფო ელექტროსისტემის" ირლანდიელმა მმართველებმა "გსეკ"-ის ამერიკელი მენეჯერებისგან მკაცრი გაფრთხილება მიიღეს იმის თაობაზე, რომ შეზღუდვები მხოლოდ არგადამხდელი რაიონების ხარჯზე განხორციელდეს.

არჩევნების შემდეგ კი გრაფიკი შეიცვლება. საქმე ისაა, რომ "ზამთრის გათბობის პროგრამის" ფარგლებში "გსეკ"-ისაკენ მიმართული 2 მილიონი ლარი, რომელიც კომპანიამ საახალწლოდ საქართველოს რეგიონების გასანათებლად გამოიყენა, იანვრის ბოლოს ამოიწურება. იმისათვის, რომ "გსეკმა" არ იზარალოს, არჩევნების შემდეგ რეგიონებში დენის საფასურის გადახდის მიხედვით დაწესებული გრაფიკები აღდგება. "გსეკ"-ის გენერალური დირექტორის დევიდ სორნტონის განცხადებით, არჩევნების შემდეგ მოსახლეობას დენს დილაობით 2-2 საათით, ხოლო საღამოობით – 4-4 საათით მიიღებს. ბუნებრივია, რაიონის ელექტრომომარაგების ხანგრძლივობა დენის საფასურის გადახდის მაჩვენებლის პირდაპირპროპორციული იქნება.

მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო მინისტრ ზურაბ ჟვანიასა და აშშ სახელმწიფო მდივნის თანაშემწე ლინ პასკოს შორის შემდგარი შესაბამისი მოლაპარაკების შემდეგ "გსეკ" რუსეთიდან დენის შემოტანას დაყაბულდა, კომპანიაში მიიჩნევენ, რომ ეს თანხის არამიზნობრივი ხარჯვაა. **"ჯობდა, ეს თანხა სისტემის გამრიცხველიანებაზე დახარჯულიყო. ახლა გამოდის, რომ მომავალ ზამთარს ქვეყნის წინაშე იგივე პრობლემა იდგება, რადგან, ფაქტობრივად, აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მიერ ენერგოსისტემისთვის დახმარების სახით გამოყოფილი თანხები ოპტიმალურად არ იხარჯება,"** – აცხადებენ კომპანიაში.

რაც შეეხება თბილისს, როგორც სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროში ირწმუნებიან, საახალწლოდ და საარჩევნოდ ქვეყნის ყველა მოქმედი ელექტროსადგური მაქსიმალური დატვირთვით იმუშავებს და დედაქალაქს ელექტრომომარაგების პრობლემა არ ექნება.

*24 საათი*

# როგორ გადავკვეთოთ საქართველოს სახელმწიფო საზღვარი?

სწორედ ასეა დასათაურებული ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის მიერ ეუთო-სა და ევრაზიის ფონდის დახმარებით საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადმოკვეთის მსურველი მეწარმეებისა და ფიზიკური პირებისათვის შექმნილი გზამკვლევი.

გუშინ გზამკვლევის პრეზენტაციაზე ასოციაციის აღმასრულებელმა დირექტორმა თემურ მიმინოშვილმა განაცხადა, რომ გზამკვლევში შეტანილია ყველა ის საკანონმდებლო და ნორმატიული აქტი, რომელიც ქვეყნის საზღვრის გადმოკვეთის მსურველმა პირებმა უნდა იცოდნენ.

გზამკვლევში მოცემულია ინფორმაცია საქართველოს სასაზღვრო და საბაჟო გამშვები პუნქტების, საბაჟო გაფორმების ადგილების, გაფორმებისათვის კანონით გათვალისწინებული დოკუმენტების, იმპორტის, ექსპორტისა და ტრანზიტის საბაჟო რეჟიმების, აგრეთვე, საზღვრის კვეთასთან დაკავშირებული გადასახადებისა და მოსაკრებლების შესახებ.

მიმინოშვილის თქმით, გზამკვლევი უკვე მიიღო 800-ზე მეტმა მეწარმემ, რომელსაც საზღვრის ხშირი გადმოკვეთა უხდება.

გზამკვლევი ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე 4000 ეგზემპლარად დაიბეჭდა და მეზობელ სახელმწიფოებშიც დაიგზავნა.

საბაჟო დეპარტამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილის პაატა აბუთიძის განცხადებით, საბაჟოზე პრობლემები ხშირად კანონმდებლობის არცოდნის გამო იქმნება, გზამკვლევი კი საბაჟოზე პრობლემების შემცირებას შეუწყობს ხელს. **24 საათი**

# რა ღირს ინგლისი

დიდი ბრიტანეთის ნაციონალური სტატისტიკის სამსახურმა უნიკალური და, ცოტა არ იყოს, უცნაური გამოკვლევა ჩაატარა. მათ გამოთვალეს ინგლისის სახელმწიფოს მთლიანი ღირებულება და დაადგინეს, რომ იგი ოთხი ტრილიონ 983 მილიარდი ფუნტი სტერლინგია. საინფორმაციო სააგენტო "იტარ-ტასის" ცნობით, გამოთვლებისას გათვალისწინებული იყო მიწის, უძრავი ქონების, საწარმოების, ავტომაგისტრალების, სატრანსპორტო საშუალებების, აქციების, საბანკო ანგარიშების და სხვათა ღირებულება. სტატისტიკური მონაცემებით, ნაციონალური სიმდიდრის ყველაზე ძვირადღირებული ნაწილი ბრიტანელთა საცხოვრებელი სახლები აღმოჩნდა. მათი საერთო ფასი 2,7 ტრილიონ ფუნტ სტერლინგს უტოლდება. ეს ციფრი 1994 წლიდან გაორმაგდა. ამის მიზეზი კი ქვეყანაში წამოწყებული სამშენებლო ბუმი და საცხოვრებელი ბინების საშუალო ღირებულების ზრდა გახდა.

ნაციონალური მონაპოვარის ნუსხაში მეორე ადგილი 565 მილიარდი ფუნტ სტერლინგის ღირებულებით, საწარმოო და ადმინისტრაციულ შენობა-ნაგებობებს უკავია. მესამე პოზიციაზე 537 მილიარდი ფუნტი სტერლინგით საინჟინრო-სამშენებლო ობიექტებია (ავტო და სარკინიგზო მაგისტრალების, მილსადენების ჩათვლით). საერთო ჯამში კი, ბრიტანეთის გაერთიანებული სამეფოს თითოეულ მცხოვრებზე ეროვნული სიმდიდრის 85 ათასი ფუნტი სტერლინგია გამოთვლილი. **24 საათი**

საზოგადოება

# მხატვრებმა „განახლება" ახალ წელსა და ხელისუფლებას მიუძღვნეს

საქართველოს სამხატვრო აკადემიის სტუდენტებმა და აკადემიის კურსდამთავრებულებმა კედლის მოხატვის აქცია გამართეს. ახალგაზრდა მხატვრებმა ამჯერად ყოფილი მხატვრის სახლის ტერიტორიაზე არსებული ღობე შეარჩიეს. როგორც გია ბუღაძემ აღნიშნა, მხატვრებმა ესკიზები თავადვე შექმნეს და მას ახალ წელს და ახალ ხელისუფლებას უძღვნიან. ზოგადად, ამ ნამუშევარს „განახლება" ერქმევა. კედლის მოხატვაზე 17-მდე მხატვარი მუშაობს. გია ბუღაძის თქმით, ღონისძიება იმ აქციის ნაწილია, რომელიც ქართველმა მხატვრებმა, მისივე ინიციატივით, ერთი წლის წინათ დაიწყეს თბილისის უსახური კედლებისა და ღობეების მოხატვით. გუშინ შუადღის 12 საათზე დაწყებული აქცია 17 საათზე დასრულდა.

*მედია-ნიუსი*



*უკან პარლამენტია*

# ნახეთ, როგორ მღერის ამირან გამყრელიძე

*შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში გუშინ ტრადიციულად ტკბილი, წინასაახალწლო ბრიფინგი ჩატარდა. სამინისტროს ხელმძღვანელები წლის ბოლო შეხვედრას მედიასთან შამპანურითა და ნამცხვრებით ასრულებენ. ეს დღე იმ იშვიათ გამონაკლისთა შორისაა, როცა ქვეყნის ყველაზე რთული სფეროების ნომერ პირველ კურატორებს მედიის წარმომადგენლები კარგ განწყობილებას ყველაზე ნაკლებად უფუჭებენ.*

მაკა ჭაიანი

მიუხედავად ამისა, რამდენიმე საჭირბოროტო კითხვა გუშინდელ ბრიფინგზეც დაისვა, მაგალითად - რამდენად დაცულები ვართ ატიპური პნევმონიისგან, რომელმაც მსოფლიოს კვლავაც შეახსენა თავი? გვარწმუნებენ, რომ დაცულები ვართ. ინფექციურ საავადმყოფოში ამ შემთხვევებისთვის გათვალისწინებული სპეციალური სამედიცინო ბოქსებია მოწყობილი, თუმცა სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ მათი გამოყენება საქართველოს მოსახლეობას არ დასჭირდება, იმ მიზეზის გამო, რომ ატიპური პნევმონიით დაავადებული ტაივანელი ექიმის იზოლირება დროულად მოხერხდა, ტელევიზიის ჩინელი პროდუსერის დიაგნოზი კი ჯერ დადასტურებული არ არის. მიუხედავად ამისა, იქაურ ექიმებს დადგენილი ჰყავთ ორმოცივე პიროვნება, ვისთანაც მას დაავადების დაწყებიდან ჰქონია კონტაქტი.

ჩვენი ქვეყნისთვის ნაკლებმნიშვნელოვანი არც ე.წ. რიგითი გრიპებია. აქამდე უცხო შტამპების გრიპით გამოწვეული გართულებების გამო, შარშან სიცოცხლეს იმდენი ადამიანი გამოესალმა, ჩამოსათვლელად ორივე ხელის თითები არ გვეყოფა. ჯერჯერობით გრიპით დაავადების შემთხვევები საგანგაშო ნიშნულს არ გათანაბრებია, თუმცა რესპირატორული დაავადებების პიკს ექსპერტები იანვრის მეორე ნახევრისთვის მოელიან. დაავადებათა კონტროლის ეროვნულმა ცენტრმა უკვე ურჩია მოსახლეობის ყრმა და ასაკოვან ნაწილს, აიცრას გრიპის წინააღმდეგ. გუშინ ეს გაფრთხილება ერთგვარად დაიხვეწა – სასურველია, ვაქცინაცია სუსტი ჯანმრთელობის მქონეებსაც ჩაუტარდეთ, შედარებით ჯანმაგრებმა კი, უმჯობესია, რეზისტენტულობა გამოიმუშაონ.

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს განვლილი წელი გუშინ არ შეუჯამებია. ამისთვის მან ახალი წლის პირველი სამშაბათი შეარჩია – ერთგვარი ლუფტი არჩევნებიდან ახალი პრეზიდენტის ინაუგურაციამდე. ის კი აღნიშნა, რომ მიუხედავად სიძნელეებისა, მიმდინარე წელს მოხერხდა ისეთი მნიშვნელოვანი პროგრამის განხორციელება, როგორიც დასაქმების სახელმწიფო პროგრამაა და, რაც მთავარია, დეკემბრის თვეში სოციალური სფერო გადაჭარბებითაც დაფინანსდა. მომავალ წელს დაგეგმილ დეტალურ საუბრამდე ამირან გამყრელიძის ხილვა სატელევიზიო გადაცემა "ჯანმრთელობაში" იქნება შესაძლებელი. მინისტრი, როგორც გუშინ გაგვიმხილეს, იმღერებს. სამინისტროში იმედი აქვთ, რომ ეს მისი "გედის სიმღერა" არ იქნება.

# რა უჯდება ქვეყანას ერთი ახალი წელი?

თითქმის ცარიელი ხაზინის მიუხედავად, ადგილობრივ ხელისუფლებას თბილისელებისთვის მიცემული პირობის შესრულება არ გასჭირვებია. 31 დეკემბრის ღამეს და მომდევნო დღეებში გამართული ღონისძიებების დაფინანსებაზე, საკუთარი მასშტაბების გათვალისწინებით, რამდენიმე ასეულ ათასი ლარი გაიხარჯა. თუმცა, თანხის მნიშვნელოვანი ნაწილი ქართველმა ბიზნესმენებმა გაიღეს, მერიამ კი "ცარიელ ჯიბეში" მხოლოდ ორმოცი ათასი ლარის მოძიება შეძლო.

ამ დღეებში სხვადასხვა ინტერნეტ-გვერდების გადათვალიერების დროს ხშირად წააწყდებით შემდეგი სახის ინფორმაციას: მაგალითად, რამდენს ხარჯავს ნიუ-იორკის, ლონდონის, პარიზის, რომის, ამსტერდამის, ან თუნდაც, პრაღისა და ბუდაპეშტის ადგილობრივი ხელისუფლება იმისთვის, რომ საკუთარ მოსახლეობას შესაბამისი საახალწლო განწყობა შეუქმნას.

საახალწლო ღონისძიებების ბიუჯეტი, როგორც წესი, ამ ქვეყნებში რამდენიმე მილიონი დოლარით განისაზღვრება, აღარაფერს ვამბობთ თავად ღონისძიებების შინაარსზე. ერთი ამდენის დახარჯვა ამერიკელებმა და ევროპელებმა შობის წინა დღეებში უკვე მოასწრეს.

ყოველივე ამის ფონზე ქართველი ჩინოვნიკების მიერ საკუთარი ხალხისთვის გაღებული საახალწლო მოწყალება – 40 ათასი ლარი საკმაოდ მოკრძალებული ციფრია. მაშინ, როცა ამერიკის ერთ-ერთი ქალაქის მერიამ ცენტრალური ნაძვის ხისა და მის აღჭურვილობისათვის, დაახლოებით, ამდენივე დახარჯა.

სახელმწიფო ბიუჯეტის, დაახლოებით, 350-მილიონიანი სეკვესტრის პირობებში იყო ერთგვარი შიში იმისა, რომ ადგილობრივი ხელისუფლება თბილისელებისთვის საახალწლო განწყობის შექმნას სათანადოდ ვერ მოახერხებდა და წლის დასაწყისში ჩაფიქრებული და ტრადიციული საშობაო-საახალწლო ღონისძიებები ჩაიშლებოდა. ეს ალბათ, ასეც იქნებოდა, რომ არა კომპანია "არტ-სტუდია", რომელმაც, ფაქტობრივად, საკუთარ თავზე აიღო 31 დეკემბრის ღამის გრანდიოზული შოუს მოწყობა. მან რამდენიმე ქართველი ბიზნესმენისა და მოხალისე მსახიობ-მომღერლების დახმარებით შეძლო ამის ორგანიზება.

წელსაც ისევე, როგორც გასულ წლებში, მერიამ თბილისელი ობოლი და უპატრონო ბავშვების მომადლიერება საზღვარგარეთიდან გამოგზავნილი საახალწლო საჩუქრებით მოახერხა. წელს ამ საჩუქრების ღირებულებამ რამდენიმე ათასი ამერიკული დოლარი შეადგინა.

წინა წლებისგან განსხვავებით, წელს ქალაქის კეთილმოწყობის სამსახურმა საკუთარი ფინანსური ძალისხმევით მოახერხა დედაქალაქის თუნდაც ცენტრალური ქუჩებისა და გამზირებისათვის საახალწლო იერსახის მიცემა. ხსენებულმა სამსახურმა წელს მეზობელი ქვეყნების დახმარების გარეშე შეძლო რამდენიმე ახალი საახალწლო ნაძვის ხის, მოსართავი სათამაშოების, ილუმინაციებისა და ფეიერვერკების შეძენა. დედაქალაქის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურმა ყოველივე ამისთვის წელს, დაახლოებით, 15 ათასამდე ლარი დახარჯა.

თბილისის კულტურის საქალაქო სამსახურის დათო ოქიტაშვილის ინფორმაციით, ადგილობრივი ბიუჯეტით ფინანსდება ყველა ის ღონისძიება, რომელიც ამ დღეებში გაიმართა და უახლოეს რამდენიმე დღეში გაიმართება სპორტის სასახლეში, ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში, ცირკსა და მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლეში.

*24 საათი*

# წელს დაბადებულ პატარა ზურას გადარჩენის იმედი წელსვე დაუბრუნეს

*საშუალოდ, 100 ბავშვიდან ერთი გულის თანდაყოლილი მანკით იბადება. ადრე ასეთი ბავშვები საოპერაციოდ მოსკოვში, ერევანში, ან საზღვარგარეთ მიჰყავდათ. წლევანდელ დეკემბერს უკვე ექვსი წელი შესრულდა, რაც ამგვარი ოპერაციები საქართველოშიც კეთდება, თანაც - უფასოდ. ეს კი ნიშნავს, რომ წელიწადში, დაახლოებით, ორასი ბავშვი სიკვდილის საფრთხეს გადაურჩება ხოლმე. ამ ოპრაციების მნიშვნელობასა და აუცილებლობაზე არავინ დავობს. ეს ის შემთხვევაა, როდესაც კლინიკას სახელმწიფო ნებისმიერი მთავრობისა და ნებისმიერი ფინანსთა მინისტრის დროს მაქსიმალურად მხარში უდგას. მაგრამ, ბუნებრივია, სახელმწიფოში არსებული მდგომარეობა საბიუჯეტო დაფინანსებაზე მყოფ კლინიკაში ყოველთვის აისახება ხოლმე. ამ წლის სექტემბრიდან, როდესაც ხაზინა ფულისგან მთლიანად დაიცალა, კლინიკა გაჩერდა. ვერც გადაუდებელ ოპერაციებს აკეთებდნენ და, ბუნებრივია, ვეღარც გეგმიურს. თუმცა, კლინიკის გახსნა მაინც წელსვე მოხერხდა. 8 დეკემბერიდან "ჯო ენის კლინიკა" ისევ ინტენსიურად მუშაობს. ძალიან ბევრ პატარას ფიზიკური გადარჩენის შანსი ისევ გაუჩნდა.*

ნინო ცინცაძე

ჯო ენის სახელობის ბავშვთა გულის ქირურგიისა და კარდეოლოგიის კლინიკა 1996 წლის დეკემბერში გაიხსნა ამერიკული არასამთავრობო ორგანიზაცია Global Healing-ის დახმარებით. მაშინ ამ და სხვა ჰუმანიტარულმა ორგანიზაციებმა კლინიკას 5 მილიონი დოლარის ღირებულების აპარატურა გადასცეს. Global Healing-ის პირველი პრეზიდენტი ქალბატონი ჯო ენ მაკგოუელი იყო. მისი გარდაცვალების შემდეგ, კლინიკა მის სახელს ატარებს.

ეს კლინიკა საქართველოში ერთადერთია, სადაც თანდაყოლილ მანკებზე კეთდება ოპერაციები. დღეს იგი მთელ საქართველოსა და ამიერკავკასიას ემსახურება და, რაც მთავარია, ეს უძვირესი ოპერაცია მშობლებისათვის, პრაქტიკულად, უფასოა. ოპერაციისა და პოსტოპერაციული მკურნალობის ხარჯებს საკუთარ თავზე სახელმწიფო იღებს. მშობელს მხოლოდ მოსამზადებელ პერიოდში ანალიზების თანხის - დაახლოებით, 100 ლარის გადახდა უწევს, რაც, თავისთავად, ძვირი სულაც არ არის, მაგრამ ბევრს ამის საშუალებაც არ გააჩნია.

ჯო ენის კლინიკაში თვეში, საშუალოდ - ოცს, წელიწადში კი ორასზე მეტ ოპერაციას აკეთებენ, მაგრამ მუშაობა ყოველთვის ესქტრემალურ პირობებში უწევთ. ოპერაციას იმხელა ხარჯები აქვს, რომ, თუნდაც, ერთი თვის მასალას ერთბაშად ვერ იყიდი. ყიდულობენ ორი კვირის მასალას, შემდეგ ორ კვირაში კი რა მოხდება, არავინ იცის, მაგრამ ოპერაციებს მაინც გეგმავენ. ბავშვს კლინიკაში დასაწოლად მომზადება სჭირდება. ერთი კვირით ადრე ანალიზების კეთება უნდა დაიწყო; მით უმეტეს, თუ რაიონიდან ჩამოდიან, მეტი დრო იხარჯება. როდესაც სახელმწიფოს ძალიან უჭირდა, იძულებულები ხდებოდნენ, მხოლოდ გადაუდებელი ოპერაციები ეკეთებინათ. ყოველთვის ცდილობდნენ, მასალა ისეთი ბავშვებისათვის შემოენახათ, რომელთა სიცოცხლის გადასარჩენადაც ერთ დღეს და ერთ საათსაც მნიშვნელობა ჰქონდა; მაშინაც კი, როდესაც, პრაქტიკულად, გაჩერებულები იყვნენ, ასეთი ბავშვებისათვის ოპერაციის გაკეთებას ახერხებდნენ ხოლმე. წელს სექტემბერში ოპერაცია რამდენიმე ასეთ ბავშვს გაუკეთდა, მაგრამ ოქტომბერ-ნოემბერში, სახელმწიფოში არსებული უმძიმესი მდგომარეობის გამო, კლინიკა, თავისი არსებობის განმავლობაში პირველად, მთლიანად გაჩერდა.

7 თვის ზურა კოხრეიძე თანდაყოლილი გულის მანკით დაიბადა. მის მშობლებს იმის საშუალებაც არ ჰქონდათ, რომ ბავშვი თბილისში ჩამოეყვანათ და ანალიზები გაეკეთებინათ. ზურას მშობლებს 100 ლარი თანასოფლელებმა შეუგროვეს. ზაფხულის ბოლოს ისინი თბილისში ჩამოვიდნენ და ბავშვს ანალიზები აუღეს. მაგრამ, მოხდა ისე, რომ სექტემბერში მხოლოდ რამოდენიმე გადაუდებელი ოპერაცია გაკეთდა. პატარა ზურა კი, რადგან მისი მდგომარეობა, ასე თუ ისე, ითმენდა, უკან გაუშვეს. ეს მისი მშობლებისთვის, ბუნებრივია, ორმაგი ტრაგედია იყო. ახლა თავიანთი შვილის ჯანმრთელობის მდგომარეობის გარდა, იმაზე უნდა ეფიქრათ, სად ეშოვათ მეორე ასი ლარი და, საერთოდ, გაიხსნებოდა თუ არა კლინიკა ისევ. საბედნიეროდ, ამ თვეში ზურას შუნტირება ჩაუტარდა. საავადმყოფოდან იგი ორი დღის წინ გაწერეს. ახალ წელს სახლში შეხვდება, იანვარში კი ძირითადი ოპერაცია ელის.

მართალია, ეს ერთადერთი კლინიკაა, სადაც ოპერაციები უფასოდ კეთდება, სადაც მუდამ სისუფთავე და წესრიგია, მაგრამ აქაურობას მაინც ეტყობა, რომ ღარიბი ქვეყნის კლინიკაა. სახელმწიფოსაგან გამოყოფილი თანხები მხოლოდ ოპერაციასა და პოსტოპერაციულ მკურნალობას ხმარდება. პალატების მოსაწყობად და სათამაშოების საყიდლად კი (ბავშვებმა ორი კვირა ფსიქოლოგიურად ჯანსაღ გარემოში რომ გაატარონ) ფული საკმარისი აღარ არის. ამიტომ კლინიკის თანამშრომლები McDonald-ის ერთობ მადლიერები არიან. ისინი გაზაფხულზე ჯო ენის თანამშრომლების მიმართვას უმალვე გამოეხმაურნენ და კლინიკის ბავშვებს სათამაშოები გაუგზავნეს, დეკემბერში კი მათთან საკუთარი ინიციატივით დარეკეს და კლინიკას კიდევ 150 სათამაშო გადასცეს. **"ჩვენთვის ეს სათამაშოები ძალიან მნიშვნელოვანი და ღირებულია ფსიქოლოგიურადაც, თერაპიულადაც და ემოციურადაც. როდესაც ბავშვი სათამაშოს ათვალიერებს, აწყობს და აკვირდება, სულ არ აინტერესებს, რას უკეთებს გვერდით ექთანი - ჭრილობის ნახვევს უცვლის, თუ დრენაჟს უღებს,"** – გვითხრა კლინიკის ფსიქოლოგმა ხათუნა დოლიძემ.

გუშინწინ კლინიკაში ამ წლის ბოლო ოპერაცია გაკეთდა. სამი ბავშვი ჯერ კიდევ ინტენსიური თერაპიის განყოფილებაში წევს. ალბათ, ისინი ახალ წელს კლინიკაში შეხვდებიან. ბედნიერი ახალი წელი და ჯანმრთელობა ვუსურვოთ მათ.

# პოლიცია მოსახლეობას წესრიგისკენ მოუწოდებს

ვისაც ბოლო ორი დღის განმავლობაში ავტომანქანით უხდებოდა დედაქალაქის ქუჩებში, განსაკუთრებით, თბილისის ცენტრში მოძრაობა, პრობლემებს ნამდვილად ვერ აარიდებდა თავს. მძღოლებს, თბილისის ცენტრში შექმნილი ეგრეთ წოდებული საცობების გამო, საათობით უხდებოდათ ერთსა და იმავე ადგილას დგომა. ქუჩებში საახალწლო მზადებამ, 31 დეკემბრის ღამეს დაგეგმილმა გრანდიოზულმა, ფართომასშტაბიანმა ღონისძიებამ, რომლისთვის მზადებაც ახალ წლამდე რამდენიმე დღით ადრე დაიწყო, მძღოლების განაწყენება გამოიწვია.

იმისთვის, რომ თბილისის ქუჩებში საახალწლო დღეებში წესრიგი იყოს დაცული და ყველა პრობლემა თავიდან აცილებული, საგზაო პოლიცია მოუწოდებს მოსახლეობას, ზედმიწევნით შეასრულოს კანონით დაკისრებული ვალდებულებები.

როგორც თბილისის საგზაო პოლიციაში აცხადებენ, 31 დეკემბერს 6 საათიდან, რუსთაველის გამზირი მთლიანად გადაიკეტება. მათ, ვინც საახალწლო ღამეს, რუსთაველის გამზირზე დაგეგმილ კონცერტზე დასწრებას მოისურვებს, საშუალება ექნებათ, ავტომობილები მიმდებარე ქუჩებზე და სანაპიროზე გააჩერონ. საგზაო პოლიცია მოუწოდებს მოსახლეობას, დაემორჩილოს მის მოთხოვნას და დაიცვას საგზაო მოძრაობის წესები.

**"ბოლო დღეებში დედაქალაქში საგრძნობლად იმატა ეგრეთ წოდებულმა სატრანსპორტო საცობებმა, რისი მიზეზიც მოსახლეობის წინასაახალწლო სამზადისთან ერთად, რეგიონებიდან ჩამოსული სატრანსპორტო საშუალებების მომრავლება, უწესრიგოდ მიმობნეული ბაზრობები და გარე ვაჭრობები, ასევე საგზაო შუქნიშნების გაუმართავი მუშაობა ხდება"**, - აცხადებს თბილისის საგზაო პოლიციის სამმართველოს უფროსი გია ბერაძე და მოსახლეობას ამცნობს, რომ საგზაო პოლიციაში იმოქმედებს ცხელი ხაზი, რომლის მეშვეობითაც ყველას ექნება საშუალება, პოლიციას "საცობების" შესახებ შეატყობინოს. ბერაძის განცხადებით, საგზაო პოლიცია შეეცდება მის ხელთ არსებული საშუალებებით, დაუყოვნებლივ მოახდინოს რეაგირება ყოველ ზარზე და განმუხტოს სიტუაცია. ბოლო დღეებში თბილისის ქუჩებში მძღოლებისთვის შექმნილ პრობლემას, გარდა საახალწლო სამზადისისა, გია ბერაძე მისი უწყების დაუფინანსებლობასაც აბრალებს.

"1989 წლის შემდეგ ჩვენ არც ერთი შუქნიშანი არ შეგვიცვლია, უბრალოდ, ამის ფინანსური საშუალება არ გვაქვს. არადა, ამჟამად თბილისში 140.000 ავტომანქანაა რეგისტრირებული, რასაც ემატება ყოველდღიურად რეგიონებიდან ჩამომავალი 50.000-მდე ავტომობილი. ასე რომ, პრობლემა ნამდვილად მოსაგვარებელია, თუმცა დიდი მნიშვნელობა აქვს თითოეული მძღოლის ქცევასაც. თუკი მოსახლეობა მისთვის კანონით დაკისრებულ ვალდებულებას შეასრულებს და ქუჩაში მოძრაობის წესებს მონდომებით დაიცავს, თბილისის ქუჩები აღარ გადაიტვირთება და პრობლემებიც ნაკლებად იქნება", - აცხადებს თბილისის საგზაო პოლიციის სამმართველოს უფროსი.

*24 საათი*

## ორი სიტყვით

**თბილისი.** უშიშროების სამინისტროს სპეც-დანიშნულების რაზმის "ალფას" ყოფილი წევრების სასამართლო პროცესი, რომელიც საოლქო სასამართლოში უნდა გამართულიყო, გადაიდო. აღნიშნული პირები 18 დეკემბერს ფალიაშვილის ქუჩაზე დააკავეს, მათ ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო ტარება და სამართალდამცველთათვის წინააღმდეგობის გაწევის ბრალდებები წაუყენეს.

დაკავებულთაგან რამდენიმე, უშიშროების სამინისტროს სპეც-რაზმ "ალფაში", ინტერპოლის მიერ ძებნილ უშიშროების ექს-მინისტრ იგორ გიორგაძის პერიოდში ირიცხებოდნენ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** შინაგანი ჯარების N1 ოპერატიულმა ბრიგადამ თურქეთის რესპუბლიკისგან გრანტის სახით სამხედრო ფორმა, აღჭურვილობა და "ჯიპის" ტიპის ორი ავტომანქანა მიიღო. დღესვე შინაგანი ჯარების ოპერატიულმა ბრიგადამ სპეციალური სამთვიანი გადამზადების კურსის გავლის შემდეგ შინაგან საქმეთა მინისტრის გიორგი ბარამიძის წინაშე ფიცი დადო. 1998 წლიდან საქართველოს თურქეთის რესპუბლიკის ჟანდარმერიასთან ურთიერთთანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულება აქვს გაფორმებული, რომლის საფუძველზეც თურქეთი ქართულ მხარეს ყოველწლიურად სამხედრო აღჭურვილობას და ფორმებს გადმოსცემს. გარდა ამისა, თურქი სპეციალისტები საქართველოს შინაგანი ჯარების ასეულებს სამთვიანი გადამზადების სპეცკურსს უტარებენ, რის შემდეგაც ასეული შინაგან საქმეთა მინისტრის წინაშე ფიცს დებს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** პრეზიდენტობის კანდიდატი თემურ შაშიაშვილი აღშფოთებას გამოთქვამს "რუსთავი-2"-ის ოფისზე განხორციელებული ტერორისტული აქტის გამო.

შაშიაშვილის განცხადებით, სახელმწიფოს ადმინისტრაციულმა ორგანოებმა აუცილებლად უნდა გამოიძიონ მომხდარი ფაქტი და პასუხი აგებინონ დამნაშავეებს, რათა ქვეყანაში დაუსჯელობის სინდრომი არ გამეფდეს და უნებურად დამნაშავეთა წახალისება არ მოხდეს. "მე ვფიქრობ, რომ ქვეყანაში სერიოზული ძალა მოქმედებს, რომელსაც სახელმწიფოში დესტაბილიზაციის გამოწვევა და ქაოსის შექმნა სურს. ამ ყველაფერს წინ სამართალდამცველები უნდა აღუდგნენ და თითოეული მოქალაქის უსაფრთხოება დაიცვან," - აღნიშნა შაშიაშვილმა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა ნინო ბურჯანაძემ 21 პატიმრის შეწყალების აქტს ხელი მოაწერა და შეწყალებულმა მსჯავრდებულებმა სასჯელაღსრულების დაწესებულებები გუშინ დატოვეს.

შეწყალებულთა შორის სხვადასხვა დანაშაულისთვის გასამართლებული პირები არიან, რომლებიც მძიმე დანაშაულისთვის არ იყვნენ მსჯავრდებულები. შეწყალებულთა შორის არ არიან ქალები და არასრულწლოვანი პატიმრები. კანონის თანახმად, შეწყალების კომისია მხოლოდ იმ პატიმართა საქმეებს განიხილავს, რომლებსაც სასჯელის ნახევარი მოხდილი აქვთ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** შიდა ქართლის შს სამმართველოს თანამშრომლების მიერ ჩატარებული სპეცოპერაციის შედეგად ხაშურის რაიონში მცხოვრები, 53 წლის ლეილა კობალაძე დააკავეს. მის სახლში ჩატარებული ჩხრეკის შედეგად ამოღებულია 600 გრამი ნარკოტიკული ნივთიერება კოკნარი. ჩხრეკის დროს კობალაძემ პოლიციას წინააღმდეგობა გაუწია და ნარკოტიკების განადგურება სცადა, თუმცა უშედეგოდ.

საქმე ხაშურის პროკურატურაში ნარკოტიკული ნივთიერების უკანონოდ შენახვის მუხლით აღიძრა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლისა და თბილისის გლდანი-ნაძალადევის პოლიციის მე-5 განყოფილების თანამშრომლებმა, გატარებული ოპერატიული ღონისძიებების შედეგად, ცოტნე დადიანის გამზირზე დააკავეს სვირის ქ. №30-ში მცხოვრები, ნასამართლევი, 50 წლის ანდრეი ოსიპოვი, რომელსაც ჩამოართვეს 16 ასანთის კოლოფში დაფასოებული, სარეალიზაციოდ გამზადებული 54 გრამი მარიხუანა, რომლის ღირებულება შავ ბაზარზე 400 ლარია. ტარდება ღონისძიებები ნარკოტიკის პირველადი წყაროს დადგენის მიზნით. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** რუსთავის შს სამმართველოს თანამშრომლებმა დააკავეს მშენებელთა ქ. №28-ში მცხოვრები, ნასამართლევი, 22 წლის ზურაბ კუპრაძე და თოდრიას ქ. №13-ში მცხოვრები, 30 წლის ალექსანდრე ჯიშკარიანი, რომლებიც კოსტავას ქ. №1-ში მდებარე შპს „ბადრი კიკაბიძის" მაღაზიაში თავს დაესხნენ იქ მყოფ დარაჯს აბელ კობახიძეს, რომელიც სცემეს და მაღაზიაში არსებულ ნივთებისა და სურსათის გატაცებას შეეცადნენ. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**ახალციხე.** ახალციხეში ყაჩაღური თავდასხმა მოხდა. ოთხი ნიღბიანი ნიკოლაძის N41-ში მდებარე ერთ-ერთ ბინაში შეიჭრა, რომელშიც სომეხი ეროვნების მოხუცი ცოლ-ქმარი ცხოვრობს. ოჯახის უფროსის გადმოცემით, უცნობები ფულს ითხოვდნენ. მათ ცოლ-ქმარს მძიმე ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს. განსაკუთრებით დაზარალდა მოხუცი ქალბატონი, რომელსაც თავის არეში მძიმე დაზიანებები აქვს მიყენებული და ამჟამად ახალციხის რაიონულ საავადმყოფოში წევს. ბოროტმოქმედთა დაკავება ჯერჯერობით ვერ მოხერხდა. მიმდინარეობს გამოძიება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**ახალციხე.** ახალციხის ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის ქვეგანყოფილების თანამშრომლებმა ხუთი პირი დააკავეს, რომელთაც ოპიუმის მოხმარება ედებათ ბრალად. ნიკოლოზ თაბუნიძე, გიორგი დიასამიძე, რამაზ როხვაძე და ვინმე გარიკა, რომლის გვარი, ჯერჯერობით, უცნობია, გურამიშვილის N64-ში, სარქის თათევოსიანის საცხოვრებელ ბინაში დააკავეს. პოლიცია ბინაში იმ დროს გამოჩნდა, როცა ისინი ყაყაჩოს თესლისაგან ოპიუმს ამზადებდნენ. აღნიშნული ბინიდან ამოღებული რამდენიმე კოლოფი ყაყაჩოს თესლი ადგილზე გაანადგურეს. ახალციხის ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის ქვეგანყოფილების უფროსის ვეფხია მაღრაძის განცხადებით, ახალციხის რაიონში ყაყაჩოს თესლის რეალიზაციას ადგილი არ ჰქონია. თავად დაკავებულები აცხადებენ, რომ ყაყაჩოს თესლი ერგნეთის ბაზრობაზე შეიძინეს. **ინტერ-პრესი**

# მერაბ ჟორდანიას ახლად აღმოჩენილმა გარემოებამ ვერ უშველა

*საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია წინასწარი პატიმრობიდან ვერც ახლად აყვანილმა ადვოკატმა გაათავისუფლა. მიუხედავად შალვა შავგულიძის მცდელობისა, რომ ჟორდანია ახალ წელს სახლში შეხვედროდა, მთაწმინდა-კრწანისის სასამართლომ უკვე მეორედ გაამწესა ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი თბილისის მეხუთე საპყრობილეში.*



მამუკა სონღულაშვილი

გოჩიტა ბახსიძის ფოტო

ჩვეულებრივ, აღმკვეთი ღონისძიების შესახებ საოლქო სასამართლოს მიერ გამოტანილი ვერდიქტი გასაჩივრებას არ ექვემდებარება, მით უმეტეს, ქვედა ინსტანციის სასამართლოში. ერთადერთი შემთხვევა, როცა საოლქოს გადაწყვეტილება შეიძლება შეიცვალოს, ახალი გარემოების აღმოჩენა გახლავთ. მერაბ ჟორდანიას ახალმა ადვოკატმა შალვა შავგულიძემაც სწორედ ამგვარი პრეტენზიის მქონე შუამდგომლობით მიმართა მთაწმინდა-კრწანისის სასამართლოს თავმჯდომარეს და დაცვის ქვეშ მყოფის გათავისუფლება მოითხოვა.

ჟორდანიას დაპატიმრების კანონიერებაში ეჭვის შესატანი ახალაღმოჩენილი გარემოება კი საკმაოდ ძველი ამბავი გამოდგა. კერძოდ ის, რომ მერაბ ჟორდანია საპარლამენტო არჩევნებში მაჟორიტარ დეპუტატად იყრიდა კენჭს ლანჩხუთის რაიონიდან. შესაბამისად, ადვოკატმა მიიჩნია, რომ ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს, საარჩევნო კოდექსის 102-ე მუხლის თანახმად, დღემდე იცავს დეპუტატობის კანდიდატის იმუნიტეტი და მისი პატიმრობაში ყოფნის კანონიერება ამით კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა.

გუშინ მთაწმინდა-კრწანისის სასამართლოში შალვა შავგულიძის შუამდგომლობის განხილვას დახურული სასამართლო პროცესი მიეძღვნა. მთაწმინდა-კრწანისის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარის მამუკა სონღულაშვილის მიერ უკვე ღიად გამოცხადებული გადაწყვეტილება კი ასეთი გახლდათ: არ დაკმაყოფილდეს მერაბ ჟორდანიას ადვოკატის შუამდგომლობა. მოსამართლის ამგვარი ვერდიქტის არგუმენტაცია ასეთია: მამუკა სონღულაშვილმა ადვოკატის მიერ მიჩნეული ახალი გარემოება საფუძვლიანად არ მიიჩნია, რადგანაც, მართალია, ლანჩხუთში მაჟორიტარი დეპუტატის არჩევნების მეორე ტურია დანიშნული, მაგრამ მერაბ ჟორდანია ამ პროცესში არავითარ მონაწილეობას არ ღებულობს. მეორე ტურში 2 ნოემბრის არჩევნებში პირველ-მეორე ადგილზე გასული კანდიდატები ერკინებიან ერთმანეთს, ჟორდანია კი მათ შორის არ არის, შესაბამისად, ის აღარ ითვლება დეპუტატობის კანდიდატად და არც იმუნიტეტით სარგებლობს.

მოსამართლის გადაწყვეტილებას არ ეთანხმება ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის ადვოკატი შალვა შავგულიძე, თუმცა კი, აღიარებს, რომ ჟორდანია მართლაც არ მონაწილეობს არჩევნების მეორე ტურში, მაგრამ მონაწილეობის თეორიული შანსი გააჩნია.

**"ლანჩხუთის მაჟორიტარი დეპუტატის არჩევნებში ჟორდანია მესამე ადგილზე გავიდა. ეს კი ნიშნავს, რომ პირველ-მეორე ადგილზე გასული კანდიდატებიდან ერთ-ერთი ნებისმიერი მიზეზით რომ გამოეთიშოს მეორე ტურს, ავტომატურად დადგება არჩევნებში მერაბ ჟორდანიას მონაწილეობის საკითხი. ჩემი პოზიცია ასეთია, რომ სანამ ლანჩხუთის მაჟორიტარი დეპუტატის არჩევნები არ ჩატარდება, ჟორდანია დეპუტატობის კანდიდატია და იგი დეპუტატობის კანდიდატის ხელშეუხებლობითაც სარგებლობს"**, - განაცხადა პროცესიდან გამოსულმა შალვა შავგულიძემ, რომელიც მამუკა სონღულაშვილის გადაწყვეტილებას საოლქო სასამართლოში გაასაჩივრებს.

როგორც ცნობილია, ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი 12 დეკემბერს დააკავეს თბილისის აეროპორტში. გამოძიების ვერსიით, იგი, სამართალდამცველთაგან დამალვის მიზნით, საქართველოს დატოვებას აპირებდა. მას შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამოძიებო სამმართველო 741 ათასი ლარის ოდენობის გადასახადის დამალვას ედავება და ამის გამო სისხლის სამართლის საქმე კოდექსის 160-ე მუხლით არის აღძრული. თუმცა, იმავე შინაგან საქმეთა სამინისტროში არ გამორიცხავენ, რომ გამოძიების პროცესში მის ბრალდებას მილიონობით დოლარის გადამალვა დაემატოს.

# შპიონაჟში ბრალდებული ფიზიკოსი სასამართლომ გაამართლა

ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ გაამართლა ციმბირელი მეცნიერი ფიზიკოსი, რომელსაც ბრალად ედებოდა ჩინეთის სასარგებლოდ შპიონაჟი და თაღლითობა.

კრასნოიარსკის ტექნიკური უნივერსიტეტის სითბური ფიზიკის ცენტრის ყოფილ დირექტორს ვალენტინ დანილოვს 20 წლით თავისუფლების აღკვეთა ემუქრებოდა. თუმცა, 12-დან რვა ნაფიცმა მსაჯულმა დანილოვის წინააღმდეგ არსებული მტკიცებულებები არასაკმარისად მიიჩნია და მოსამართლემ გამამართლებელი განაჩენი გამოიტანა.

1999 წელს დანილოვმა ხელშეკრულება დადო ჩინეთის სახელმწიფო კომპანიასთან, რომლის მიხედვითაც კოსმოსში თანამგზავრების ლიკვიდაციის შესასწავლად უნდა შეექმნა საცდელი სტენდი და მოეხდინა ამ სტენდის პროგრამული უზრუნველყოფა.

ყოველივე ეს კი გახდა საფუძველი იმისა, რომ ფედერალური უშიშროების სამსახურს მეცნიერი ჩინეთისთვის საიდუმლო მასალების გადაცემაში დაედანაშაულებინა. გარდა ამისა, დანილოვს დაბრალდა ნახევარ მილიონამდე რუბლის (15 ათასი დოლარის) გაფლანგვა. ამ თანხით დანილოვმა სტენდისათვის აპარატურა შეიძინა ამერიკული ფირმისგან.

უშიშროების სამსახურის მიერ ბრალდების წაყენების შემდეგ დანილოვის საქმემ არაერთი სასამართლო ინსტანცია მოიარა, სანამ არ იქნა დაკმაყოფილებული მისი ადვოკატების მოთხოვნა. ისინი ითხოვდნენ, მეცნიერის საქმე ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განეხილა.

რუსეთის უზენაესმა სასამართლომ ერთხელ უკვე მიუთითა პროკურატურას იმაზე, რომ დანილოვისთვის წაყენებული ბრალდებები კონკრეტიკას მოკლებულია და მტკიცებულებების შეგროვებაზე სათანადო სამუშაო არ არის ჩატარებული. მიუხედავად ამისა, დანილოვის ადვოკატის თქმით, პროკურატურამ ექსპერტად მოიწვია ადამიანი, რომელსაც უმაღლესი განათლება ფიზკულტურის ინსტიტუტში აქვს მიღებული. ადვოკატის აზრით, სწორედ ექსპერტის უუნარობამ და უცოდინრობამ სითბური ფიზიკის სფეროში არსებითი როლი ითამაშა გამამართლებელი განაჩენის გამოტანაში.

ბოლო წლებში ფედერალური უშიშროების სამსახურმა უკვე რამდენიმე მეცნიერი და ჟურნალისტი დაადანაშაულა უცხოეთის სპეცსამსახურებთან თანამშრომლობაში, რამაც ადამიანის უფლებების დამცველებსა და უცხოელ მიმომხილველებს საბაბი მისცა, საბჭოური სუკ-ის მუშაობის მეთოდებისა და სტილის აღორძინების შესახებ საუბარი დაეწყოთ.

# უკანონოდ მოჭრილმა ნაძვის ხეებმა სახელმწიფო 18 ათასი ლარით აზარალა

შს სამინისტროს ეკოლოგიური პოლიციის მთავარმა სამმართველომ, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრომ, სატყეო მეურნეობის დეპარტამენტმა, შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა ნაძვების უკანონოდ ჭრის ფაქტების გამოსავლენად ერთობლივი რეიდები განახორციელეს, რის შედეგადაც შემდეგი სახის დარღვევები გამოვლინდა:

თბილისში რეიდების დროს ამოღებულია 1072 ძირი ნაძვი და სოჭის ჯიშის ხეები. სახელმწიფოსათვის მიყენებულმა ზარალმა 3 ათას 795 ლარი შეადგინა. სხვა დანარჩენ ფაქტებზე მიმდინარეობს მოკვლევა.

სამეგრელო-ზემო სვანეთის ეკოლოგიური პოლიციის სამხარეო სამსახურის თანამშრომლებმა რეიდის დროს მოვაჭრეებს ჩამოართვეს 420 ძირი სოჭის ჯიშის ხეები, ხოლო ზარალმა 5 ათას 400 ლარი შეადგინა. 55 ძირი ნაძვის ხის ამოღების ფაქტზე შედგა 10 ადმინისტრაციული ოქმი. სამეგრელოს რეგიონში ამოღებულია 677 ცალი წიწვოვანი ჯიშის ხე.

მცხეთა-მთიანეთის რეგიონის ეკოპოლიციამ ნატახტრის საგუშაგოზე დააკავა ზუგდიდელი დათუნა ანთიას კუთვნილი „იკარუსის" მარკის ავტობუსი, რომელსაც ზუგდიდიდან მოჰქონდა 95 ცალი სოჭის ხე და 158 ცალი ნაძვის ჯიშის ხე. აღნიშნულ ფაქტზე ზარალმა 3 ათას 795 ლარი შეადგინა.

სამცხე-ჯავახეთის ეკოპოლიციამ ნაძვების უკანონო ჭრაზე დააკავა მურმან მოსიძე, რომელმაც ბორჯომ-ხარაგაულის ტყე-პარკში უკანონოდ მოჭრა 168 ცალი სოჭის ხე, რითაც სახელმწიფო 14 ათას 726 ლარით აზარალა. აღნიშნულ ფაქტზე აღძრულია სისხლის სამართლის საქმე.

იმერეთის ეკოპოლიციის თანამშრომლებმა რეიდების დროს ამოიღეს 2050 ძირი კრიპტომერია, 610 სოჭი.

ეკოპოლიციამ კასპის რაიონში იგოეთის საგუშაგოზე დააკავა ზუგდიდის რაიონის სოფელ კახათში მცხოვრები ზვიად გეგუჩია და ქობულეთელი თემურ ზოიძე, რომლებსაც 100 ძირი ნაძვი „იკარუსის" მარკის ავტობუსით გადაჰქონდათ.

შს სამინისტროს ეკოლოგიური პოლიციის მთავარი სამმართველოს ინფორმაციით, დღეისათვის სულ ამოღებულია 2 ათას 878 ნაძვისა და სოჭის ჯიშის ხე, 4 ათასი კრიპტომერია. სახელმწიფოსთვის მიყენებულმა ზარალმა 18 ათას 521 ლარი შეადგინა. **მედია-ნიუსი**

## გამოხმაურება

გაზეთ "24 საათის" 2003 წლის 26 დეკემბრის № 333 (545) ნომერში გამოქვეყნებულია სტატია "ყოფილი პარლამენტარი საკონსტიტუციო სასამართლოს დეზერტირობაში ადანაშაულებს", რომელშიც გამოთქმული იყო მოქალაქე თამაზ დიასამიძის კონკრეტული მოსაზრებები საკონსტიტუციო სასამართლოში მის მიერ წარდგენილი კონსტიტუციური სარჩელის განხილვის თაობაზე.

საზოგადოების ობიექტურად ინფორმირების მიზნით, აუცილებლად მიგვაჩნია დავაზუსტოთ რამდენიმე საკითხი.

საკონსტიტუციო სასამართლო კონსტიტუციური სარჩელის მიღება-არმიღების საკითხის გადაწყვეტისას, ასევე კონსტიტუციური სარჩელის არსებითი განხილვისას მოქმედებს საქართველოს კონსტიტუციის, საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ შესაბამისი კანონმდებლობისა და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტის მოთხოვნათა ზუსტი დაცვით. საკონსტიტუციო სამართალწარმოება მოქალაქე თამაზ დიასამიძის კონსტიტუციურ სარჩელზე არ წარმოადგენს გამონაკლისს ამ საერთო და სავალდებულო წესიდან.

ყველა მოქალაქეს აქვს იმის საშუალება, რომ გაიმეტოს თავისი დროის რამდენიმე საათი, გაეცნოს ჩვენს მიერ დასახელებულ კანონმდებლობას, რათა თავიდან აიცილოს მცდარი დასკვნების გაკეთება (მით უმეტეს, მასმედიის საშუალებით) და დადგენილი წესის დაცვა არ აღიქვას დეზერტირობად, სახელმწიფო – სამხედრო ნაწილად, ხოლო საკონსტიტუციო სასამართლო – ჯარისკაცად.

საკონსტიტუციო სასამართლო არ არის ცალკეულ პირთა სურვილების აღმასრულებელი ორგანო. მცდარია იმ ადამიანთა პოზიცია, რომლებიც თვლიან, რომ მათი ნება კანონმდებლის ნებაზე უზენაესია, შეუძლიათ დაუწესონ საკონსტიტუციო სასამართლოს საქმეთა განხილვის ახალი, მეტად ორიგინალური ვადები, წინასწარ დაუდგინონ საკონსტიტუციო სარჩელის განხილვის შედეგები და საკონსტიტუციო სასამართლომაც ჯარისკაცულად ან, უმჯობესია, ფარულად და ელვისუსწრაფესად, პარტიზანულ-დამკვრელურად შეასრულოს მათი სურვილი.

მოქალაქე თამაზ დიასამიძის კონსტიტუციური სარჩელის თაობაზე, საკონსტიტუციო სასამართლოს სხდომა დანიშნულია 2004 წლის 8 იანვარს, კანონმდებლობის მოთხოვნათა სრული დაცვით.

საკონსტიტუციო სასამართლო შორს არის ყოველგვარი პოლიტიკური გარიგებისგან და კვლავაც დარჩება კონსტიტუციური კანონიერების, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების დამცველად.

*საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრესსამსახური*

# თავდასხმა დეპუტატზე

მორიგი ყაჩაღობა მოხდა გორში. რამდენიმე შეიარაღებული ნიღბიანი პირი გუშინ, პარლამენტარ ბადრი ხატიძეს თავს მაშინ დაესხა, როცა მას ავტომანქანა საკუთარი საცხოვრებელი სახლის ავტოფარეხში შეჰყავდა.

თავდამსხმელები ხატიძეს და მის მეუღლეს ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღებით ემუქრებოდნენ. მუქარის შედეგად, ნიღბიანებმა ხატიძის შვილის კუთვნილი მიცუბიშის "ჯიპი" გაიტაცეს, ასევე გატაცებულია ბადრი ხატიძის კუთვნილი, მასზე რეგისტრირებული "ჩეზეს" ტიპის ცეცხლსასროლი იარაღი და მობილური ტელეფონი.

ბადრი ხატიძე მომხდარს ყაჩაღური თავდასხმის კვალიფიკაციას აძლევს და სამართალდამცველებისგან დამნაშავეთა დაუყოვნებლივ დაკავებას მოითხოვს. თუმცა, თავად პარლამენტარის განცხადებით, სამართალდამცველები მასთან დასაკითხად ჯერ არ მისულან. გორის პოლიციის უფროსი რევაზ კოტიაშვილი მომხდარ ფაქტზე კომენტარს არ აკეთებს. **მედია-ნიუსი**

# მუხაშავრიამ მეორე პროცესიც მოიგო

### გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება

*შპს პროქტოლოგიის ცენტრსა და საკრებულოს წევრ ლევან მეტრეველს შორის სექტემბერში დაწყებული დავა გუშინ შპს პროქტოლოგიის ცენტრის სასარგებლოდ გადაწყდა. საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა პალატამ მეტრეველის კერძო საჩივარი არ დააკმაყოფილა. გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება. მეტრეველი საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროს მიერ, კონკურსის გზით, შპს "პროქტოლოგიის ცენტრისა" და "ენდოქირურგიისა და ლითოტრიფიის ცენტრის" სახელმწიფო საკუთრებაში არსებული წილების 100%-ით პრივატიზებას აპროტესტებდა.*

თამარ დვალი

საოლქო სასამართლომ უსაფუძვლოდ მიიჩნია საკრებულოს წევრ ლევან მეტრეველის კერძო საჩივარი, რომლის საფუძველზეც, იგი შპს "პროქტოლოგიის ცენტრისა" და "ენდოქირურგიისა და ლითოტრიფსიის ცენტრისათვის" პრივატიზაციის შეჩერებას მოითხოვდა. მეტრეველის საჩივარში ვკითხულობთ: "წილის პრივატიზებით ხდება იურიდიული პირის მთელი ქონების გადაცემა კერძო სამართლის ფიზიკური თუ იურიდიული პირისთვის, რომელსაც ამავე დროს, როგორც მესაკუთრეს, ენიჭება უფლება გაასხვისოს, ან სხვაგვარი ვალდებულებით დატვირთოს იურიდიული პირის ქონება... გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ "პროქტოლოგიის ცენტრის" უძრავი ქონება ამჟამად სავალალო მდგომარეობაშია. იგი საჭიროებს სოლიდურ დანახარჯებს, რათა შენობა-ნაგებობაში ექსპლუატაციისათვის ნორმალური პირობები შეიქმნას..."

შპს "პროქტოლოგიის ცენტრის" დირექტორი გელა მუხაშავრია აცხადებს, რომ მეტრეველს მსგავსი განცხადებების გაკეთების საფუძველი თუნდაც იმიტომ არა აქვს, რომ იგი საერთოდ არ იცნობს არც ამ ცენტრის ხელმძღვანელობას და არც თავად კლინიკას. **"როგორ შეიძლება ადამიანმა იმ კლინიკის სავალალო მდგომარეობაზე ისაუბროს, რომელიც საერთოდ არ უნახავს. ჩვენი კლინიკა საუკეთესო მდგომარეობაშია. იგივე საკითხზე გვიჩიოდა თსსუ-ის რექტორი რამაზ ხეცურიანიც. მეტრეველიც მის მიერ დაწყებულ საქმეს აგრძელებს. წელიწადში, დახლოებით, 300 ოპერაციას ვაკეთებ. ახლახან ოჰაიოს შტატის საპრეზიდენტო, საუნივერსიტეტო კლინიკაში ვიყავი მიწვეული, რათა ჩემი ოპერაციები მათთვის გამეცნო. ამ სასამართლო პროცესების გამო, ვერ წავედი. ისეთი ხალხი მიჩივის, რომლებთანაც საერთოდ არა მაქვს შეხება. კაცს, რომელიც მთელი ცხოვრება პროქტოლოგიას ვემსახურები და ორი წიგნიც გამოვეცი, მეუბნებიან, რომ ეს ტერიტორია სხვა საქმიანობისთვის უნდა გამოვიყენო. ნუთუ შეიძლება აქ კაზინო, ან რესტორანი გავხსნა? დიდი მადლობა მინდა ვუთხრა სასამართლო კოლეგიას, რომ ასეთი გადაწყვეტილება გამოიტანა. ვიმედოვნებ, რომ ეს ბოლო პროცესია ამ საკითხთან დაკავშირებით და მეტად აღარ მომიწევს სასამართლოში სირბილი, "** – ამბობს გელა მუხაშავრია.

ლევან მეტრეველის განცხადებით, ეს გადაწყვეტილება მას ხელს არ უშლის აღნიშნული ობიექტების პრივატიზაცია შეაჩეროს, - **"როგორც კი აუქციონი გამოცხადდება, იმავე დღეს შევიტან სარჩელს და ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროს მიერ გამოცემულ ნორმატიულ აქტს გავასაჩივრებ. არ დავუშვებ, რომ რომელიმე ჩინოვნიკმა სახელმწიფო ქონება გაყიდოს. აქ საუბარია აუქციონის წესით გაყიდვაზე. ასე რომ, არავინ იცის, ვინ იყიდის ამ ცენტრს."**

მიხეილ სარჯველაძე - შპს "პროქტოლოგიის ცენტრის" ადვოკატი: **"სასამართლომ მეტრეველს კერძო საჩივარის დაკმაყოფილებაზე უარი განუცხადა და აქვე განმარტა, რომ, ამ კერძო საჩივარის მიხედვით, დავა ველარ გაგრძელდება. რადგან, კანონის მიხედვით, საპროცესო კოდექსით არის განსაზღვრული, რომ კერძო საჩივართან დაკავშირებით ზემდგომი სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება არის საბოლოო და არ საჩივრდება. მათ აქვთ უფლება შემოიტანონ სარჩელი საერთო საფუძველზე, თუმცა მე ვვარაუდობ, რომ, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, ეს იქნება დაუშვებელი სარჩელი, ვინაიდან ამ მუხლით გათვალისწინებულია, რომ სარჩელი დაიშვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ადმინისტრაციული აქტი პირდაპირ და უშუალო ზიანს აყენებს მოსარჩელეს. ვფიქრობ, რომ ლევან მეტრეველი არ არის პირი, რომელსაც შპს "პროქტოლოგიის ცენტრის", ან "ენდოქირურგიისა და ლითოტრიფსიის ცენტრის" პრივატიზაციით, ვირტუალურ დონეზეც კი, რაიმე ზიანი ადგება."**

## მოკლედ

### უშიშროების სამსახურმა ეგვიპტეში ხუთი რუსი სტუდენტი დააკავა

რუსეთის საელჩომ დაადასტურა ინფორმაცია, ეგვიპტის უშიშროების სამსახურის მიერ ისლამური უნივერსიტეტის "ალ-აზხარ" ხუთი რუსი სტუდენტის დაკავების შესახებ.

"რია ნოვოსტის" ცნობით, დაკავებულები დაღესტნიდან არიან და მათი საშუალო ასაკი 21-დან 49 წლამდეა. "იტარ-ტასის" მიერ გავრცელებული ინფორმაციით კი დაკავებულები არიან: ამირ-ხაზატ ბაცილოვი, პახროდინ გაზიმაგომედოვი, ახმედ გამზატოვი და მაგომედ ნაბიევი.

ადგილობრივი ხელისუფლების დაპირებით, ისინი დაკავების ოფიციალურ მიზეზს უახლოეს დღეებში აცნობებენ რუსეთის საელჩოს. თუმცა, უკვე გავრცელებული ინფორმაციით, სტუდენტები დაკავშირებულები იყვნენ ექსტრემისტულ მუსულმანურ ორგანიზაციებთან, რაც მათი დაკავების მიზეზი გახდა.

რუსეთის და ეგვიპტის სტუდენტური კავშირის წევრებს მეგობრების დაკავების შესახებ სტუდენტების ახლობლებმა შეატყობინეს. მათი თქმით, დაკავებულების ბინაში უშიშროების სამსახურის წარმომადგენლები დილით ადრე მივიდნენ და ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე ჩხრეკა დაიწყეს, რის შემდეგაც სტუდენტები ეგვიპტის სპეციალურ ციხეში გაგზავნეს, რომელიც ლა ზუგლის რაიონში, ამერიკის უნივერსიტეტის მახლობლად მდებარეობს.

ნათესავების ინფორმაციით, ჩხრეკის შემდეგ უშიშროების სამსახურის წარმომადგენლებმა მხოლოდ ის ლიტერატურა წაიღეს, რომელსაც უნივერსიტეტში ასწავლიან.

რუსეთის სტუდენტთა კაშირის წევრებმა დახმარებისათვის ქაიროში რუსეთის საელჩოს მიმართეს. საელჩოს დაპირებით, სტუდენტების გასათავისუფლებლად ყველაფერს გააკეთებენ. თუმცა, საელჩოს წარმომადგენელი სტეპანოვი არც იმას გამორიცხავს, რომ როლმელიმე სტუდენტს ექსტრემისტულ ორგანიზაციასთან მართლაც ჰქონდეს კავშირი.

**"მე არ გამოვრიცხავ, რომ დაკავებული სტუდენტებიდან ოთხს მართლაც ჰქონდეს გარკვეული კავშირები ექსტრემისტული ორგანიზაციების წარმომადგენლებთან",** – ამბობს სტეპანოვი.

### პაკისტანელმა მამაკაცმა ცოლები სასიკვდილოდ გაიმეტა

ქალაქ მანშეხრას მახლობლად, ჩრდილოეთ პაკისტანის ერთ-ერთ სოფელში ადგილობრივმა მცხოვრებმა კვირას ერთი ცოლი მოკლა, მეორე კი მძიმედ დაჭრა. როგორც გამოძიებამ დაადგინა, მკვლელობის მიზეზი ის გახდა, რომ ქმარმა ცოლებს შორის მუდმივ ჩხუბს ვეღარ გაუძლო და როცა საბოლოოდ გამოელია მოთმინება, ამოიღო პისტოლეტი და ცეცხლი გაუხსნა ქალებს. შედეგად, ერთი ცოლი დაიღუპა, მეორე კი მძიმედ დაჭრილი საავადმყოფოში მოათავსეს.

მკვლელი ქმარი კი ოთხ მცირეწლოვან ბავშვთან ერთად სოფლიდან გაიქცა. პოლიციამ მომხდართან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმე აღძრა და ახლა გამალებით ეძებს დამნაშავეს.

# 2003 წელი

## იანვარი



**10 იანვარი** - ჩრდილოეთ კორეის ხელისუფლებამ ოფიციალურად განაცხადა ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის შეთანხმებიდან გამოსვლის შესახებ. ფხენიანის ამ გადაწყვეტილებამ საერთაშორისო თანამეგობრობის აღშფოთება გამოიწვია. ჩრდილოეთ კორეის ბირთვულ პროგრამებთან დაკავშირებული საერთაშორისო კრიზისი დღემდე გრძელდება.

**20 იანვარი** – შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ერაყის დიქტატორს სადამ ჰუსეინს გადადგომის შემთხვევაში ხელშეუხებლობის გარანტია მისცა. ჰუსეინმა ამ პირობაზე უარი განაცხდა.

## თებერვალი



**1 თებერვალი** - ამერიკული კოსმოსური ხომალდი "კოლუმბია" მიწაზე დაშვებისას ტეხასის შტატის თავზე აფეთქდა. ხომალდში მსხდომი შვიდივე ასტრონავტი დაიღუპა.

**12 თებერვალი** – რუსეთმა, საფრანგეთმა და გერმანიამ ერაყის ომში მონაწილეობაზე უარი განაცხადეს და ვაშინგტონის პოლიტიკის წინააღმდეგ ალიანსი შექმნეს.

**15 თებერვალი** – მსოფლიოს 70-ზე მეტ სახელმწიფოში პაციფისტების საპროტესტო მარში გაიმართა. 10 მილიონზე მეტი ადამიანი ერაყის ომის წინააღმდეგ გამოვიდა.

## მარტი



**11 მარტი** - ბელგრადში შეიარაღებული თავდასხმის შედეგად მიყენებული ჭრილობებისგან გარდაიცვალა სერბეთის პრემიერ-მინისტრი ზორან ჯინჯიჩი. სერბეთის მთავრობის განცხადებით, ჯინჯიჩის მკვლელობა დანაშაულებრივმა დაჯგუფებამ "ზემუნის კლანმა" დაგეგმა და განახორციელა. ჯინჯიჩის მკვლელობამ სერბეთის დემოკრატიულ ძალებს უმძიმესი დარტმა მიაყენა.

**11 მარტი** – სომხეთში საპარლამენტო არჩევნების შედეგები გამოქვეყნდა, რომლის თანახმადაც სახელისუფლებო პარტიებმა სრული გამარჯვება მოიპოვეს. საერთაშორისო დამკვირვებლების განცხადებით, არჩევნები გაყალბდა.

**14 მარტი** - სრულიად ჩინეთის სახალხო ყრილობამ ქვეყნის ახალ პრეზიდენტად ჰუ ძინტაო აირჩია. მან ამ პოსტზე ძიან ძემინი შეცვალა, რომელიც ჩინეთს 10 წლის განმავლობაში მართავდა.



**მარტის შუა რიცხვები** - ჰონგ-კონგში გაურკვეველი დაავადებით დაიღუპა ამერიკელი ბიზნესმენი. ამ დაავადებამ, რომელსაც მოგვიანებით ატიპური პნევმონია უწოდეს, რამდენიმე თვით მთელი აზიის პარალიზება გამოიწვია. ზაფხულში ატიპური პნევმონია გაქრა, მაგრამ აციებასთან ერთად, ისევ გამოჩნდა.

**20 მარტი** – ერაყში ომი დაიწყო. აშშ-ს პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა ერაყის წინააღმდეგ სამხედრო ოპერაციის დაწყების ბრძანება გასცა. ბრძოლა კოალიციის ავიაციამ გახსნა. პირველი საჰაერო დარტყმები აშშ-ს სამხედრო თვითმფრინავებმა ერაყის დედაქალაქ ბაღდადზე მიიტანეს.

## აპრილი



**9 აპრილი** – ბაღდადის ცენტრში სადამ ჰუსეინის ძეგლი ჩამოაგდეს. კოალიციის ჯარებმა ერაყის დედაქალაქი მთლიანად დაიკავეს. ბაღდადის რამდენიმე უბანში ანტისადამური დემონსტრაციები გაიმართა, რომლის მონაწილეებიც აშშ-ს ძალებს სიხარულით და დროშების ფრიალით ეგებებოდნენ. ერაყელთა წინააღმდეგობა ბაღდადთან ერთად დაეცა. სადამ ჰუსეინი თავის შვილებთან და გარემოცვასთან ერთად მიიმალა.

**30 აპრილი** - აშშ-მ, რუსეთმა, ევროკავშირმა და გაერომ ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტის დარეგულირების დეტალური გეგმა "საგზაო რუკა" გამოაქვეყნა. დოკუმენტის თანახმად, 2005 წელს პალესტინის დამოუკიდებელი სახელმწიფო უნდა გამოცხადდეს. იმავე დღეს, მაჰმუდ აბასი პალესტინის პირველი პრემიერ-მინისტრი გახდა.

## მაისი



**1 მაისი** – ავიამზიდ "აბრაამ ლინკოლნიდან" შეერთებული შტატების მოქალაქეებს პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა მიმართა. მან ერაყში ომის დასრულება ოფიციალურად გამოაცხადა.

**12 მაისი** - საუდის არაბეთის დედაქალაქ ერ-რიადში მომხდარმა ტერაქტმა მთელ მსოფლიოში ტერორის არნახული შიში შექმნა. დასავლეთი და მისი მოკავშირე ქვეყნები თავის დასაცავად უსაფრთხოების გამკაცრებულ ზომებს მიმართავენ. ტერაქტის შედეგად 40-დე ადამიანი დაიღუპა. ტერაქტზე პასუხისმგებლობა "ალ-ქაიდამ" აიღო.

## ივნისი

**11 ივნისი** – ირანში მმართველი კლერიკალების წინალმდეგ რამდენიმე დღიანი დემონსტრაციები დაიწყო. დემონსტრანტები, ძირითადად ახალგაზრდობა, რეფორმების გატარებას მოითხოვდა.

**22 ივნისი** – ტაჯიკეთში გამართული რეფერენდუმით, ქვეყნის პრეზიდენტის პოსტზე ყოფნის ვადა ამიერიდან შვიდი წლით განისაზღვრა. ტაჯიკეთის ამჟამინდელმა ლიდერმა, რახმონოვმა, რეფერენდუმით, ფაქტობრივად, 2020 წლამდე გაიგრძელა პრეზიდენტობის ვადა.

## ივლისი



**4 ივლისი** – მოსკოვთან ახლოს, აეროდრომ "ტუშინოში," სადაც როკ-ფესტივალი "ფრთები" მიმდინარეობდა, ორმა კამიკაძე-ტერორისტმა ქალმა თავი აიფეთქა, რის შედეგადაც სამართალდამცავთა ცნობით, სულ ცოტა 16 ადამიანი დაიღუპა, ხოლო ოცდაათამდე დაიჭრა.

**7 ივლისი** - სუდანში სამგზავრო თვითმფრინავმა "ბოინგ-737" კატასტროფა განიცადა, რის შედეგადაც ბორტზე მყოფი 105 მგზავრი და ეკიპაჟის ათივე წევრი დაიღუპა. სასწაულებრივად გადარჩა მხოლოდ ერთი მგზავრი - ორი წლის ბავშვი.

**17 ივილისი** - დიდი ბრიტანეთის პოლიციამ დევიდ კელის ცხედარი აღმოაჩინა. თავდაცვის სამინისტრო თვლიდა, რომ სააგენტოს მთავარი წყარო, რომელმაც "ბიბისის" კორესპონდენტს მიაწოდა ინფორმაცია დოსიეს გაყალბების თაობაზე, სწორედ დევიდ კელი იყო.



**19 ივლისი** - ევროპის კონვენტმა ევროპის კონსტიტუციის პროექტზე მუშაობა დაასრულა და იგი იტალიის პრემიერ-მინისტრს და ევროკავშირის იმჟამინდელ თავმჯდომარეს სილვიო ბერლუსკონის გადასცა. კონსტიტუციის პროექტზე მუშაობა ერთი წელი და ოთხი თვე გრძელდებოდა.

**22 ივლისი** - ერაყში დამხობილი დიქტატორის სადამ ჰუსეინის ვაჟები – უდაი და ქუსაი მოკლეს.

## აგვისტო

**11 აგვისტო** – ავღანეთში საერთაშორისო სამშვიდობო სამხედრო ძალებს ნატო ჩაუდგა სათავეში. ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა ალიანსმა ჩრდილოატლანტიკური სივრცის მიღმა დაიწყო მოქმედება.



**16 აგვისტო** – გარდაიცვალა მეოცე საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე სისხლიანი დიქტატორი, უგანდის ყოფილი მმართველი იდი ამინი. იდი ამინი უგანდას რვა წლის განმავლობაში მართავდა. მას ასობით ათასი თანამემამულის დახოცვაში ედებოდა ბრალი.

**19 აგვისტო** – ერაყში, გაერო-ს შტაბბინის წინ ძლიერი აფეთქება მოხდა, რის შედეგადაც 22 ადამიანი დაიღუპა, მათ შორის გაერო-ს მისიის ხელმძღვანელი სერჟიო ვიეირა დე მელო.

## სექტემბერი

**7 სექტემბერი** – აშშ-ს პრეზიდენტმა კონგრესს 87 მილიარდი დოლარის გამოყოფა სთხოვა. ეს თანხა, ბუშის თქმით, ავღანეთსა და ერაყში ტერორიზმთან ბრძოლას მოხმარდება. კონგრესმა პრეზიდენტის მოთხოვნა დააკმაყოფილა.



**8 სექტემბერი** - ვენესუელის პრეზიდენტმა უგო ჩავესმა აშშ-ის ადმინისტრაციას ლათინური ამერიკის საშინაო საქმეებში უხეშად ჩარევაში დასდო ბრალი. ქვეყანაში პრეზიდენტის წინააღმდეგ მრავალათასიანი მიტინგები მიმდინარეობდა

**10 სექტემბერი** - დანით მიყენებული ჭრილობებისგან გარდაიცვალა შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ანა ლინდი. მასზე თავდასხმა სტოკჰოლმის ცენტრალური უნივერმაღის შენობასთან განხორციელდა. ანა ლინდს თავს უცნობი მამაკაცი დაესხა და დანით რამდენიმე მძიმე ჭრილობა მიაყენა. რამდენიმე კვირაში პოლიციამ ანა ლინდის მკვლელი დააპატიმრა.



**14 სექტემბერი** - ევროკავშირის იმედები, რომ შვედეთი ერთიანი ევროპული ვალუტის - ევროს ზონაში შევიდოდა, არ გამართლდა. კვირას გამართულ რეფერენდუმზე შვედებმა ევროპულ ევროს შვედური კრონი ამჯობინეს.

**27 სექტემბერი** - პალესტინური მოძრაობა "ფათხის" ცენტრალურმა კომიტეტმა, რომელსაც იასირ არაფატი ხელმძღვანელობს, პრემიერ-მინისტრ აჰმედ კურეის მთავრობის ახალი შემადგენლობა დაამტკიცა.

## ოქტომბერი



**7 ოქტომბერი** – აშშ-ს კალიფორნიის შტატის გუბერნატორად ჰოლივუდის ვარსკვლავი არნოლდ შვარცნეგერი აირჩიეს.

**15 ოქტომბერი** - მალაიზიის დედაქალაქში ისლამური ქვეყნების კონფერენციის გახსნამ საერთაშორისო მასმედიის დიდი ყურადღება მიიპყრო. ამის მიზეზად კი მასპინძელი ქვეყნის პრემიერ-მინისტრის მოჰათჰირ მოჰამადის სკანდალური და სენსაციური განცხადება იქცა. მან მუსულმანურ სამყაროს ებრაელების წინააღმდეგ ბრძოლისაკენ მოუწოდა, რადგანაც ისინი "მსოფლიოს მართავენ."

**15 ოქტომბერი** – აზრებაიჯანის საპრეზიდენტო არჩევნებში ილხამ ალიევმა გაიმარჯვა. ოპოზიციამ გაყალბებულ არჩევნებს მასობრივი საპროტესტო გამოსვლებით უპასუხა, რომელიც პოლიციამ სასტიკად დაარბია. საერთაშორისო დამკვირვებლებმა განაცხადეს, რომ არჩევნები ტოტალურად გაყალბდა.



**23 ოქტომბერი** - ლონდონის "ჰიტროუს" აეროპორტში ათი ათასობით ადამიანი შეიკრიბა. შეკრების მიზანს "კონკორდის" თვითმფრინავის უკანასკნელი რეისის დახვედრა წარმოადგენდა, რომელიც მსოფლიოში ერთადერთი ზებგერითი სამგზავრო თვითმფრინავია. ნიუ-იორკიდან "კონკორდმა" თავისი უკანასკნელი რეისი შეასრულა.

**25 ოქტომბერი** – დააპატიმრეს რუსეთის უმდიდრესი ადამიანი მიხაილ ხოდორკოვსკი. დაპატიმრების ოფიციალურ მიზეზს გადასახადებისათვის თავის არიდება და უკანონო გარიგებებში მონაწილეობა წარმოადგენდა, თუმცა ფიქრობენ, რომ ამ ნაბიჯით რუსეთის პრეზიდენტმა მნიშვნელოვანი კონკურენტი მოიშორა.

## ნოემბერი



**8 ნოემბერი** - გამთენიისას საუდის არაბეთის დედაქალაქ ერ-რიადში ძლიერი აფეთქება მოხდა, რის შედეგადაც 30-მდე ადამიანი დაიღუპა და ასამდე დაიჭრა. ასაფეთქებელი მოწყობილობა "მუჰაიას" საცხოვრებელ კომპლექსში აფეთქდა, სადაც, ძირითადად, უცხოელი სპეციალისტები ცხოვრობენ.

**9 ნოემბერი** - ოფიციალურმა თეირანმა ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს ორი მნიშვნელოვანი დოკუმენტი წარუდგინა, რომლის თანახმადაც ირანის ხელისუფლება თანხმობას აცხადებს, რათა გაერო-ს განიარაღების ინსპექციამ დაიწყოს ირანის ბირთვული ობიექტების შემოწმება. დოკუმენტში ასევე ნათქვამია, რომ ირანი შეაჩერებს ურანის გასამდიდრებელ სამუშაოებს.

**12 ნოემბერი** - ლონდონის სასამართლომ არ დააკმაყოფილა რუსეთის ხელისუფლების მოთხოვნა იჩქერიის პრეზიდენტის წარმომადგენლის აჰმედ ზაკაევის რუსეთში ექსტრადირების თაობაზე. **"რუსეთის მოთხოვნას ზაკაევის გადაცემის თაობაზე, აშკარად პოლიტიკური მოტივაცია გააჩნია," -** განაცხადა მოსამართლე ტიმოთი უორკმენმა.



**15-20 ნოემბერი** – ტერაქტების სერია სტამბოლში. ტერორისტმა-კამიკაძეებმა ორი სინაგოგა და ინგლისის საკონსულო ააფეთქეს. ტერაქტის შედეგად 62 ადამიანი დაიღუპა და რამდენიმე ასეული დაიჭრა.

**25 ნოემბერი** - აშშ-ს პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა ხელი მოაწერა ქვეყნის თავდაცვის ბიუჯეტს, რომელმაც პირველად "ცივი ომის" დასრულების შემდეგ 400 მილიარდ დოლარს გადააჭარბა.

## დეკემბერი

**7 დეკემბერი** - რუსეთში ჩატარებული საპარლამენტო არჩევნები პუტინის მომხრე პარტიების ტრიუმფით დასრულდა. მათ გარდა, დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვეს ნაციონალისტურმა ძალებმა. 5 პროცენტიანი ბარიერი ვერც ერთმა დემოკრატიულმა პარტიამ ვერ გადალახა.



**12-13 დეკემბერი** – ბრიუსელში უშედეგოდ დასრულდა ევროკავშირის წევრი და წევრობის კანდიდატი ქვეყნების სამიტი. სამიტის მონაწილეებმა ვერ მოახერხეს ევროპის კონსტიტუციის მიღება. კომპრომისს ესპანეთისა და პოლონეთის პოზიციამ შეუშალა ხელი.

**12 დეკემბერი** – ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ, 80 წლის ასაკში გარდაიცვალა აზერბაიჯანის ყოფილი პრეზიდენტი ჰეიდარ ალიევი.

**13 დეკემბერი** – ერაყის ყოფილი დიქტატორი სადამ ჰუსეინი მშობლიურ ქალაქ თიქრითთან დააპატიმრეს. ის მიტოვებული სახლის სარდაფში იმალებოდა.



**25 დეკემბერი** – გამთენიისას დამანგრეველი მიწისძვრა მოხდა სამხრეთ ირანის ქალაქ ბამში. დაღუპულთა რიცხვმა 28 ათასს გადააჭარბა.

**27 დეკემბერი** – სერბიაში გამართულ საპარლამენტო არჩევნებში მილოშევიჩის მომხრეებმა მიაღწიეს წარმატებას. დემოკრატიული ძალების მმართველობის სამწლიანმა პერიოდმა მოსახლეობის იმედები ვერ გაამართლა.

**30 დეკემბერი** – საკუთარი ხელისუფლების გასახანგრძლივებლად, უკრაინის პრეზიდენტმა კუჩმამ კონსტიტუცია შეცვალა. ამიერიდან, პრეზიდენტი შეიძლება მესამე ვადით აირჩიონ და ამას ხალხის ნაცვლად პარლამენტი გააკეთებს. ოპოზიცია აცხადებს, რომ "დიქტატურას არ შეურიგდება".

**30 დეკემბერი** - ლიტვის საკონსტიტუციო სასამართლომ გამამტყუნებელი განაჩენი გამოუტანა პრეზიდენტ როლანდას პაკსასს. მას ბრალი ედება რუსულ ორგანიზებულ დანაშაულთან კავშირში.

www.24hours.ge 24 B

# ეს სულ სხვა საქართველო იყო

## საახალწლო ნომინაციები ყველაზე შთამბეჭდავი სტუმრების მონაწილეობით



**პოლიტიკა - კახა ლომაია,** *რომელმაც ჯერ კიდევ გაზაფხულზე გამოაცხადა ის, რაც ნოემბერში მოხდა:* "ჩვენო ხელისუფალნო, იცოდეთ - ტოტალიტარულ ხელისუფლებას არ გავაჩერებთ და არც დემოკრატიულს მოვასვენებთ... არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ დათვლილ შედეგებს შემაკავებელი ეფექტი ექნება და თუ ხელისუფლება ამასაც გადააბიჯებს, თავს სულ სხვაგვარ ვითარებაში ჩაიყენებს."



**ხელოვნება - ეთერ ჭკადუა,** *შტატებში მოღვაწე მხატვარი, რომელიც ნებისმიერ ცუდ და კარგ კლიშეს ანგრევს:* "ცნობილი მწერალი და ხელოვნების კრიტიკოსი დამიძახებდა და ნიმუშად დამაყენებდა - აი, დღეს ეს არის ტალანტი, მაგრამ, ის "ხეიბარიაო" - რაც იმას ნიშნავდა, რომ კი ხატავს, მაგრამ დღეს მისი ნახატები არავის სჭირდება... აუცილებელია, დაანგრიო ყველაფერი, დახატო ის, რაც გინდა, რასაც გრძნობ და არავის გაუწიო ანგარიში."



**მედიცინა - ლადო ალექსი-მესხიშვილი,** *მსოფლიოში აღიარებული ქირურგი, რომელსაც თბილისში კლინკის გახსნისთვის ქართველი ჩინოვნიკები წილს სთხოვენ:* "ხშირად ამერიკისა და ევროპის ჯანდაცვის სისტემები მოჰყავთ მაგალითად, ეს სასაცილოა. ჩვენ, ალბათ, მესამე მსოფლიოს ქვეყნების გამოცდილება უნდა გავიზიაროთ. იქ ჯანმრთელობის ეფექტური ორგანიზაცია მოხდა".



**ეკონომიკა - გია მაისაშვილი,** *პირველი და შთამბეჭდავი გამოჩენა პრესაში:* "შეგვიძლია სხვა ქვეყნების მიერ განვლილი გზის გაუვლელად გადავდგათ დიდი ნაბიჯი პროგრესისკენ... უფულობის მომიზეზება გუშინდელი აზროვნებაა, ამას დამოკიდებულების თეორია ჰქვია და კარგად მხოლოდ ჩამორჩენილ ქვეყნებში მუშაობს."



**განათლება - სიკო ჯანაშია,** *პედაგოგი, რომელიც ყველა მოსწავლეს უყვარს და თან პროფესიონალია:* "სკოლაში მეცხრამეტე საუკუნე არ არის და იმიტომ, რომ ბავშვები არ არიან მეცხრამეტე საუკუნისა. ეს თაობა გაცილებით უფრო პრაგმატულად აზროვნებს და სულ რომ მეცხრამეტე საუკუნის პედაგოგი მიუყვანო, ისეთები ვერ გახდებიან."



**კულტურა - თათა ქვარიანი,** *ფართო საზოგადოებისთვის უცნობი სახე, რომელიც გასაგებად აყალიბებს ამ სფეროს განვითარების ასევე უცნობ და საინტერესო გზას:* "როდესაც გამუდმებით ვაცხადებთ, რომ სახელოვანი ისტორია გვაქვს, ამით თითქოს დღევანდელობასთან ვჭრით კავშირს, რის შედეგადაც ეს ჩვენთვის გუშინდელი დღე და, ფაქტობრივად, მკვდარი ისტორიაა."



**პოზიცია - გოგი გვახარია,** *რომელმაც უამრავი ადამიანის აზრი ჩამოაყალიბა:* "არანაირი ილუზია არ მაქვს იმისა, რომ ერთი ადამიანი აგვაშენებს და არ მიმაჩნია, რომ ახლა ყველაფერი სააკაშვილმა უნდა გააკეთოს. ეს არის დამოკიდებული ხალხზე, მის გუნდზე, ისევ ისტორიაზე და ისევ ღმერთზე. ყოველ ჩვენგანზეა დამოკიდებული, დავიმსახურებთ თუ არა უკეთეს ცხოვრებას."



**ხანდაზმული - ვახტანგ ჭელიძე,** *მთარგმნელი, დიდი რედაქტორი; "ცისკარი" და "ლიტერატურული საქართველო" ზენიტში სწორედ მისი რედაქტორობისას იყო:* "ნოდარ დუმბაძემ პირველად ჩვენთან გამოაქვეყნა "მე, ბებია, ილიკო და ილარიონი". ისე ვიყავით შეშინებული, ნოდარის ეს მშვენიერი მოთხრობა "სატირისა და იუმორის" განყოფილებაში დავბეჭდეთ. თავიდან ამ მოთხრობას "სოფლელი ბიჭი" ერქვა. ბევრი ვეჩიჩინე და ძლივს დავითანხმე, "მე, ბებია, ილიკო და ილარიონი" დაერქმია..."



**ტყუილი - ირინა სარიშვილი,** *რომელიც ჯერ კიდევ გაზაფხულზე დაგვპირდა, რომ მალე ედპ ისეთი იქნებოდა, როგორც გია ჭანტურიას დროს იყო და რამდენიმე დღეში სახელისუფლებო ბლოკის სპიკერი გახდა, მერე კი პარტიის თავმჯდომარის პოსტიც დატოვა:* "შევარდნაძე არასდროს გამოდის დამარცხებულის სტატუსით. ისე ახერხებს, მარცხი მისი დაგეგმილი გამოდის. მან არ იცის, რა არის წაგება. შევარდნაძეს რომ სახლი დაენგრეს და მისთვის ეს მარცხი იყოს, აუცილებლად გამოვა მეორე დღეს და ისეთ სურათს შექმნის, რომ სახლი თავად დაანგრია..."



**ემოცია - კახი კავსაძე,** *ადამიანი, რომელმაც იცის, სანამ მოძრაობს - ცოცხალია, გაჩერდება და სიცოცხლესაც აზრი დაეკარგება, ამიტომაც ხმაურობს:.* "...წინასწარ იცოდნენ - ჩამოდის, მაგრამ რა ჩამოდის - დონ კოხოტი აქვს ნათამაშები... ტექსტი დავიზეპირე. ამერიკაში რომ ჩავედი და ინგლისურად დავილაპარაკე, მითხრეს: "რა საინტერესო ენა ყოფილა ეს ქართული, როგორ წააგავს ინგლისურსო..." "ჩემს საკუთარ ღირსებას ყველა და ყვლაფერი ეხება. მე ისე დავდივარ, რომ ვამბობ - თუ ძმა ხარ, არ შეეხოთ ჩემს ღირსებას, თორემ, არ ვიცი, რას ჩავიდენ"...



**უცხო - მარუსია ჭავჭავაძე,** *რომელიც საქართველოში პირველად მამამ, ქართველი პრინცის, ალექსანდრე ჭავჭავაძის ამერიკელმა შთამომავალმა დეივიდ ჭავჭავაძემ ჩამოიყვანა:* "1977 წელი იდგა. ვერაფრით ვიფიქრებდი, რომ ჩემი წინაპრების სახლი ამ დრომდე მოვლილი და შენახული იქნებოდა. იქ ბაბუა პოლის ფოტო ვნახე, საყვარელ ძაღლთან, ნუფკასთან გადაღებული და მივხვდი, რომ ბაბუას საქართველოსთან კონტაქტი არასდროს გაუწყვეტია... აქ თავს ისე ვგრძნობ, როგორც სახლში."



**რეჟისორი - თემურ ჩხეიძე,** *ვისი პეტერბურგში მუშაობაც აქ ბევრს აღიზიანებს, როცა თავად რეჟისორს იქ ყოფნისას აქაური მსახიობები ენატრება და პირიქით:* "დრამატურგსა და რეჟისორს შორის შინაგანი კონფლიქტი ყოველთვის იქნება. ასეთი კონფლიქტი ქალისა და კაცის ურთიერთობებშია ჩადებული, მაგრამ ამის გამო ჩვენ სიყვარულზე უარს არ ვამბობთ..."



**ხშირი სტუმარი - მიხეილ სააკაშვილი,** *ნამდვილად ვერ დავიწყებ მის წარდგენას, უბრალოდ, შეგახსენებთ სიტყვებს, რომელიც მან არჩევნებამდე 2 დღით ადრე განგვიცხადა:* "როგორც კი ნათელი გახდება სხვაობა "რუსთავი 2-ის" ეგზიტპოლებსა და დანარჩენ მონაცემებს შორის, მაშინვე მოხდება მთელი საზოგადოების მობილიზება. რაც უფრო დიდი განსხვავება იქნება ამ ორ მონაცემს შორის, მით უფრო კატასტროფულ შედეგს მიიღებს მთავრობა... სხვათა შორის, ყველა პოლიტიკურ ძალას შეუძლია, გახდეს ძალიან პოპულარული, ან განადგურდეს... ორ ნოემბერს ხელისუფლება გაყალბებას შეეცდება. სამ ნოემბერს მთელი საზოგადოება ფეხზე უნდა დადგეს, ჩვენ ამისთვის ვემზადებით..."



**დიპლომატი - ალექსანდრე ჩიკვაიძე,** *რომელსაც უნიკალური დიპლომატიური ბიოგრაფია აქვს, იგი სამი სხვადასხვა ტიპის და სიძლიერის ქვეყნის ელჩი გახლდათ:* "მაშინ რუსთის ელჩი ვიყავი ჰოლანდიაში. ერთ დღეს, თენგიზ სიგუა მირეკავს და საგარეო საქმეთა მინისტრობას მთავაზობს. არაფერი ვუპასუხე, გავჩუმდი. მან მითხრა, "ალბათ, ფიქრობთ, წამოხვიდეთ მაგ დაწყობილი ქვეყნიდან საქართველოში თუ არაო..." ვუპასუხე - "იმიტომ გავჩუმდი, რომ ვფიქრობ, როდის მოფრინავს პირველი თვითმფრინავი..." დაუფიქრებლად წამოვედი. რაც მე აქ დამხვდა, კინაღამ ცუდად გავხდი..."



**პროზაიკოსი-მთამსვლელი, ბიძინა გუჯაბიძე,** *რომელიც, გარდა იმისა, რომ დაცოცავს მთებში და "რუსთავი 2"-ის მაღლივ შენობაზე, საოცარი დღიურების ავტორიცაა:* "მთა პარტნიორია, მას არასოდეს ვებრძვი და არც შურისძიების გრძნობა მაქვს მის მიმართ. ის კარგი, სასიამოვნო ადამიანივით არის. ბოლოს და ბოლოს, ჩვენ ერთნი ვართ, ერთ საქმეზე ვართ".



**მამაცი - ირაკლი ოქრუაშვილი,** *შიდა ქართლის ახალი გუბერნატორი, რომელიც, თამამად შეიძლება ითქვას, სანდრასთან ერთად სააკაშვილის ყველაზე მჭრელი რესურსია:* "ერთ თოვლიან დღეს შევკრიბე პრესა, პროკურორი, პოლიციის, სატყეოს, ეკოპოლიციის უფროსები, დავსვი დიდ სატვირთო მანქანაზე და ტყეში წავიყვანე. შუა გზაზე რომ მივედით, ჩინოვნიკების ნახევარი აწუწუნდა - თუ მოხსნა გინდათ, ტყეში რას გვატარებ, პირდაპირ მოგვხსენიო..."



**ყველაზე თავდაჯერებული - "თელასის" ახალი მენეჯერი დანგირას მიკალაიუნასი,** *რომელიც ამბობს, რომ რუსული კომპანია ენერგო ექსპანსიისთვის კი არა, ბიზნესის საკეთებლად შემოვიდა და ამ გახშირებულ ჩაბნელებებში თავი დამნაშავედ არ მიაჩნია:* ირიბარენივით პოპულარული არ გავხდები, რადგან შუქი იქნება. მაგრამ, თუკი პოპულარული გავხდები იმიტომ, რომ შუქი არის, ძალიან მოხარული ვიქნები.



**რეინჯერი - ნიკა ჯანჯღავა,** *პირველი ქართველი ამბოხებული რეინჯერი, რომელსაც ძალიან უნდა, ძლიერი ჯარი იხილოს:* "მუხროვანისგან ბევრი რამ განასხვავებდა კოჯრის ბატალიონს. ჩვენ იარაღით არ გამოვსულვართ და ბოლო წუთს პოლიტიკური მოთხოვნები სოციალურით არ შეგვიცვლია. კოჯრის ბატალიონის შემთხვევა - ეს იყო პროტესტი იმისა, რომ ჯარში მონები არ მსახურობენ. გადავდგი ეს ნაბიჯი და ვიცოდი, რომ წავაგებდი. იარაღს კი ხელში არ ავიღებ."



**ყველაზე ბევრნი - დაუმორჩილებლები:** "შევარდნაძე უნდა გადადგეს, შემდეგ - უნდა გადაჯდეს ტრიბუნალის სკამზე, შემდეგ - დაამთავროს თავისი მოღვაწეობა, ან იჯდეს ბადენ-ბადენში, უსმინოს "დურან-დურანს", შეხვდეს ბუტროს-ბუტროს გალის. თუ ძალიან უნდა-უნდა, შეუძლია კონცერტი გამართოს "ნოანოა"-შიც... წადი-წადი - ორჯერ-ორჯერ..."



**ხუმარა - დავით გოგიჩაიშვილი,** *არჩევნებიც, სროლაც და ჩხუბიც ძალზე ნაცნობი და მშობლიური იყო ჩვენთვის. ამ წლის რევოლუციამდელი სიახლე სწორედ ახალი, აქამდე არარსებული სტილის შოუ გახდა:* "დილემის წინაშე დგები - რა გირჩევნია, პოლიტიკოსი სწორი კუთხით დაანახო მაყურებელს და ცუდი გადაცემა გქონდეს, თუ გადაცემა კარგი გამოვიდეს და ხალხს აფიქრებინო, რომ ეს პოლიტიკოსი არც ისე ცუდი ყოფილა..."

თინეიჯერი

# საშობაო ზღაპარი

## შობის დღესასწაულის საყვარელი გმირი - სანტა კლაუსი

### იდგა შობის ღამე...

ამ ღამით, როგორც წესი, თეთრწვერა, მოხუცი სანტა მარხილში ირმებს აბამს, საჩუქრებს იმარაგებს და ბავშვების გასახარებლად მსოფლიოს გარშემო მოგზაურობას იწყებს.

თუმცა, იყო დრო, როდესაც სანტას წმინდა ნიკოლოზის სახელით იცნობდნენ.

ის 1722 წლის წინ დაიბადა. იყო ეპისკოპოსი და ღარიბ-ღატაკებს მუდამ ხელგაშლილად ეხმარებოდა... მოგვიანებით წმინდა ნიკოლოზს სხვადასხვა სახელები დაარქვეს: პერე ნოელი, სინტე კლაასი, ვაინახტსმანი ან უბრალოდ მოხუცი თოვლის ბაბუა.

1931 წლიდან, "კოკა-კოლას" დამსახურებით, სანტამ იმიჯი კიდევ ერთხელ შეიცვალა - მას "კოკა-კოლა" შეუყვარდა და რეკლამებზეც გამოჩნდა - თეთრი წვერით, სასაცილო წითელი ქუდითა და წითელი სამოსით. მას შემდეგ ყველა ბავშვს პერე ნოელიც, თოვლის ბაბუაც და სანტა კლაუსიც ზუსტად ასეთი წარმოუდგენია: მოხუცი, კეთილი და მსუქანი კაცი, რომელსაც ზურგზე საჩუქრებით სავსე დიდი ტომარა აქვს მოკიდებული და "კოკა-კოლას" ბოთლიდან საყვარლად გვიღიმის.

სანტა კლაუსის სახელი კიდევ მრავალი პროდუქტის სარეკლამოდ გამოიყენეს. მას ამერიკელებმა რძეც შეაყვარეს და სხვა ცნობილი სახეებით დაკომპლექტებულ სარეკლამო კამპანიაში გადაიღეს.

ერთი პერიოდი ხმა გავარდა, სანტა კლაუსი რუსეთ-ფინეთის საზღვარზე, მთაში ცხოვრობსო და




ტურისტულმა სააგენტოებმაც დიდი სიამოვნებით იტვირთეს ცნობისმოყვარე ბავშვებისა და მათი მშობლების სანტასთან შეხვედრა... თუმცა, შემდეგ ეს ბუმიც ჩაცხრა და სანტა კლაუსმა ისევ "კოკა-კოლას" რეკლამებში განაგრძო ცხოვრება...

თუმცა, ამასობაში ხომ არ დაგავიწყდათ? ჩვენ ვსაუბრობდით კეთილ სანტაზე, რომელიც შობის ღამეს მარხილში შეაბამს თავის ირმებს, ზურგზე საჩუქრებიან ტომარას მოიგდებს და დაიწყებს ამ ქვეყნად ყველაზე კეთილშობილ მოგზაურობას სიყვარულის და მშვიდობის გასავრცობად...

კიდევ ერთი: სანტას ირმებიდან ყველაზე ცნობილი წითელცხვირა რუდოლფია. თუმცა, პატრონს დანარჩენი ირმებიც ერთგულად ემსახურებიან. გაიცანით ისინიც: დეშერი და დენსერი, პრენსერი და ვიქსენი, კომეტი და კუპიდი და დონერი და ბლიცენი.

| ფაქტები: | |
|---|---|
| დაიბადა | თანამედროვე თურქეთის ტერიტორიაზე, ჩვ.წ.აღ-ით 280 წელს. |
| ცუდი მოგონება: | როგორც ქრისტიანი ეპისკოპოსი, რომის იმპერატორმა დიოკლეტიანემ დაატყვევა. |
| ის რაც ძალიან ახარებს: | რეგულარულად ლიდერობს ბავშვების გამოკითხვაში, როგორც ყველაზე პოპულარული პერსონა. |
| მიზანი: | გააბედნიეროს ბავშვები და დაამყაროს მშვიდობა მსოფლიოში. |



© GRAPHIC NEWS

ანა მაყაშვილი

რაც უფრო მეტი ახალი წელი მოდის და რაც უფრო მეტი ძველი წელი გადის და რაც არ უნდა პარადოქსული იყოს, ახალი წელი ჩემში სიახლის და მომავლის განცდას კი არ იწვევს, პირიქით, უკან მაბრუნებს, წინა წლებში და რაღაც ნოსტალგიურ განცდებს მიჩენს. იმიტომ კი არა, რომ ამ ახალი წლებისგან კარგს არაფერს მოველი, უბრალოდ, იმიტომ რომ, 30-ში ღამეს შემიძლია ძალიან მშვიდად დავიძინო და არ ვიყო აფორიაქებული მომდევნო დღის სასწაულებრივი მნიშვნელოვნებით; არ შევწუხდე იმაზე, რომ შარშან ნაძვის ხის სათამაშოები კატამ თითქმის სულ დალეწა და, რომ ნაძვის ხე ძალიან პატარაა, რომელიც ერთადერთი ნივთია მთელ სახლში, რაც ახალ წელს მახსენებს; რომ საჩუქრებს არავინ მაჩუქებს, ან გოზინაყი ისევ დაიწვება და შავი იქნება, ან, რომ თოვლი ისევ არ მოვა და "წვიმები" სულ გახმნენ...

იყო დრო, ეს ათასი წვრილმანი ჩემს კონტროლს ექვემდებარებოდა და ოჯახის წევრებს ყველაფერი წესრიგში უნდა ჰქონოდათ მოყვანილი, თორემ ისტერიკას ვერ აცდებოდნენ. 30-ში კი არა, 2 კვირით ადრე მეწყებოდა წინასაახალწლო ეიფორია კუჭში, გულში და თავში სასიამოვნო ჟღურტულით; ამ განწყობაზე განსაკუთრებით კომერციული მხარე მოქმედებდა – ტელეგადაცემების დიქტორთა ფონზე დადგმული ვერცხლისფერი ნაძვის ხეები, ქალბატონი ჯულიეტასა და ბატონი მარკის მიერ მოლოცვილი დამდეგი ახალი წელი, საბავშვო თეატრებში გამართული შოუპროგრამები (მაშინ წარმოდგენები ერქვა), სადაც საჩუქრებსაც გვირიგებდნენ ხოლმე; ერთხელ, მახსოვს, ნახევარი წვიმა და ვერცხლისფერი ფურცლის გვირგვინი მივიღე საჩუქრად. კიდევ მაღაზიების ვიტრინებზე მიწეპებული ბამბები, რომლებიც ფიფქების ფუნქციას ასრულებდნენ და ჩემთვის პირველი ნიშანი იყო იმისა, რომ ახალი წელი კარზე მოგვადგა. ასეთი იყო მაშინ (90-ანების დასაწყისში) ბავშვების სიმბოლური აზროვნება. ახლა, ვინმე პატარას ბამბა რომ აჩვენო, დიდი დიდი, იოდთან დააკავშიროს.

სამაგიეროდ, ახალი წლის სიმბოლურ ატრიბუტიკას ახლა ვარდები დაემატა, ახლა ტელეწამყვანთა ფონზე მწვანე და ლამაზად მორთული ნაძვის ხეები დგას, მდიდარი (შინაარსობრივადაც და ფინანსურადაც) შოუპროგრამები იმართება, მაღაზიების ვიტრინებზე დახვეწილი ფიფქებია მიწეპებული, ჭრელი სათამაშოებია დაკიდებული, უამრავი ბანკი, ღვინის მწარმოებელი, ბულიონი, შამპანიური, ერბო, სუპერ-მარკეტი გვილოცავს შობა-ახალ წელს. და ამ ყველაფრის მიუხედავად, ჩემში სადღესასწაულო განწყობა ვერ შემოდის.

ერთი სიტყვით, იმის თქმა მინდა, რომ ყოველი ახალი შობა და ახალი წელი მახსენებს, რომ ნელ-ნელა (თუ ჩქარ-ჩქარა) ვიზრდები და, რომ ეს დღეები ბავშვებისთვისაა. ანუ ჩემს ბავშვობას მივტირი. არადა, მახსოვს ამ დღეებთან დაკავშირებული ჩემი უმწიკვლო განცდები, თავში ათასი რამე რომ გიტრიალებს: ზღაპრები, ძმები გრიმები, ზღაპრის გმირები, საჩუქრები, სითბო, ბუხარი, ანდერსენი, პრინცები, პრინცესები, მელიები, თოვლი, ტყეები, ნაძვის ხეები, დათვები, საშობაო სიმღერები, წკრიალა ხმები, ზარები, საათები, თოვლის ბაბუები...

ისე, თოვლის ბაბუების მაინცდამაინც არასოდეს მჯეროდა, ჩემები კი კარგა ხანი ვერ ხვდებოდნენ; ისე ეშმაკურად გავიდოდი 12 საათამდე 2 წუთით ადრე სხვა ოთახში, რომ ყოველთვის ასწრებდნენ ნაძვისხის ქვეშ საჩუქრების დადებას, მეც გულუბრყვილოდ ვათვალიერებდი და რამე თუ არ მომეწონებოდა, ეგრევე თოვლის ბაბუას ვლანძღავდი.

მაგრამ, სინამდვილეში, საქმე სულ სხვანაირად იყო და ყველაფერი მაშინ დაიწყო, როცა საახალწლო ცხოვრებაში სანტა კლაუსი შემოიჭრა. ვიცოდი, რომ სანტას უფრო მეტი ფული ჰქონდა, უფრო კარგ საჩუქრებს აკეთებდა და უფრო სწრაფად მგზავრობდა თავისი ირმებით, ვიდრე გუდამოკიდებული თოვლის ბაბუა თავისი ჯოხით, რომელიც საკმაოდ ღარიბი იყო და ამის გამო საჩუქრების კეთებაში – ხელმოკლე. კლაუსი გამომწვევ წითელ ფერებში იყო გამოწყობილი, ბაბუას უმანკო თეთრები ეცვა. და ამ ორივე, ერთი და იგივე ფუნქციისთვის მოვლენილ მოხუცს ლაპლანდიაში ჰქონდა სახლი. ჯერ რომელი გაჩნდა – სანტა კლაუსი თუ თოვლის ბაბუა, არ ვიცი (მე რომ მკითხოთ, თოვლის ბაბუა), მაგრამ ის ვიცი, რომ ერთმანეთთან ვერ ჰქონდათ საქმე მთლად კარგად. თავიდან ნორმალურად დაიწყეს – ჩვენი ჩურჩხელებს სთავაზობდა, გოზინაყს, ის – თავის დაშაქრულ პლასტმასის კამფეტებს, ეს ეპატიჟებოდა თავისთან, ღვინოს ასმევდა, საცივს აჭმევდა, ისიც მიდიოდა, მაგრამ შურით სკდებოდა, რა კარგი კერძები გაქვსო და ერთხელაც, შობის წინ მთელი ქოთანი გოზინაყი მოპარა და ბელგიაში წაიღო რომელიღაც ოჯახთან. თოვლის ბაბუამ შეიტყო ქურდობის შესახებ და არაფერი რომ აღარ ჰქონდა რაჭაში წასაღები, სანტას ერთი ირემი მოპარა, მოკლა შეწვა და ირმის მწვადი რაჭაში ჩაიტანა. ასე გრძელდებოდა, - ხან რას პარავდა სანტა თოვლის ბაბუას, ხან რას; თოვლის ბაბუასაც სხვა გზა აღარ რჩებოდა ხოლმე და იძულებული იყო სანტა კლაუსი გაექურდა. ასე ატყუებდნენ ერთმანეთს ანუ თავიანთ თავებს და ასე ურევდნენ ერთმანეთში ჩვეულებებს. ბოლოს, სანტა კლაუსი ისე გათამამდა, თოვლის ბაბუას მაგივრად დაიწყო საშობაო მოგზაურობა. თოვლის ბაბუამ კი პროტესტის ნიშნად მიატოვა პროფესია, ლაპლანდია და ავსტრალიაში ჩვეულებრივ ადამიანად დაიწყო ცხოვრება. მაგრამ იქაური მზისგან გული ისე გაუთბა, რომ ამასწინათ წერილი გამოგზავნა და ლაპლანდიაში არა, მაგრამ გუდაურში შეიძლება ჩავიდე და გავაგრძელო თოვლიანი მოღვაწეობაო. სანტა კლაუსმაც ულალატა პრინციპებს და ფიფქია ითხოვა ცოლად, რის შედეგადაც 7 ჯუჯა გააჩინეს (სარკე ფიფქიაზე კარგს აღარაფერს მეუბნება). ვინ იცის, სანტა კლაუსმაც ისურვოს ძველი ცხოვრების თავიდან დაწყება და თოვლის ბაბუას შეუერთდეს გუდაურში.

მე კი, ეს ყველაფერი რომ ვიცოდი, ამიტომაც არ მჯეროდა მაგათი. თქვენ, თუ გინდათ, დამიჯერეთ. სამწუხაროდ, თქვენთვის ამით ბევრი არაფერი შეიცვლება.

ჰოდა, ვისთვისაც ამით ბევრი რამე შეიცვლება, ვისაც უყვარს თოვლის სამყარო და შობაზე და ახალ წელზე ძილში სიზმრებს ხედავს, იცოდნენ, რომ მეც მინდა მათნაირი ვიყო.

მოკლედ, გილოცავთ შობას და ახალ წელს! გისურვებთ ბევრ საჩუქარს, მხიარულებას და ზღაპრულ სურვილებს, სიყვარულით, თქვენი თოვლის დედოფალი.

# ხვალ ახალი წელია

## მსოფლიო ტრადიცია თბილისში

ნანა ბასილაშვილი



საახალწლო ღამის სამზადისში.

შარშან ყველაზე კაშკაშა ახალი წელი სიდნეიში დადგა. მსგავსი გრანდიოზული ფოიერვერკი ავსტრიელებს ოლიმპიადის დროსაც არ უნახავთ. 2003 წელს ქუჩაში 700 ათასი კაცი შეეგება. 31 დეკემბრის ღამე ათასფეროვანმა შუქებმა ისე გაანათა, რომ ირგვლივ აღარაფერი ჩანდა. საახალწლო ფოიერვერკების ულამაზესი ფერები რიოშიც დიდ ხანს ილვრებოდა. ნიუ იორკელები ტაიმს სკვერზე შეიკრიბნენ. მანჰეტენზე კაშკაშა, 2 დიამეტრიანი ფაიფურის ბურთის სანახავად 750 ათასი კაცი მივიდა. 2003 წელი ძველი წეს-ჩვეულებების სრული დაცვით, ტრადიციებით სავსე ევროპაშიც, მხიარულად დადგა. ბრანდებურგის კარიბჭესთან 700 ათასმა ადამიანმა მოიყარა თავი. ცაში 2 ათასამდე რაკეტა გაუშვეს, რის შემდეგაც ღია ცის ქვეშ საახალწლო კონცერტი გაიმართა. ტრადიციას არც პარიზელებმა ულალატეს და ელისეს მინდვრებზე სეირნობით 31 დეკემბერსაც იჯერეს გული. რომაელებმა კი წლების განმავლობაში დამკვიდრებული წესისამებრ, ტიბროსში ბანაობით იჯერეს გული.

ახალი წლის ღამეს ასობით ადამიანი შარშან, პირველად საქართველოშიც ღია ცის ქვეშ შეეგება. მსოფლიო ტრადიციას ჩვენში სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2"-მა ჩაუყარა საფუძველი; რესპუბლიკის მოედანი 2002-2003 წლის გასაყარზე: უამრავი ვარსკვლავი, ბევრი სიურპრიზი და ულამაზესი სანახაობა ღია ცის ქვეშ. ეს ყველაფერი მრავალათასობით თბილისელმა თავად იხილა, მათთვის კი ვინც ამა თუ იმ მიზეზის გამო ახალი წლის განწყობას ტელეეკრანებიდან იქმნიდნენ, ქალაქის ცენტრს პირდაპირ ეთერში ადევნებდნენ თვალყურს. ჩანაფიქრმა აშკარად გაამართლა. წელს უკვე მისი მიმდევრებიც გაჩნდნენ, ესტაფეტა სხვა ტელეკომპანიებსაც გადაეცათ. წლევანდელი ღონისძიების ტექნიკური ბაზისი სამი ტელეკომპანიის მეშვეობით განხორციელდება: "რუსთავი 2", "პირველი არხი" და "ტელე-იმედი".

ყველაფერს, რასაც ბოლო დღეების განმავლობაში ახალი წლის დადგომასთან დაკავშირებით გვპირდებოდნენ, ამაღამ აეხდება ფარდა. **"მსოფლიოში არსებობს ტრადიცია, რომლის მიხედვითაც, შობას სახლში, ოჯახის წევრებთან ერთად აღნიშნავენ, ხოლო ახალ წელს კი გარეთ, ერთობლივი ზეიმით ხვდებიან. ჩვენ გვინდა ეს ტრადიცია საქართველოშიც დამკვიდრდეს. ახალი წლის ღამეს თავისუფლების მოედანზე გამართული გრანდიოზული ღონისძიება ქართველების ერთიანობის სიმბოლოც იქნება. რასაც, ხალხის განწყობილებაც შეუწყობს ხელს"**, - წლევანდელი საახალწლო პროექტის დირექტორად ზაზა შენგელია გვევლინება.

გრანდიოზული პროექტი, რომელიც სხვადასხვა გემოვნების მსმენელსა თუ მაყურებელზეა გათვლილი, მერიის შენობის წინ დაიწყება და რესპუბლიკის მოედანზე გალა კონცერტით დასრულდება.

ღონისძიებები ოფიციალური ნაწილით თავისუფლების მოედანზე, ამა წლის 31 დეკემბერს, 22 საათსა და 30 წუთზე, საზეიმო ფოიერვერკებით დაიწყება და მომავალი წლის დილის 4 საათზე რესპუბლიკის მოედანზე დასრულდება. თავიდან ბოლომდე მთელ რუსთაველის გამზირზე 23 წარმოდგენის გამართვაა დაგეგმილი. მას შემდეგ, რაც მერიის შენობასთან პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი, სახელმწიფო მინისტრი და პრეზიდენტობის კანდიდატი ახალ წელს მოგვილოცავენ, ესტაფეტა ხელოვანებს გადაეცემათ. გრიბოედოვის სახელობის თეატრის წინ მუსკომედიის თეატრის წარმოდგენა გაიმართება. რუსთაველის №1-ში მოეწყობა მხატვრების ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა. საახალწლო წარმოდგენას გამართავს რუსული მოზარდ მაყურებელთა თეატრალური დასი. "ახალი წელი მსოფლიოში" ჩვენებას გეგმავს კინოთეატრი "რუსთაველი". პარლამენტის შენობასთან კი "ვარდების რევოლუციის" შემდეგ უამრავი ადამიანი, ამჯერად ხალხური შემოქმედების კონცერტის სანახავად გაჩერდება. ახალი წლის ღამე იმ გამონაკლისთაგანია, როდესაც პატარები "თავისუფლებით" ტკბებიან. შუაღამეს მათთვის ცისფერი გალერეის წინ თოჯინების თეატრი "ბატის ჭუკს" წარმოადგენს. ამასობაში კავშირგაბმულობის სამინისტროსთან უფროსები ცნობილი ადამიანების ნივთების აუქციონს დაესწრებიან და



საქართველოს მთავარი ნაძვის ხე.

სურვილისა და შესაძლებლობისამებრ მონაწილეობასაც მიიღებენ. რუსთაველის თეატრის წინ წარმოდგენა რობერტ სტურუას რეჟისორობით გაიმართება. მათ ვისაც ძველი ფილმების ნოსტალგია აქვთ თეატრალური უნივერსიტეტის წინ, სხვადასხვა მომღერლების შესრულებით ამ ფილმების კინომუსიკის მოსმენის საშუალება ეძლევათ. კლასიკური მუსიკის მოყვარულთ კი, საახალწლო კონცერტზე, ოპერასთან ელიან. როკ-მუსიკის მოსასმენად, მსურველებს ცესკო-სთან ეპატიჟებიან. ვიზუალური სანახაობა მაკა ასათიანის მოდების ჩვენება, დიჯეი ედგართან ერთად კადეტთა კორპუსთან მოეწყობა. საახალწლო საჩუქარს ამზადებენ "სარდაფის" თეატრალებიც. ეს იმ ღონისძიებების არასრული ჩამონათვალია, რომლებიც რესპუბლიკის მოედანზე ქართველი მომღერლების გალა კონცერტით დასრულდება.

ამ გრანდიოზული საახალწლო პროექტის პროდიუსერობა წელს თიკა რუხაძემ ითავა. დამდგმელი რეჟისორი დავით დოიაშვილია, მხატვარი მურაზ მურვანიძე, სამხატვრო ხელმძღვენელი ნიკა მემანიშვილი, ტელერეჟისორი დავით გერსამია.

2004 წლის საახალწლო ღონისძიებები წელს შეიძლება ითქვას, მთელი საქართველოს მასშტაბით გაიმართება. ახალ წელს, ღია ცის ქვეშ, კონცერტებითა და სახალხო მსვლელობებით ქუთაისში, ზუგდიდში, თელავსა და გორშიც იზეიმებენ. რასაც დედაქალაქში, მერიის შენობასთან სპეციალური ჩართვების საშუალებით თბილისელებიც მიადევნებენ თვალყურს.

რუსთაველის გამზირსა და მის მიმდებარე ტერიტორიებზე მანქანების მოძრაობა 6 საათიდან შეწყდება, მეტროს სადგურები კი დილის 4 საათამდე იმუშავებენ. მოკლედ ყველანაირი პირობა გვეძლევა იმისათვის, რომ ისტორიული 2003 წელი, მისთვის საკადრისად, მშვიდობიანად და ლამაზად გავაცილოთ.

# ძველი და ახალი

## ნინო ქათამაძე: 1 + 1

ვერა ნეფარიძე

*ნინო ქათამაძემ ჩვეულებას არ უღალატა და პირველად ჟურნალისტებს გააცნო, თითქმის, ყველა ის სიახლე, რასაც ძალიან მალე ფართო საზოგადოებას შესთავაზებს. გუშინ "აჭარა მიუზიკ ჰოლში" ნინო ქათამაძისა და ჯგუფ "ინსაითის" პროდიუსერმა ირაკლი ნადარეიშვილმა მუსიკოსებთან ერთად პირველი იანვრის ღამეზე და, ნაწილობრივ, უახლოეს გეგმებზეც ისაუბრა.*



ამიერიდან ნინო ქათამაძის თაყვანისმცემლებს აღარ მოუწევთ "ინსაითის" ჩანაწერების სანთლით მოძიება. ახალი წლიდან მათ ერთბაშად ორი ალბომი ექნებათ. "ნინო ქათამაძე & ინსაითი" - ეს არის ცოცხალი შესრულების სტუდიური ჩანაწერი, რომელშიც მსმენელისთვის კარგად ცნობილი ათი კომპოზიცია შევიდა. თუმცა, რამდენიმე მათგანი განსხვავებული ინტერპრეტაციითაა ჩაწერილი. ზოგადად, ეს ალბომი ქათამაძისა და "ინსაითის" თანამშრომლობის საწყისი ეტაპია. აქედან გამომდინარე, ალბომი შედარებით ემოციური გამოვიდა.

განსხვავებულია მეორე ალბომი "უბრალო დღე". ის მთლიანად კომპოზიტორ გოგი ძოძუაშვილის მიერაა არანჟირებული და, ნინოს ვოკალის გარდა, ცოცხლად მხოლოდ გიტარაა ჩაწერილი (მასალა ორივე ალბომისთვის ჩაწერილია სტუდიებში: "მი-ფა-სი" და "ქართული ჩანაწერები"), დანარჩენი მთლიანად ძოძუაშვილის კომპიუტერული შემოქმედების ნაყოფია. ამ ალბომში შესული კომპოზიციებიდან მხოლოდ რამდენიმეა ჩვენი მსმენელისთვის ცნობილი - ნინო ქათამაძისა და გოგი ძოძუაშვილის თანამშრომლობის შედეგი პირველად "აჭარა მიუზიკ ჰოლში" გამართულ კონცერტზე მოვისმინეთ. გუშინ კი პრესკონფერენციის დაწყებამდე ჟურნალისტებს ამ ალბომის მოსმენის საშუალება მოგვეცა და, თუნდაც ზედაპირული შეფასებით, ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვა. ნამუშევრით კმაყოფილები არიან მისი ავტორებიც. ნინო ქათამაძისთვის ეს იყო ძალების მოსინჯვა ახალ ამპლუაში – რამდენადაც ალბომი ელექტრონული მუსიკის სტილშია, ქათამაძის ვოკალიც განსხვავებულია, რაც მსმენელისთვის ნამდვილად სიახლე იქნება.

ალბომი 11 კომპოზიციას აერთიანებს. ამას გარდა, ყურადღებას იქცევს კომპაქტ-დისკის საკმაოდ გემოვნებით შესრულებული დიზაინი (მისი ავტორი არქიტექტორი ვახტანგ ქასრელიშვილია). რაც შეეხება ალბომის მუსიკალურ მხარეს, ჯობს, ამის შესახებ პირველი იანვრის შემდეგ ვისაუბროთ. ეს ყველაფერი – ძველიცა და ახალიც, პირველ იანვრის ღამეს "აჭარა მიუზიკ ჰოლში" შესრულდება (გამონაკლისის სახით, "ინსაითი" რამდენიმე კომპოზიციას სრულიად ახალი ინტერპრეტაციით ამზადებს). კონცერტში ნინო ქათამაძისა და "ინსაითის" წევრებთან ერთად გოგი ძოძუაშვილიც მიიღებს მონაწილეობას. საგანგებოდ ამ საღამოსთვის კი ვიდეოინსტალაციას მოამზადებს ლევან ნუცუბიძე. რაც მთავარია, კონცერტზე პირველად გაიყიდება ორივე ალბომი. მათ კი, ვინც კლუბში მისვლას ვერ შეძლებს, ტელეკომპანია "მზეს" დახმარებით შეეძლებათ პირდაპირ ეთერში უყურონ ღონისძიებას.

პირველი იანვრის პროექტი – ორი ალბომის პრეზენტაცია, სიმბოლურად მიგვანიშნებს ქათამაძისა და "ინსაითის" საკმაოდ წარმატებულ 2003 და მომავალ, აქტიურად დატვირთულ 2004 წლის სამუშაო გეგმებზე. "ამ ალბომების პრეზენტაციის შემდეგ, ფაქტობრივად, უკვე მზად ვარ შემდეგი ეტაპისთვის. სიმართლე გითხრათ, სამი ალბომის მასალა გვქონდა, მაგრამ მესამე ალბომის გამოშვებაზე თავს ვიკავებთ", - ამბობს ნინო ქათამაძე. რაც შეეხება მუსიკოსის მომდევნო შემოქმედებით ეტაპს, ამაზე არც ნინო და არც მისი პროდიუსერი კონკრეტულად არ საუბრობენ. ირაკლი ნადარეიშვილის თქმით, ყველაფერი ჯერჯერობით მოლაპარაკებების დონეზეა. მოლაპარაკებები კი ამჟამად ფრანგ პარტნიორებთან და რუს დი-ჯეებთან მიმდინარეობს. როგორი იქნება ნინო ქათამაძის არჩევანი მუსიკალურ ჟანრებს შორის, არც ამაზე შეიძლება კონკრეტულად თქმა. მთავარია, რომ მუსიკოსი აუცილებლად რაიმე ახალს შესთავაზებს მსმენელს. თუ გავითვალისწინებთ, რომ ამჟამად ნინო კლასიკური ჯაზის შესწავლითაა დაკავებული, ალბათ, შეიძლება რაღაცები ვივარაუდოთ.

როგორც ცნობილია, "ინსაითი" ახლახან მოსკოვიდან დაბრუნდა. მოსკოვური ვოიაჟით კმაყოფილმა მუსიკოსებმა დაბეჯითებით განაცხადეს, რომ მათ შემთხვევაში, წარმატებები საზღვრებს გარეთ არ ნიშნავს დისლოკაციის ადგილის ძებნას. "ჯერ საქართველოში უნდა ვიყოთ აქტიურები და შემდეგ სხვაგან", - ასეთია მუსიკოსებისა და მათი პროდიუსერის მტკიცე გადაწყვეტილება. ამას გარდა, მათთვის ყველაზე მნიშვნელოვნად რჩება დამოუკიდებლად მოღვაწეობის შესაძლებლობა. ნინო ქათამაძისა და "ინსაითის" მუშაობა დამოუკიდებელ პროდიუსერთან ძალიან კარგი მაგალითია, იმისა, რომ ჩვენს პირობებშიც კი, წესიერ თანამშრომლობაზე დაყრდნობით, საქმის კეთება შეიძლება; და ამისთვის აუცილებელი სულაც არ არის გაერთიანება სხვადასხვა, საეჭვო მიზნით შექმნილ პროდიუსერულ კომპანიებში. გოგი ძოძუაშვილის მაგალითზე კი იმის თქმა შეიძლება, რომ, როცა ნამდვილად კარგი მუსიკის წერა გინდა, როგორღაც პროდიუსერის გარეშეც მოახერხებ ამას - სულ მალე გოგიც ორ ალბომს შემოგვთავაზებს.

# ჩვენი თვალით

2003 წლის მიმოხილვა

*წლის ბოლო, როგორც წესი, შეჯამებისა და ანალიზის დროა. ამჯერადაც შევეცდებით მიმოვიხილოთ ის ღონისძიებანი, რომელთაც ჩვენ 2003 წლის განმავლობაში ვაშუქებდით.*

ვერა ნეფარიძე
მადი სერებრიაკოვა

## მსოფლიო ასპარეზზე

2003 წლის კულტურული მოვლენების მიმოხილვისას, ალბათ, ყველაზე მეტ ყურადღებას იმსახურებს ის მიღწევები, რომელთაც ქართველებმა მსოფლიო კულტურის ასპარეზზე მიაღწიეს. საბედნიეროდ, ასეთი შემთხვევები ბევრი თუ არა, რამდენიმე ნამდვილად მოხდა. ამ მხრივ განსაკუთრებული იყო დიტო ცინცაძის ფილმის - "გასროლის შიში" - აღიარება სან-სებასტიანის ფესტივალზე. მართალია, დიტო ცინცაძე გერმანიაში გერმანული კინოს სამსახურშია და არც მერაბ ნინიძის მონაწილეობით გადაღებული "არსად აფრიკაში" ჩაუთვლია ვინმეს (და ასეცაა) ქართული კინოს გამოლვიძებად, მაგრამ თანამედროვე მსოფლიო კინემატოგრაფის მოწინავეთა რიგებში ქართული გვარების გაჟღერების გამო გარკვეული სიხარულის საფუძველი, ვფიქრობ, მაინც გვაქვს. მით უმეტეს, რომ "ოსკარების" წლევანდელი დაჯილდოების ცერემონიალზე "არსად აფრიკაში"-ის აღიარების სახით, პირველად ერთ-ერთ ნომინაციაში გამარჯვებული ფილმის მთავარი როლის შემსრულებელი საქართველოდან იყო. ვინაიდან კინოზე ჩამოვარდა საუბარი, ცოტა ხანს იგივე თემაზე შევჩერდებით, რამდენადაც ამის მიზეზს გვაძლევს თბილისის მეოთხე საერთაშორისო კინოფესტივალი, რომელიც სტაბილურად ცდილობს არ ჩამოვრჩეთ მსოფლიო კინემატოგრაფის მაჯისცემას, რასაც ნარჩევი კინოსურათების ჩვენებით ახერხებს. წლევანდელმა ფესტივალმა საშუალება მოგვცა, ცნობილი ქართველი რეჟისორის ოთარ იოსელიანის ახალი ნამუშევარიც გვენახა. მაგრამ, ყველაზე დასაფასებელი მაინც ის იყო, რომ ფესტივალის ორგანიზატორებმა სამწუხარო დანაკლისი – მიხეილ კალატოზიშვილის შემოქმედების გაცნობის თვალსაზრისით, ამოავსეს, როდესაც კინოთეატრ "ამირანის" (სადაც გაიმართა ფესტივალი) აუდიტორიას ულამაზესი შედევრი "მე კუბა" წარუდგინეს. სწორედ ამის შედეგი იყო, რომ დიდი რეჟისორის 100 წლისთავისადმი მიძღვნილმა რეტროსპექტივამ და ფოტოექსპოზიციამ "გოეთეს ინსტიტუტში" წარმატებით ჩაიარა.

წარმატებები ხვდათ წილად ვაშინგტონში მოღვაწე ქართველ თეატრალებსაც – "ციქურიშვილების თეატრალური სტუდიის" სახელით ცნობილი "სინთეზური თეატრის პროდუქციამ" წელს ჰელენ ჰეიზის სახელობის პრემია (როგორც ამერიკაში ამბობენ, ის "ოსკარის" რანგის აღიარებაა თეატრალებისთვის) მიიღო.

ასევე სასიამოვნო იყო ჩვენთვის ქართული ჯგუფის "სოფთ ეჯექტის" წარმატებები ბრიტანეთში. "მუსიკა, რომელიც ნარკოტიკზე ძლიერ მოქმედებს", - ასე შეფასდა 2003 წლის დასაწყისში ქართველი მუსიკოსების შემოქმედება ბრიტანულ პრესაში. რამდენადაც ვიცი, "სოფთები" 2004-შიც აპირებენ ბრიტანული მარშრუტით ტურნეს დაგეგმვას. იმედია, მათი წარმატებები წინაზე მეტი იქნება. თუკი ინგლისურ პერიოდიკაში საქართველოს მუსიკალურ ტრადიციებზე "სოფთ ეჯექტის" გამო მსჯელობდნენ, თამარ და ნატალია სურგულაძეებმა შეძლეს ბრიტანული მოდის სამყაროს ყურადღებაც მიეპყროთ საქართველოსკენ. ლონდონის მოდის კვირეულზე 19 სექტემბრის შემდეგ (როდესაც ტყუპებმა 2004 წლის გაზაფხული-ზაფხულის კოლექცია წარადგინეს), თითქმის ყველა საუბრობდა, რომ მსოფლიო მოდაში სურგულაძეების (მათი სამარკო ნიშანია Tata&Naka) სახით საქართველოდან წარმატებული და მეტად საიმედო ახალგაზრდები გამოჩნდნენ.

რაც შეეხება ქართული მოდის პერსპექტივებს სამშობლოში, ამ მხრივ დიდად განსაკუთრებული არაფერი მომხდარა. თუ არ ჩავთვლით ახლახანს "აჭარა მიუზიკ ჰოლში" გვანცა ჯანაშიას კოლექციის ჩვენებას. ქართული მოდის გულშემატკივრებმა გვანცას ნამუშევრების სახით დაინახეს რაღაც, რაც ამ სფეროში გარკვეული იმედების საფუძველს იძლევა. ქართული მოდის სასიამოვნო პერსპექტივად შეიძლება მივიჩნიოთ წლევანდელ კონკურსზე - Русский силует, ახალგაზრდა ქართველი დიზაინერების – გიორგი ამირეჯიბისა და ხატია ჩომახაშვილის აღიარებაც.

ასევე წელს პირველად გავიდა ქართული სილამაზე მსოფლიო ბაზარზე (ასეთი ირონიული სახელწოდებით დაბეჭდეს ამ ზაფხულს რამდენიმე "ნიუსი" რუსულმა სააგენტოებმა). რუსებმა შეიძლება ბევრიც იქილიკეს, მაგრამ ჩვენთვის ეს პრეცედენტი საკმაოდ წარმატებული გამოდგა. "მის საქართველო" ირინა ონაშვილი საერთაშორისო ჟიურიმ კონკურსის ფინალზე მსოფლიოს ყველაზე ნიჭიერ და ლამაზ გოგონად მიიჩნია.

## კლასიკა რევოლუციის გარეშე

რევოლუციურ საქართველოში მოვლენები ელვის სისწრაფით განვითარდა: დაიწერა და ჩაიწერა რევოლუციური სიმღერები, გადაიღეს დემოკრატიული კლიპები მათ, ვინც რევოლუციის ავანგარდში იდგა და მათაც, ვისაც ამ ყველაფერთან საერთო არაფერი ჰქონდა. ქართულ კლასიკურ მუსიკალურ კულტურას კი, ამ მხრივ, წარბიც არ შეუხრია. ძველი წელი სტაბილური და მეტ-ნაკლებად ნაყოფიერი იყო, რევოლუციური გარე-გამღიზიანებლების გარეშე.

სტაბილურობა, პირველ რიგში, მოვლენათა თანმიმდევრულობით გამოიხატა. ჩვეულებრივ, მუსიკალურ ამინდს ფესტივალები ქმნის ხოლმე. საქართველოს ეკონომიკური შესაძლებლობიდან გამომდინარე, ფესტივალები, ფაქტობრივად, ერთადერთი საშუალებაა, როდესაც შეგვიძლია, მართლაც, ღირებული გასტროლიორი მუსიკოსები ვიხილოთ. გარდა ამისა, ფესტივალი სოლიდურად ჟღერს და, მისი წყალობით, მასმედიის მობილიზებაც უფრო იოლად ხდება. რაც შეეხება ფესტივალების დონეს: სამწუხაროდ, გადარჩევა აქ ოდნავ ბუნდოვანი საზომით მიმდინარეობს – ხშირად ძალზედ დასაფასებელი მუსიკოსების გვერდით მდარე პროდუქციასაც შემოგვაპარებენ ხოლმე. ბოლოს და ბოლოს, ნაჩუქარ ცხენს კბილს ხომ არ გაუსინჯავ - ფესტივალების სტუმრები ხომ უფასოდ მონაწილეობენ ღონისძიებაში.

წელს გაიმართა ტრადიციული ფესტივალები: "ხელოვნების ზეიმი", "შემოდგომის თბილისი", "კონსერვატორიის საახალწლო კონცერტების სერია". ამ მოვლენების წყალობით, საქართველოს გენადი როჟდესტვენსკი, ალექსანდრ პეტროვი, ივან მონიგეტი, პოლ მეიერი, "მოსკოველი ვირტუოზების" სექსტეტი და სხვები ეწვივნენ.

მნიშვნელოვანია, რომ ფესტივალებითა თუ უფესტივალოდ საქართველოში ქართველი მუსიკოსებიც ჩამოვიდნენ საგასტროლოდ. ამ მხრივ, ყველაზე აღსანიშნავი მოვლენა, ალბათ, პაატა ბურჭულაძის საიუბილეო კონცერტი იყო, როდესაც ერთ კონცერტზე ერთბაშად ზურაბ სოტკილავა, მაყვალა ქასრაშვილი, ბადრი მაისურაძე, თამარ ჯავახიშვილი და ლადო ათანელი ვიხილეთ. მისსავე დაარსებულ ფესტივალზე ("ხელოვნების ზეიმი") ლიანა ისაკაძე გამოჩნდა. შემოდგომაზე კი, ცნობილი მევიოლინეს სახელობის საერთაშორისო კონკურსი პეტერბურგში გაიმართა. ლექსო თორაძე, მართლია, საქართველოში არ ჩამოსულა, სამაგიეროდ, მისი კონცერტების ამბები მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან მოგვდიოდა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ბერლინის ფილარმონიაში გამართული კონცერტი იყო, სადაც პიანისტს მსმენელი ფეხზე ადგომით ესალმებოდა. მცირე წარმატებები ახალგაზრდებსაც ჰქონდათ: გია ონიანსა და ნინო სუგულაძისთვის ეს წელი "ლა სკალაში" სტუდენტური დებიუტით აღინიშნა. ლუჩანო პავაროტისთან ერთად იტალიაში გამართულმა კონცერტმა ლიზა მარტიროსიანს დიდი სცენისკენ გაუხსნა გზა. ვენის ფოლკსოპერაში კი ხათუნა მიქაბერიძე უკვე სრულუფლებიანი სოლისტის სტატუსით დამკვიდრდა.

წელს იყო მუსიკალური კულტურის დეცენტრალიზაციის მეტ-ნაკლებად წარმატებული მცდელობები – წარმატებულთა შორის კვლავ "ხელოვნების ზეიმი" და, ასევე, ბათუმში ამ ზაფხულს გამართული "აიდა" და "რეკვიემი" უნდა ვახსენოთ. სცადეს ქართული მუსიკისა და საშემსრულებლო ხელოვნების ექსპორტირებაც: ისრაელში თბილისის საოპერო თეატრის გასტროლებზე დოლიძის "ქეთო და კოტე" შესრულდა. ბონში, ბეთჰოვენის ფესტივალზე კი კონსერვატორიის სტუდენტური ორკესტრი და ფოლკლორული ანსამბლი "მე რუსთველი" გამოვიდნენ.

გადამდები ელიტური განწყობილებების მაგალითი, რომლებიც ხშირად ამა თუ იმ მოვლენას განსაკუთრებულ ღირებულებას ანიჭებს ხოლმე, ნიკა მემანიშვილის მიერ გია ყანჩელის კინოსა და თეატრისათვის შექმნილ მუსიკაზე განხორციელებული პროექტია. თავისთავად, გია ყანჩელის მუსიკას ნიკა მემანიშვილისგან კორექტირება რომ არ სჭირდება, ამაზე არავინ დავობს. თუმცა, ძველი თემების ახალ ფორმებში მოქცევა და თანამედროვე მუსიკალურ ენაზე ადაპტირება – საკმაოდ საინტერესო და, რაც მთავარია, რენტაბელური იდეაა. იმდენად რენტაბელური, რომ საბოლოოდ პროექტის ვოკალისტმა – ნატო მეტონიძემ სახელმწიფო პრემიაც კი დაიმსახურა (წინანდელის პრემია მან იტალიაში მოღვაწე ახალგაზრდა ქართველ მომღერალთან გია ონიანთან ერთად მიიღო).

რევოლუციურმა მოტივებმა კლასიკურ მუსიკას გვერდი ბოლომდე მაინც ვერ აუარა. გამონაკლისი თბილისის საოპერო თეატრი იყო, სადაც პატარა შიდა რევოლუციის მოწმენი გავხდით: თეატრში ხელმძღვანელობის წინააღმდეგ სოლისტები აჯანყდნენ. ჯანსუღ კახიძის გარდაცვალების შემდეგ თეატრის ხელმძღვანელობაში დროებითი სამხატვრო საბჭო მოვიდა. ხელმძღვანელობის დროებითობასა და ოპერის პრობლემებს რომ ბოლო მოღებოდა, ოპერის სოლისტებმა მუსიკალურ ხელმძღვანელად დირიჟორი ზაზა აზმაიფარაშვილის დანიშვნა მოითხოვეს. საბოლოოდ, პოსტი ცნობილმა მომღერალმა თემურ გუგუშვილმა დაიკავა, რასაც თეატრიდან ნიჭიერი ახალგაზრდა დირიჟორის წასვლა მოჰყვა. რევოლუცია ოპერაში არ მომხდარა - მღელვარება ჩაახშო გუგუშვილის ფიგურის მიმართ პატივისცემამ.

წლევანდელი წელი კლასიკური მუსიკისთვის საქართველოში უფრო ევოლუციური იყო, ვიდრე რევოლუციური. ვერ ვიწუწუნებთ, პროფესიული მუსიკის მოყვარულს თბილისში წასასვლელი ნამდვილად აქვს; მხოლოდ "პატარა" დეტალია მოსაგვარებელი – ღონისძიებების მუსიკალური დონის კიდევ მეტად ამაღლება და ადგილობრივი მუსიკალური ძალებისთვის საარსებო პირობების შექმნა. ახალგაზრდა ქართველი მუსიკოსის ოცნება ხომ ჯერაც ძალაშია: "წავალ უცხოეთში და კარიერას გავიკეთებ; აბა, აქ მუსიკით ვის უცხოვრია?!"

## ვისთვისაც ლიტერატურა იყო მთავარი

2003 წელი განსაკუთრებული იყო ლიტერატურის მოყვარულებისთვის. იმის გარდა, რომ ქართული გამომცემლობები წელსაც წარმატებით მუშაობდნენ, თბილისში წიგნის მოყვარულთა სამი კერა გაიხსნა. მაღაზია "პარნასის" გლდანის ფილიალი, "წიგნის სახლი" (გამსახურდიას გამზირზე) და "ლიტერატურული კაფე" (კოსტავას ქუჩაზე) – ამ ყველაფერმა წიგნის მოყვარულები ასიამოვნა. წიგნების ავტორებისთვის კი დაარსდა ლიტერატურული ყოველწლიური პრემია "საბა" და კიდევ ერთხელ გაიმართა გამომცემლობა "დიოგენეს" ორგანიზებული "პენ-მარათონი".

## კულტურის პოლიტიკა

გასულ წლებთან შედარებით 2003-ში შედარებით ბევრს მუშაობდნენ სახელმწიფო კულტურის პოლიტიკის შემუშავებაზე. ამ მიზნით მარტში კრწანისის სახელმწიფო რეზიდენციაც დაუთმეს დებატებს, სადაც კულტურის სფეროს ქართული ოფიციოზის წევრებთან ერთად (ღონისძიება ედუარდ შევარდნაძემ გახსნა) სახელოვნებო წრეების წარმომადგენლებიც შეიკრიბნენ. სტუმრების რანგში კი ევროსაბჭოს ექსპერტები იყვნენ. წესით, ორდღიან დებატებს გარკვეული შედეგები უნდა მოჰყოლოდა, ეს კი გარკვეულწილად დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად გაითვალისწინებენ საქართველოში ქართული კულტურის "მამები და დედები" ევროპელი ექსპერტების რჩევებს.

საქართველოს კულტურულ ცხოვრებაში წლის დამაგვირგვინებელ ჟესტად შეიძლება მივიჩნიოთ საქართველოს პრეზიდენტის (ამ შემთხვევაში მოვალეობის შემსრულებლის) ბრძანებულება 2003 წლის საქართველოს სახელმწიფო პრემიების მინიჭების შესახებ. ამიერიდან დამტკიცდა საქართველოს პრეზიდენტთან არსებული ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის სახელმწიფო პრემიების კომიტეტის თანდართული გადაწყვეტილება სახელმწიფო პრემიების მინიჭების შესახებ. ზემოთნახსენები კომიტეტის გადაწყვეტილებით, შემაჯამებელ სხდომაზე ფარული კენჭისყრით სახელმწიფო პრემიები მიენიჭათ: პოეტ **თამაზ ჩხენკელს** (ლექსების კრებულისთვის "სარკითა და სახითა"); კომპოზიტორ **ვაჟა აზარაშვილს** (2001-2003 წლებში შექმნილი ნაწარმოებებისთვის), მოქანდაკე **ჯუნა (დიმიტრი) მიქატაძეს** და არქიტექტორ **რევაზ ბერიძეს** (ლადო გუდიაშვილის ძეგლისთვის); ასევე, ანსამბლ "ერისიონის" სამხატვრო ხელმძღვანელს **ჯემალ ჭკუასელს**, მთავარ ქორეოგრაფს **რევაზ ჭოხონელიძეს** (2002-2003 წლების კონცერტებისთვის), **ნინო და ილიკო სუხიშვილებს** (უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში დადგმული ცეკვებისა და კოსტუმებისთვის); მწერალ **სოსო სიგუას** (წიგნისთვის "მარტვილი და ალამდარი"), ფოტოხელოვან **ბადრი ვადაჭკორიას** (ფოტოალბომისთვის "საქართველო"). და ბოლოს, კომიტეტის წევრებმა მიიღეს ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის ხელმძღვანელობის წინადადება და გადაწყდა, რომ დაბადებიდან ასი წლისთავთან დაკავშირებით, რუსთაველის სახელობის ეროვნული პრემიის ლაურეატის წოდება მიენიჭოს დიდ ამერიკელ ბალეტმეისტერს **ჯორჯ ბალანჩინს** (გიორგი ბალანჩივაძეს).

## ექსპორტ-იმპორტი

ქართველი და ევროპელი ექსპერტების დიალოგი ნაკლებ ზემოქმედებას მოახდენს, ალბათ, კულტურის ისეთ განუყოფელ ნაწილზე, როგორიცაა თანამედროვე მუსიკა. ამ მხრივ, განსაკუთრებულს არ ვიტყვი, თუკი კიდევ ერთხელ გულისტკივილით ვაღიარებ, რომ პროდიუსერული კომპანიების სიუხვის მიუხედავად, წელს ქართულ სცენაზე იმედისმომცემი ბევრი არაფერი გაკეთებულა. გამონაკლისის სახით აღნიშვნას იმსახურებს ნინო ქათამაძის შრომისუნარიანობა. ნინო ქათამაძის, "ისნაითისა" და გოგი ძოძუაშვილის ერთობლივი კონცერტი "აჭარა მიზიკ ჰოლში" წლის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო სიახლე იყო ქართული თანამედროვე მუსიკის სცენაზე.

2003 წელს აქტიურობით გამოირჩეოდნენ "სუხიშვილები". "ასსა ფართის" სახით ახალგაზრდა ქორეოგრაფებმა ქართული ხალხური ცეკვის პოპულარიზაციისთვის ნაყოფიერად იღვაწეს.

წლის ერთ-ერთი საუკეთესო კონცერტის შეფასებას, უდავოდ, იმსახურებს ქართველი ჯაზმენებისა და ფოლკლორისტების – "შინ" და "გეორგიკას" ერთობლივი პროექტი. "იბერო-კავკასიური სტილის" წარმოდგენა ქართველმა მუსიკოსებმა ევროპული კლუბების შემდეგ თბილისში პირველად შემოდგომაზე სცადეს. კონცერტმა მეტად სასიამოვნო შთაბეჭდილება დატოვა მსმენელზე. 2004 წელს კი ამ პროექტის ფართომასშტაბიანი პოპულარიზაციაა დაგეგმილი.

წელსაც მუსიკალური ექსპორტის სფეროში განსაკუთრებული სტუმრობები ისევ "ისთერნ პრომოუშენის" ბიჭების "ანგარიშზეა". ამ მხრივ კომპანია შეეცადა მხოლოდ ჯაზ-ფესტივალით არ შემოფარგლულიყო და წლის ბოლოს ცნობილი ამერიკელი კომპოზიტორის – ლალო შიფრინის სახით კიდევ ერთი სასიამოვნო სტუმარი ჩამოიყვანა თბილისში. აღარაფერს ვამბობ ჯაზის მოყვარულებისთვის ისეთ ავტორიტეტულ და სასიამოვნო პერსონებზე, როგორებიც არიან: Take 6, კენი გარეტი ან ტრილოკ გურტუ.

საკლუბო ცხოვრებაში წელს განსაკუთრებული როლი ითამაშა "აჭარა მიზუიკ ჰოლმა". რამდენიმე გამონაკლისს თუ არ ჩავთვლით, თითქმის ყველა კონცერტი სწორედ ამ კლუბში და კლუბის პრომოუტერების ინიციატივით გაიმართა. თბილისელმა საკლუბო მუსიკის მოყვარულებმა "მიუზიკ ჰოლის" სცენაზე იხილეს მათთვის ისეთი პოპულარული დასავლელი შემსრულებლები თუ დი-ჯეები, როგორებიც არიან: "ინგრიდი", ბობ სინკლერი, დიჯეი სპილერი, "სუპერმენ ლოვერსი", და ა.შ, - ჩამონათვალის გაგრძელება კიდევ შეიძლება. კლუბის სტუმრებს შორის ყველაზე ემოციური კონცერტით კი რუსულმა "მუმი ტროლმა" დაგვამახსოვრა თავი.

## როგორ მოვუაროთ ნაძვის ხეს




მიუხედავად იმისა, რომ ათასგვარი ხელოვნური საშობაო ხე არსებობს, ბევრისთვის შობას ნამდვილი ნაძვის ხის გარეშე ფასი არ აქვს. რამდენიმე რჩევა იმისთვის, თუ როგორ შევუნარჩუნოთ ხეს სიმწვანე და სასიამოვნო არომატი მეთორმეტე ღამემდე.

**ყიდვა:** თუ ბოლო წუთამდე გადადებთ საახალწლო ვაჭრობას, შეიძლება, გამხმარი ხის გარდა, ალარაფერი შეგხვდეთ. შეიძინეთ ახალმოჭრილი ხე და თუ საჭიროა, ცოტა ხნით წყლიან სათლშიც მოათავსეთ.



**ნიშნები:** მკვეთრი ფერითა და მძაფრი სურნელით უნდა მიხვდეთ, რომ ხე ახლახან არის მოჭრილი.

**მდგომარეობა:** ტოტზე ხელი გადაუსვით. წიწვები აუცილებლად უნდა გასწორდნენ.

**მოვლა:** ხეს ქვემოდან დაახლოებით ორნახევარი სანტიმეტრი სისქის ნაჭერი მოახერხეთ, რათა მას გამხმარი ნაწილი მოაშოროთ და საშუალება მისცეთ, წყალი კარგად შეიწოვოს. დაამაგრეთ ხე მყარ, გამძლე სამაგრზე, ანდა მოათავსეთ ხრეშიან ვედროში, დაუმატეთ წყალი, საჭიროებისამებრ. არ ჩადოთ ის მიწიან სათლში, რათა არ დაეხშოს ფორები.



ნორვეგიული ნაძვი 40 მეტრამდე იზრდება.

**უსაფრთხოება:** ხე შედარებით გრილ გარემოში დადგით, ბუხრისა და გამათბობელი რადიატორებისგან მოშორებით. თუ ასე მოიქცევით, ხე არ გახმება და ხანძრის საშიშროებასაც აიცილებთ თავიდან.



ნუ გადატვირთავთ პატარ-პატარა ტოტებს სათამაშოებით. კარგად შეამოწმეთ ხეზე დასამაგრებელი ნათურების ელექტრომავთულებიც.

უკვე ძველი ხე კი დაწვით ბუხარში.

Sources: Forestry Commission, University of Illinois © GRAPHIC NEWS

## ზეიმის 4 ათასი წელიწადი

ზამთრის შუა პერიოდში უკვე დიდი ხანია, მოსახლეობა მნიშვნელოვან დღესასწაულებს აღნიშნავს. ძველი ეგვიპტელები და პირველი ევროპელები ზამთრის მზეობას – მზის ხელახლა დაბადებას ზეიმობდნენ. რომაელები აწყობდნენ სატურნალიას – ბარაქისა და სიმდიდრის წარმართული ღმერთის თაყვანსაცემად. მე-4 საუკუნის შუა ხანებში, პაპმა იულიუს პირველმა ქრისტეს შობის თარიღად 25 დეკემბერი გამოაცხადა.




**მარადმწვანე ხეები:** მათ, როგორც მარადიული სიცოცხლის სიმბოლოს, ეთაყვანებოდნენ ევროპელი დრუიდები და ვიკინგები. საშობაო ხეები ჰქონდათ წარმართულ რომშიც. უფრო თანამედროვე ტრადიცია კი მე-15 საუკუნის გერმანიაში გაჩნდა.

წმ. ნიკოლოზი: დაიბადა ახ.წ.-ით 280 წელს, მირაში, თანამედროვე თურქეთის ტერიტორიაზე. ღარიბ-ღატაკთა და სნეულთა დახმარების, სიკეთისა და კეთილშობილების გამო, ის ბევრს აღაფრთოვანებდა. წმ. ნიკოლოზი ცნობილია, როგორც ბავშვებისა და მეზღვაურთა მფარველი წმინდანიც.



სამი მეფის დღე: შობის 12 დღიანი ზეიმი სრულდება ნათლისღების დღეს. ლეგენდის მიხედვით, მოგვებმა იარეს ნათელი ვარსკვლავის გზით ბეთლემამდე, რათა ახალშობილი ქრისტესთვის მიეძღვნათ ოქრო, მირონი და ლადანი. დღემდე აღმოსავლურ ქრისტიანული ეკლესია და ესპანური სამყარო შობის დღესასწაულს 6 იანვარს ზეიმობს.



სანტა კლაუსი: ჰოლანდიელებმა ამერიკას წმინდა ნიკოლოზი გააცნეს, როგორც სინტერ კლაასი, რომელიც დროთა განმავლობაში სანტა კლაუსად იქცა. სხვანაირად მას Father Christmas ჰქვია, საფრანგეთში – პერ ნოელს უწოდებენ, ესპანურენოვან სამყაროში კი – პაპა ნოელს.

© GRAPHIC NEWS

# ვისია ჩინეთი?

მადრიდის "რეალსა" და "მანჩესტერ იუნაიტედს" ჩინეთი ვერ გაუყვება. საინტერესოა, რომ ვიდრე დევიდ ბექჰემი "მანჩესტერის" ღირსებას იცავდა, ალექს ფერგიუსონის გუნდს, პოპულარობის თვალსაზრისით, ჩინეთში ბადალი არ ჰყავდა, მაგრამ ახლა, როცა ბექჰემი ესპანეთის "სამეფო კლუბისთვის" იღვწის, ადგილობრივ გულშემატკივართა შორის "რეალის" აქციებმა საგრძნობლად მოიმატა.

მადრიდელი კლუბი 2004 წელსაც აპირებს ჩინელი ფეხბურთის მოყვარულების თავისი ვიზიტით გახაროს და ამით კიდევ უფრო გააძლიეროს პოზიციები ყველაზე დიდი ქვეყნის ექსპანსია. "რეალი" ჩინეთის დედაქალაქში, ესპანეთის აზიური ტურნეს ფარგლებში ამხანაგურ მატჩს ჩაატარებს. ამის თაობაზე მოლაპარაკებები, როგორც ცნობილი გახდა, უკანასკნელ სტადიაში იმყოფება. "სამეფო კლუბის" ჩინეთში ვიზიტის ზუსტი თარიღი ჯერ დადგენილი არ არის, მაგრამ ის აუცილებლად ათენის ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებამდე უნდა განხორციელდეს. უკვე ცნობილია, რომ პეკინში მატჩისთვის მადრიდელები ვარაუდობენ 6 მილიონი ევრო მიიღონ - სამჯერ მეტი თანხა, ვიდრე წლევანდელი ვიზიტის დროს.

"რეალი", როგორც ჩანს, სერიოზულად აპირებს აზიურ ქვეყანაში დამკვიდრებას. მომავალ წელს პეკინში გაიხსნება საფირმო მაღაზია, სადაც ესპანური კლუბის ატრიბუტიკა გაიყიდება. იფუნქციონირებს ინტერნეტ-კაფე და პირველი ოფიციალური ფან-კლუბი. არ არის გამორიცხული საფირმო მაღაზიამ ვანფუცზინზე დაიდოს ბინა - პეკინის ყველაზე პრესტიჟულ სავაჭრო ქუჩაზე. მოლაპარაკებები მიმდინარეობს ჩინელი მოზარდებისთვის შანხაიში "რეალის" საფეხბურთო სკოლის გახსნის შესახებ.

... და ეს ყველაფერი დევიდ ბექჰემის "რეალში" გადასვლამ გამოიწვია. მიუხედავად ამისა, "მანჩესტერ იუნაიტედი" არ აპირებს ჩინეთისთვის ბრძოლაში ასე იოლად დაყაროს ფარ-ხმალი. 2003 წელს ჩინეთში პირველად დაიწყო "მანჩესტერ იუნაიტედის" ლიცენზირებული მაისურების გაყიდვა. გაჩნდა ინფორმაცია, რომ ინგლისური კლუბი აპირებს, 18 წლის ადგილობრივი ვარსკვლავი დუნ ფანჩუოუ იყიდოს, რომელიც ამჟამად ჩინეთის ყველაზე ტიტულოვანი კლუბის ქალაქ დალიანის გუნდის ღირსებას იცავს. ამასთან მიმომხილველები აღნიშნავენ, რომ "მანჩესტერის" მთავარი მიზანი მარტო ჩინური ფეხბურთელის ყიდვა კი არა, მრავალრიცხოვანი ადგილობრივი გულშემატკივრების ყურადღების მიქცევაა.

ჩინეთში ფეხბურთმა სულ უფრო დიდი პოპულარობა მოიპოვა, მაგრამ ადგილობრივ ფეხბურთელთა კლასი დაბალია, რაც 2002 წლის მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატმაც დაადასტურა. ჩინეთის ნაკრებმა გასულ მუნდიალზე სამივე ჯგუფური მატჩი წააგო და სამშობლოში ისე გაემგზავრა, არც ერთი გოლი არ გაუტანია. ადგილობრივი ქომაგები კი იმედოვნებენ, რომ ქვეყნის ფეხბურთელთა პროფესიული დონე სწრაფად გაიზრდება. ვარაუდობენ, რომ ამ მიზნის ბიძგის მიმცემი გახდება 2004 წლის აზიის თასის გათამაშება, რომელიც ჩინეთის ოთხ ქალაქში - პეკინში, ჩუნცინში, ცზინანსა და ჩენდუში გაიმართება.

# რანიერი წასვლას არ აპირებს

ბრიტანული "სანი" იუწყება, რომ ლონდონის "ჩელსის" იტალიელი მწვრთნელი უარყოფს ხმებს იმის თაობაზე, რომ ის შეიძლება შეცვალონ ინიაკი საესით, რომელიც ამჟამად ესპანეთის ნაკრებს უდგას სათავეში.

ამას წინათ ერთმა ესპანურმა გამოცემამ გამოაქვეყნა ინფორმაცია, რომ წინა კვირაში "ჩელსის" მფლობელმა რომან აბრამოვიჩმა, თითქოს, საესს წინადადება შეუთვალა ლონდონურ კლუბთან კონტრაქტის გაფორმების შესახებ. ამის პასუხად, "ჩელსის" მწვრთნელმა "პორტსმუტთან" გამარჯვების შემდეგ ირონიულად შენიშნა: "ვიღაცას, ალბათ, ძალიან სურს, უკან, ესპანეთში გამამგზავროს (ერთი პერიოდი იტალიელი მწვრთნელი "ვალენსიას" ედგა სათავეში). მე მომწონს ლონდონში ცხოვრება და "ჩელსიში" საქმიანობას აუცილებლად განვაგრძობ".

თუმცა, რანიერისთვის საესი ერთადერთი კონკურენტი არ არის. ბოლო დროს ინგლისური მედია გამუდმებით აცხადებს, რომ კლაუდიო რანიერი უახლოეს მომავალში დატოვებს "ჩელსის" მთავარი მწვრთნელის პოსტს და მის ადგილზე ინგლისის ნაკრების მწვრთნელი სვენ-გორან ერიქსონი იმუშავებს. ამ ჭორების შესახებ კლაუდიო რანიერიმ განაცხადა, რომ ეს ჭორები მისი ცხოვრების ნაწილი გახდა და ის ამას შეეჩვია. "თუ "ჩელსი" იგებს, ყველა აბრამოვიჩის გამარჯვებაზე საუბრობს, ხოლო თუ აგებს - დამნაშავე რანიერია," - თქვა მწვრთნელმა.

ამასთან, რანიერიმ აღნიშნა, რომ ჯობს, ეს ზეწოლა მან განიცადოს და არა მისმა ფეხბურთელებმა. იტალიელმა შენიშნა, რომ დეკემბერი მისი გუნდისთვის საუკეთესო თვე არ იყო, მაგრამ გამოხატა რწმენა, რომ მომავალ წელს გუნდის საქმეები უკეთ წარიმართება. "ჩვენ ფავორიტებთან ერთად კვლავ ინგლისის ჩემპიონობისთვის ვიბრძვით," - შეახსენა საზოგადოებას კლაუდიო რანიერიმ.

## TV-პროგრამა

### სამშაბათი. 30 დეკემბერი

**НТВ+ФУТБОЛ**
07:00 NBA TV. NBA-ს ლეგენდები: ელჯინ ბეილორი
08:00 NBA TV. "NBA-ს დიდი თამაშები" წელი 1970. "ყველა ვარსკვლავთა მატჩი"
10:00 10:00-დან 13:00-მდე შესვენება
13:00 თავისუფალი დარტყმა
13:15 ჩვენები ჩემპიონთა ლიგაში. 1998-1999 წლების სეზონი. "სპარტაკი" – "ინტერი"
15:00 ყველა დროის მატჩები. 1970 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალი. ბრაზილია – იტალია
16:45 თავისუფალი დარტყმა
17:00 "ევროფანკლუბი". ლივერპული
17:30 "ცხრიანი"
17:45 ჩემპიონთა ლიგის ფინალები. ფინალი-98. "რეალი" – "იუვენტუსი"
19:45 "დარტყმა გოლისთვის"
20:00 თავისუფალი დარტყმა
20:15 სახვალიო ტელეპროგრამა
20:20 ყველა დროის მატჩები. 1974 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალი. ჰოლანდია – გერმანია
22:20 ჩემპიონთა ლიგის ფინალები. ფინალი-99. "ბავარია" – "მანჩესტერ იუნაიტედი"

**НТВ+СПОРТ**
11:00, 14:15, 17:00 პრესცენტრი
11:15, 22:15 "ოლიმპის შვილები"
11:20 აერობიკა
12:45 "ბილიარდის მეუფენი"
13:15 დედოფალი მთელი ბრწყინვალებით. წელი 2003
15:00 მაგიდის ჩოგბურთი. Pro Tour Grand Finals ჩინეთში. ფინალები
17:15 "თოვლის სამყარო". ტელეჟურნალი
17:50 ჰოკეი. მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატი ფინეთში. რუსეთი – აშშ. პირდაპირი ტრანსლაცია
20:30 საბილიარდო სპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი პულში. ინგლისი. ნახევარფინალები
22:20 სახვალიო ტელეპროგრამა
22:25 "Power week – NHL-ის კვირა"
22:55 სპორტული ცეკვები. მსოფლიო ჩემპიონატი. ევროპული პროგრამა
23:50 ფიგურული სრიალი. World Team Figure Skating Challenge
00:50 რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმირ პუტინის საახალწლო მიმართვა
01:05 ფიგურული სრიალი. World Team Figure Skating Challenge. გაგრძელება

**EUROSPORT**
11:30 სათხილამურო ორჭიდი. მსოფლიო თასი გერმანიაში
13:00 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა
15:00 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი გერმანიაში
16:15 მულტისპორტი. ევროსპორტის 50 საუკეთესო პროგრამა
17:15 ფეხბურთი. უეფა-ს ჩემპიონთა ლიგა
17:45 მულტისპორტი
18:15 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი გერმანიაში
19:30 ფიგურული სრიალი. შეჯიბრება გერმანიაში
21:15 მულტისპორტი. ევროსპორტის 50 საუკეთესო პროგრამა
21:45 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი გერმანიაში
22:00 ფეხბურთი. უეფა-ს ჩემპიონთა ლიგა
22:30 მულტისპორტი. ევროსპორტის 50 საუკეთესო პროგრამა
23:00 მულტისპორტი
00:00 მულტისპორტი. ევროსპორტის 50 საუკეთესო პროგრამა
01:30 ფეხბურთი. მსოფლიო თასი აშშ-ში
02:00 მულტისპორტი
03:00 მულტისპორტი. ევროსპორტის 50 საუკეთესო პროგრამა
03:30 მულტისპორტი

*ფეხბურთი*

# რეზო ლორთქიფანიძე: „სტადიონზე გულშემატკივარი უნდა მივიყვანოთ"

**საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა 2003 წელს გაწეულ სამუშაოს დადებითად აფასებს**

აკა ტონია

2003 წლის დასრულებამდე რამდენიმე საათი დარჩა. რა მოგვიტანა ამ წელმა? იყო კი ის წარმატებული? 2003 წელი მეტად ქაოტური აღმოჩნდა ქართული ფეხბურთისათვის. ჩვენმა ნაკრებმა სამი მწვრთნელი გამოიცვალა, საბოლოო ჯამში კი, ვერაფერს მიაღწია. ანრი მიშელის ჩამოსვლის იმედად კი ვართ, მაგრამ 2003 წელი ნაკრებმა მაინც უმწვრთნელოდ ჩაამთავრა. დააპატიმრეს მერაბ ჟორდანია...

მაგრამ, ნურც კარგს დავივიწყებთ - 2003 წელი არც ისე წარუმატებელი იყო. გაიხსენეთ, თუნდაც, რუსეთთან გამარჯვება! ამ წელს მნიშვნელოვან, "საშვილიშვილო" საქმეებს ჩაეყარა საფუძველი - გაიხსნა მსაჯთა აკადემია; ყველაზე მნიშვნელოვანი კი, ალბათ, ის იყო, რომ "საქართველოს პროფესიული ფეხბურთის" ლიგა ჩამოყალიბდა; საქართველოს ჩემპიონატს სპონსორები გამოუჩნდნენ; დაიწყო მატჩების პირდაპირი ტრანსლაციები – ეს კარგია.

პროფესიული ფეხბურთის ლიგის გენერალურ მდივანს რეზო ლორთქიფანიძეს მაშინ ვესტუმრეთ, როდესაც ის ლიგის ერთ-ერთი სპონსორის, კავშირგაბმულობის კომპანია "ჯეოსელის" მიერ მოწოდებულ სიმ-ბარათებს ურიგებდა პროფესიული ლიგის თანამშრომლებს და კლუბების წარმომადგენლებს. ჩვენი საუბარიც სპონსორებით დაიწყო...

- ეს სიმ-ბარათები "ჯეოსელმა" უფასოდ გადმოგვცა, შეღავათიანი პირობებით. "ჯეოსელი" პროფესიული ლიგის საკომუნიკაციო სპონსორია და, შესაბამისად, მთელი ჩვენი სამსახური სწორედ "ჯეოსელის" აბონენტი გახდება. ეს პროცესი ნებაყოფლობითია და ეტაპობრივად განხორციელდება. პროფესიული ლიგის თითოეულ თანამშრომელს საშუალება ექნება, რომ "ჯეოსელის" მომსახურებით ისარგებლოს. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ამ კომპანიასთან ჩვენი თანამშრომლობა ამით არ შემოიფარგლება. მომავალი სეზონიდან "ჯეოსელი" კიდევ უფრო აქტიურად დაგვიდგება გვერდში და უფრო დიდ დახმარებასაც გაგვიწევს.

**- "ჯეოსელი" პროფესიული ლიგის ერთ-ერთი სპონსორია...**

- ჩვენი გენერალური სპონსორი "კოკა-კოლა" გახლავთ. ამ კომპანიასთან 8-წლიანი ხელშეკრულება გავაფორმეთ და ეს თანამშრომლობა საკმაოდ ნაყოფიერია. რამდენიმე დღის წინათ "კოკა-კოლამ" პროფესიული ლიგის საუკეთესო ათი მსაჯისათვის ფირმა K"-ს ინვენტარი შეიძინა - ფორმები, სასტვენები, დროშები... "კოკა-კოლას" და "ჯეოსელის" გარდა, პროფესიული ლიგის სპონსორები არიან: სადაზღვევო კომპანია BCI, "ნიკორა", "სნიკერსი", "საქართველოს ბანკი". BCI-მ ჩვენ იმის საშუალება მოგვცა, რომ ფეხბურთელები დაგვეზღვია. საქართველოს საკლუბო ფეხბურთისათვის ეს ახალი ხილია. დაზღვევა ნებაყოფლობითია, თუმცა BCI ამ მომსახურებას უსასყიდლოდ გვთავაზობს და ამ მომენტისათვის შეგვიძლია ვთქვათ, რომ უმაღლესი ლიგის კლუბების ყველა ფეხბურთელი საიმედოდაა დაზღვეული. "ნიკორა" ამჟამად მხოლოდ სარეკლამო აბრებით არის წარმოდგენილი, თუმცა უკვე მიმდინარე სეზონში ვაპირებთ, რომ სტადიონებზე ამ კომპანიის სავაჭრო ჯიხურები დაიდგას. "ნიკორა" ხარისხიან პროდუქტს აწარმოებს და მისი სავაჭრო პუნქტების გამოჩენა ბევრად უკეთესი და ცივილიზებული ალტერნატივა იქნება უცნობი წარმოშობის ფენოვანი ხაჭაპურებისა და სხვა პროდუქტებისათვის. შესაძლოა, მსგავსი რამ "სნიკერსმაც" განახორციელოს. ყოველივე ეს სტადიონზე მაყურებლის მოზიდვასაც შეუწყობს ხელს. ინტენსიურად ვთანამშრომლობთ "საქართველოს ბანკთანაც". ამ სპონსორის ხელშეწყობით, მთელი ჩვენი სამსახური უკვე საბარათო სისტემაზე გადავიდა და ჩვენი თანამშრომლები სწორედ "საქართველოს ბანკის" ელექტრონული ბარათებით ღებულობენ ხელფასს. ჩვენი თანამშრომლობა ძალიან ნაყოფიერია [illegible]

**- BCI-ს დაზღვევა ჯერ არც ერთ ფეხბურთელს არ გამოუყენებია?**

- [illegible] ისეთი ტრავმა არ ყოფილა, რომ სადაზღვევო კომპანიას დაშავებულის მკურნალობის ანაზღაურება დასჭირვებოდა. კუნთის დაჭიმვას და მსგავს მიკრო-ტრავმებს სადაზღვევო კომპანიის ჩარევა არ სჭირდება; უფრო სერიოზული კი ჯერ არაფერი მომხდარა. ღმერთმა არც დაგვაჭირვოს...

**- გამოდის, რომ სპონსორებით კმაყოფილები ხართ?**

- უდავოდ. სპონსორებთან ჩვენი თანამშრომლობა ზუსტად ისე წარიმართა, როგორც ველოდით.

**- თავად სპონსორებიც კმაყოფილები არიან?**

- ურთიერთთანამშრომლობით ერთნაირად ვართ კმაყოფილები. თუმცა, ეს არ ნიშნავს თვითკმაყოფილებას. ვცდილობთ, რომ ჩვენმა თანამშრომლობამ კიდევ უფრო წინ წაიწიოს და ამისათვის ყოველდღიურად უნდა გადაიდგას ახალი ნაბიჯები. მადლობელი ვართ იმ ხალხის, ვინც გვერდში დაგვიდგა. სერიოზულ კომპანიებს სტადიონზე დადგმული აბრები არ აინტერესებთ. ჩვენი სპონსორების გეგმები გრძელვადიანია. ამ ეტაპზე ისინი არავითარ სარგებელს არ ნახულობენ. ამჟამად ყველა იმაზე ზრუნავს, რომ ერთად ვუშველოთ ქართულ ფეხბურთს. ხოლო როდესაც საშუალო ევროპულ დონეს მივაღწევთ, სპონსორებიც მაშინ მოიმკიან დათესილს.

**- ახალი სპონსორები ხომ არ გამოჩენილან?**

- დამატებითი სპონსორების მოძიების განხრით ვმუშაობთ, თუმცა ამ ეტაპზე ახალი სპონსორი არ დაგვემატება. იმისათვის, რომ პროფესიული ლიგის სპონსორობით დაინტერესდნენ, კომპანიებს გარკვეული კანონებიც უნდა უწყობდეს ხელს. ჯერ კიდევ ზაფხულში მივმართეთ პარლამენტს თხოვნით, რათა სპორტში ალკოჰოლური სასმელების რეკლამირება დაეშვათ. ჩემპიონთა ლიგის სპონსორები Amstel და Heinecken არიან. ჩვენთან კი ლუდის რეკლამირება აკრძალულია, რის გამოც, ალკოჰოლური სასმელების მწარმოებლებს ჩვენი დახმარების საშუალება არ აქვთ. არადა, ლუდი ფეხბურთის განუყოფელი "ატრიბუტია" მთელ მსოფლიოში; ჩვენ ხომ სიგარეტის რეკლამირებას არ მოვითხოვთ... პარლამენტს მაშინ არ ჰქონდა დრო, რომ ჩვენი თხოვნა განეხილა. იმ[illegible]

**- პროფესიულმა ლიგამ საქართველოს 2003/2004 წლის სეზონის პირველი წრე დაასრულა. როგორ შეაფასებდით თქვენს მიერ აქამდე გაწეულ სამუშაოს, საქართველოს პროფესიული ლიგის პირველ ნაბიჯებს?**

- [illegible] ვია, რომ პროფესიული ლიგის მუშაობისათვის ხელი შეეშალა. უსიამოვნო სიურპრიზები, თითქმის, არ ყოფილა, რაც საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის დახმარებამაც განაპირობა. პროფესიული ლიგა საქართველოს მიმდინარე ჩემპიონატს ფეხბურთის ფედერაციასთან ერთად ატარებს და, ამის გამო, ბევრი სირთულე ავიცილეთ თავიდან. სპონსორებზე უკვე ვისაუბრეთ - მათი მოზიდვა ჩვენთვის, მართლაც, წარმატება იყო. მკაცრი ბრძოლა გამოვუცხადეთ არასამართლიან მსაჯობას. არბიტრებისა და ინსპექტორებისაგან თავიდანვე მაქსიმალურ ობიექტურობას მოვითხოვდით. იყო შემთხვევები, როდესაც არასამართლიანი მსაჯობისათვის, არბიტრები საერთოდ ჩამოვაშორეთ საქმიანობას, მათთან ერთად დაისაჯნენ ის ინსპექტორებიც, რომლებმაც მსაჯების შეცდომებზე თვალები დახუჭეს. ვფიქრობ, რომ, სამართლიანი მსაჯობის განხრით, გარკვეულ დონეს უკვე მივაღწიეთ, თუმცა გასაკეთებელი კიდევ ბევრია. გვჭირდება ახალი კადრები, რაშიც ახლად ახსნილი მსაჯთა მომზადების აკადემიაც გვეხმარება. დავდივართ ბავშვთა ტურნირებზე და იქაც ვაკვირდებით ახალგაზრდა მსაჯებს.

**- ამ ეტაპზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველოს ჩემპიონატში "ჩაწყობილი" თამაშები აღარ არის?**

- როგორც უკვე აღვნიშნე, მსაჯებს მკაცრად ვაკონტროლებთ. ჯერ არ ყოფილა ისეთი შემთხვევა, რომ მსაჯის შეცდომას გადამწყვეტი როლი ეთამაშოს მატჩის შედეგზე. თუმცა, "ჩაწყობა" უმსაჯოდაც შეიძლება - მოწინააღმდეგის მოსყიდვით. საბედნიეროდ, მიმდინარე ჩემპიონატი უაღრესად დაძაბული აღმოჩნდა, რის გამოც, თამაშის განგებ წაგება და მოწინააღმდეგისათვის ქულების "ჩუქება" ხელს არავის აძლევს. მეორე წრე, ალბათ, კიდევ უფრო დაძაბული იქნება. ქვედა ექვსეულში ფოთის "კოლხეთი", ბათუმის "დინამო" და ქუთაისის "ტორპედო" მოხვდნენ – დიდი ტრადიციების მქონე და ამბიციური სამი კლუბი. არ მგონია, რომ გამიზნულად დადგნენ უმაღლესი ლიგიდან გავარდნის საშიშროების წინაშე. შემიძლია, დაგარწმუნოთ, რომ საქართველოს ჩემპიონატში "ჩაწყობილი თამაშები" ნამდვილად არ არსებობს.

გარდა ამისა, უნდა აღვნიშნო, რომ პროფესიული ლიგა უდიდეს ყურადღებას უთმობს მასმედიასთან ურთიერთობას. პარტნიორული ხელშეკრულებები გავაფორმეთ ტელეკომპანიებთან, რომლებიც საქართველოს ჩემპიონატის მატჩების ტელეტრანსლაციებს აწარმოებენ. დიდი მადლობა ტელეკომპანია "იმედს", "მე-9 არხს" და ყველა იმ კომპანიას, რომლებიც ძალიან კარგად აშუქებენ ჩემპიონატს. დიდი მადლობა მინდა გადავუხადო გაზეთებს, მათ შორის, "24 საათს". ვფიქრობ, რომ საინფორმაციო საშუალებები წელს კიდევ უფრო კარგად აშუქებენ საქართველოს ჩემპიონატს, ვიდრე წინა წლებში. სპონსორებიც, ობიექტური მსაჯობაც და მასმედიის ყურადღებაც იმისთვის გვჭირდება, რომ გულშემატკივარს სტადიონზე მისვლის სურვილი გაუჩნდეს. ჩვენი უმთავრესი მიზანი ხომ ეს არის.

ცხადია, 6 თვეში დიდი გეგმების განხორციელებას ვერ მოვახერხებდით. წინ დიდი სამუშაო გველის - თუნდაც მასმედიასთან. ტელეკომპანიებს ჩვენ უფასოდ ვაძლევთ მატჩების ტრანსლაციის უფლებას, ეს საქართველოს ჩემპიონატის პოპულარიზაციისათვის გვჭირდება. არა მგონია, რომ ამ ეტაპზე რომელიმე ტელეკომპანიამ ფული გადაიხადოს მატჩების ჩვენებისათვის. პროფესიული ლიგა რუსეთში ჩვენზე ბევრად უფრო ადრე ჩამოყალიბდა და წელს პირველად მოხდა ტელეტრანსლაციების გაყიდვა. ჩვენთანაც დადგება დრო, როდესაც საქართველოს ჩემპიონატის მატჩების საჩვენებლად ტელეკომპანიები ფულს გადაიხდიან.

**- როგორ აპირებთ ხალხის სტადიონზე მიყვანას?**

- გულშემატკივარს კარგი, საინტერესო ფეხბურთი აინტერესებს. კარგ ფეხბურთს კი ძლიერი კლუბები თამაშობენ. საქართველოს პროფესიული ლიგა ხომ სწორედ კლუბებისათვის შეიქმნა. ჩვენი მიზანია, რომ კლუბები გაძლიერდნენ და საქართველოს ჩემპიონატი საინტერესო იყოს. უკანასკნელ წლებში ჩემპიონატში ინტრიგა აშკარად მატულობს. მომავალი სეზონი კვლავ 12-გუნდიანი სისტემით ჩატარდება, მაგრამ ჩვენ საქართველოს ჩემპიონატში მონაწილე გუნდების რაოდენობის შემცირებას ათ გუნდამდე ვფიქრობთ. მაგრამ, საბოლოოდ ეს თავად კლუბების გადასაწყვეტია. ჩვენ მათ პროექტს წარვუდგენთ. გუნდების რაოდენობის შემცირება ჩემპიონატის ხელოვნურად დაძაბვას ნიშნავს. თუმცა, ვფიქრობ, ამ ეტაპზე ეს გამართლებულია. ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისათვის, რათა ხალხი დავაინტერესოთ. მიმდინარე სეზონშივე ვგეგმავთ, რომ ჩემპიონატის დასკვნითი ეტაპის მატჩების დროს შოუები, ლატარიის გათამაშება და სხვა მსგავსი ღონისძიებები მოვაწყოთ.

ჩვენს მიერ აქამდე გაწეულ სამუშაოს დადებითად ვაფასებ, თუმცა ვიმეორებ, თვითკმაყოფილები ნამდვილად არ ვართ. ყოველდღიურად უნდა ვიმუშაოთ იმისათვის, რომ, რაც შეიძლება, მეტი მაყურებელი ჰყავდეს ჩემპიონატს, მეტი სპონსორი მოვიზიდოთ და ქართულ კლუბებს უფრო მეტი ფული ჰქონდეთ.

**- ახალი წლის დადგომამდე სულ ცოტაღა დარჩა...**

- ყველას ვულოცავ ახალ წელს - გულშემატკივრებს, ფეხბურთელებს, მთლიანად საფეხბურთო სამყაროს. მჯერა, რომ 2004 წელი 2003 წელზე უკეთესი იქნება. ღმერთმა ქნას, რომ ჩვენი მიზნების განხორციელება და ქართული ფეხბურთისთვის რეალური სახის დაბრუნება შევძლოთ.



ლევან ხერხეულიძის ფოტო

რეზო ლორთქიფანიძეს და პროფესიულ ლიგას წინ კიდევ ბევრი საქმე აქვთ.

*რაგბი*

# უკვე წარსულის წლევანდელი რაგბი

პაატა თოთაძე

"თვალს ვავლებ მიმდინარე წელს და ვფიქრობ: უჰ შენი, ჯონი, ეს რა ჩაიდინე, ბიჭო...", - გამოუტყდა ინტერვიუში "The Sun"-ს ჯონი ვილკინსონი. "ოქროს ჯონი", როგორც მას სამშობლოში უწოდებენ, უყურადღებობას რაგბის მოყვარულთა მხრიდან არც მსოფლიო თასამდე უჩიოდა, ტურნირის შემდეგ კი პოპულარობით ტოლს არავის უდებს. ამიტომაც გახდა ვილკინსონი ტაბლოიდის ინტერესის საგანი მიმდინარე წლის შედეგების შეჯამებისას. შედეგებს ყველა აჯამებს, ყველა თავისას ითვლის - კარგს თუ ცუდს. ჩვენც ასე ვართ - ჯერ კიდევ ყველაფერი წლევანდელია, მაგრამ სულ მალე უკვე წარსულად იქცევა.

თქმა არ უნდა, მიმდინარე წლის უმთავრესი სარაგბო მოვლენა მსოფლიო თასი იყო, ჯონი ვილკინსონი კი - ამ ტურნირის ყველაზე გამორჩეული ფიგურა. ჩვენთვის ეს ტურნირი ორმაგად მნიშვნელოვანი იყო - მსოფლიო თასი ხომ პლანეტის უმთავრესი სარაგბო შეჯიბრია; და მეორეც - ამ ტურნირში საქართველო მონაწილეობდა; პირველი სათამაშო სახეობის წარმომადგენელი გუნდი ქვეყნის ისტორიაში და, ასევე, პირველი გუნდი პოსტსაბჭოთა სივრცეში, რომელსაც ასეთი პატივი ხვდა წილად. მართალია, ბორჯღალოსნები ვერ დაიკვეხნიან ავსტრალიაში კარგი თამაშით, მაგრამ თავად ფაქტი ისეთი მასშტაბის იყო, მომავალში ათვლის წერტილად რომ უნდა იქცეს. რაც უნდა ითქვას ბორჯღალოსანთა თამაშზე, ქართველებს არასდროს მისცემიათ შესაძლებლობა, ეთამაშათ ასეთ მეტოქეებთან და, წაგების მიუხედავად, კლაივ ვუდვორდს ისიც ათქმევინეს - ინგლისთან თამაშის ღირსიაო. ტურნირზე მიღებული გამოცდილებაც ხომ საქმეა. მსოფლიო თასის შედეგია ქართულ რაგბიში გასულ კვირას მომხდარი კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მოვლენაც - ნაკრების თავარი მწვრთნელის პოსტიდან კლოდ სორელის გადადგომა, მის ადგილას კი ერთბაშად სამი ქართველის: მალხაზ ჭეიშვილის, პაატა ნარიმანაშვილის და დათო ჩავლეიშვილის მოსვლა. კიდევ ერთი საინტერესო დეტალი - გასულ წლებთან შედარებით, წელს საქართველოს ჩემპიონატში უფრო მეტი საინტერესო მატჩი იყო, შედეგად კი ჩემპიონატიც შედარებით დაძაბულად წარიმართა.

2003 წელი იმითაც გამოირჩა, რომ პირველად ისტორიაში პლანეტის უძლიერესი გუნდის წოდება ევროპულმა გუნდმა მოიპოვა. აქამდე გამართულ უკლებლივ ყველა ჩემპიონატზე გამარჯვებას სამხრეთ ნახევარსფეროს წარმომადგენლები აღწევდნენ. სწორედ ამ დიდი ისტორიული ფაქტის შემოქმედი გახდა ჯონი ვილკინსონი – საუკეთესო ბომბარდირმა 113 ქულა მოუტანა გუნდს; ფინალში, ბოლო წუთზე გამარჯვების არეკნი რომ გაიტანა, მან მანამდე არსებული წეს-ჩვეულებები დაარღვია. იმ არეკნის დამსახურება იყო ვილკინსონის პლანეტის საუკეთესო მორაგბედ, კლაივ ვუდვორდის პლანეტის საუკეთესო მწვრთნელად, ხოლო ინგლისის ნაკრების საუკეთესო გუნდად დასახელება. ამის შედეგია ისიც, რომ საქართველოს რაგბის კავშირი, საფრანგეთისკენ კი არა, ინგლისისკენ იყურება, - იქნებ ნაკრებს უცხოელი მწვრთნელი დასჭირდესო.





REUTERS

"უჰ შენი, ჯონი, ეს რა ჩაიდინე, ბიჭო..."

*ინფოთეკა*

**ფეხბურთი.** გერმანული "ბილდისთვის" მიცემულ ინტერვიუში ლონდონის "არსენალის" მეკარე იენს ლემანი იმედოვნებს, რომ 2004 წლის ევროპის ჩემპიონატზე გერმანიის ეროვნულ ნაკრებში თამაშის შანსი მიეცემა. ლემანმა, რომელიც რამდენიმე სეზონის განმავლობაში ოლივერ კანის დუბლიორი იყო, თქვა: "ბოლო დროს გერმანია წამყვან გუნდებთან მარცხდება. მიმაჩნია, რომ დროა, სიტუაცია გავაანალიზოთ, უარი ვთქვათ ზოგიერთ დაწერილ კანონზე და ცვლილება მოვახდინოთ. თუ სიმართლე არსებობს, მე შანსი უნდა მომეცეს. ბოლო მატჩებში შეცდომას, პრაქტიკულად, არ ვუშვებ".

■ ■ ■

**ფეხბურთი.** "პსვ ეინდჰოვენის" მთავარი მწვრთნელი გუუს ჰიდინკი ლონდონის "ტოტენჰემთან" მოლაპარაკებას აწარმოებს. ლონდონურ კლუბში მწვრთნელის შეცვლის ინიციატივა კლუბის მმართველი დირექტორის დანიელ ლევისგან მოდის. ამას გარდა, გავრცელდა ცნობები, რომ სამხრეთ კორეის ნაკრების ყოფილი მწვრთნელი განიხილავს წინადადებებს "ბარსელონასა" და "რეალისგან".

■ ■ ■

**ფეხბურთი.** "ჩელსის" ფეხბურთელი ეიდურ გუდიონსენი ჟურნალისტებს მოუწოდებს, მშვიდად შეხვდნენ გუნდის შედეგებს. "ჩვენ ამჟამად მესამე ადგილზე ვიმყოფებით, მაგრამ ეჭვი არავის ეპარება, რომ მაისში ორი საფეხურით მაღლა აწევა შეგვიძლია, - აცხადებს ფორვარდი, - თუმცა, გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ ჩვენ პირველობისთვის ბრძოლის გამოცდილება არ გაგვაჩნია. ამ თვალსაზრისით, რა თქმა უნდა, "მანჩესტერ იუნაიტედსა" და "არსენალს" ჩამოვრჩებით. თუმცა, თუ ჩემპიონობა გვსურს, "ჩელსის" ფეხბურთელებს მოუწევთ მობილიზება და ერთმანეთის გატანისთვის მზადყოფნა," - განაცხადა გუდიონსენმა.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ჰოლანდიის "ფეიენოორდის" ტექნიკურმა დირექტორმა რობ ბანმა მიიღო გადაწყვეტილება თანამდებობის დატოვების შესახებ. "მისი წასვლის მიზეზი გახდა სხვადასხვა შეხედულებები საფეხბურთო პოლიტიკის სფეროში, - განაცხადა კლუბის პრეზიდენტმა იორიენ ვან დერ ჰარიკმა, - ეს უთანხმოება შეიძლება გუნდის შინაგან განწყობაზე ასახულიყო".

■ ■ ■

**ფეხბურთი.** კომპანია "პარმალატის" ყოფილმა დამფუძნებელმა და მმართველმა კალისტო ტანციმ აღიარა, რომ თავისი კომპანიის ანგარიშიდან ფულს რიცხავდა. ამის შესახებ ორშაბათს განაცხადა ტანცის ერთ-ერთმა ადვოკატმა ფაბიო ბელონიმ. ადვოკატის თქმით, მისმა კლიენტმა აღიარა 500 მილიონი ევროს გაფლანგვის ამბავი. სასამართლოსთან დაახლოებულმა წყარომ კი სააგენტო "როიტერს" განუცხადა, რომ მილანის ციხე "სან-ვიტორეში" დაკითხვაზე ტანციმ აღიარა, რომ კომპანიის ანგარიშების ფალსიფიცირებასაც ახდენდა. ტანცი "პარმას" უშუალო ხელმძღვანელი იყო.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** არგენტინელი მცველი მაურიციო პოჩეტინო ესპანურ "ესპანიოლში" დაბრუნდა, სადაც 7 სეზონი გაატარა. სააგენტო "როიტერის" ცნობით, 31 წლის ფეხბურთელი იჯარით "ბორდოში" ასპარეზობდა. 2001 წელს ფეხბურთელი პსჟ-ში გადავიდა, რომელსაც ლუის ფერნანდესი წვრთნიდა. საინტერესოა, რომ ამჟამად ფრანგი სპეციალისტი "ესპანიოლს" უდგას სათავეში.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ბირმინგემის "ასტონ ვილა" დაინტერესდა "პორტუს" ლიტველი ლეგიონერი ედგარას იანკაუსკასით. ადვილი შესაძლებელია, ლიტველი ფეხბურთელი, რომელსაც პორტუგალიურ კლუბთან კონტრაქტი უმთავრდება, იანვარში ახალ კლუბში აღმოჩნდეს. წელს "პორტუს" შემადგენლობაში იანკაუსკასმა უეფა-ს თასი აიღო.

■ ■ ■

**კალათბურთი.** მცველები - ჯეისონ კიდი და სემ კესელი კვირის საუკეთესო მოთამაშეებად აღიარეს. 22-28 დეკემბერს კიდის "ნიუ-ჯერსი ნეთსმა" სამიდან სამი შეხვედრა მოიგო. საშუალოდ, ერთ მატჩში კიდი 19 ქულას, 12 გადაცემასა და 8 მოხსნას ახორციელებდა. კესელის გუნდმა "მინესოტამ" კი ორი გამარჯვება მოიპოვა და ერთი მარცხი იწვნია. ამასთან, თავად გამთამაშებელი თამაშში, საშუალოდ, 24 ქულაზე მეტს გამოიმუშავებდა და 7 გადაცემაზე მეტს ახორციელებდა. "ნიუ-იორკ ნიქსთან" 23 დეკემბერს გამართული მატჩი კი კესელისთვის სეზონში საუკეთესო აღმოჩნდა. მან 31 ქულა მოაგროვა, გუნდმა კი - 98:82 გაიმარჯვა. კვირის საუკეთესო მოთამაშის პრიზზე პრეტენზიას აცხადებდნენ: ჯამალ კროფორდი ("ჩიკაგო ბულზი"), კარმელო ენტონი ("დენვერ ნაგეთსი"), დუეინ უეიდი ("მაიამი ჰიტი"), კევინ გარნეტი და კეიტ ვან ჰორნი ("ნიუ-იორკ ნიქსი").

■ ■ ■

**ფორმულა 1.** გუშინ "მაკლარენმა" ოფიციალურად გამოაცხადა, რომ თანამშრომლობას აგრძელებს კომპანია "ჰენკელთან". თანამშრომლობა ჯერ კიდევ 1995 წელს დაიწყო. "ის ფაქტი, რომ "ჰენკელთან" ჩვენი შეთანხმება, უკვე 9 წელია, რაც მუშაობს, სავსებით განსაზღვრავს ჩვენი პარტნიორების ტექნიკურ შესაძლებლობებს," - განაცხადა "მაკლარენის" აღმასრულებელმა დირექტორმა მარტინ უიტმარშმა.

ახალი წელი

# მონაგარი - 2003

გიგა გურასაშვილი

2003 წელზე ნამდვილად ბევრი გვაქვს სათქმელი - რითი იყო მნიშვნელოვანი ეს წელი, რამ გაგვახარა და რამ მოგვგვარა სიამაყის გრძნობა. წლევანდელი გამარჯვებები, მართლაც, აღნიშვნის ღირსია და ჩვენც გთავაზობთ ქართული სპორტის 2003 წლის მონაგარს თვალის ერთი გადავლებით. მხოლოდ ძირითადზე შევჩერდებით. 2003 წელი ხომ წინასაოლიმპიადოც გახლდათ და წლევანდელი მონაგარი პირდაპირ კავშირშია ნაკიან, ოლიმპიურ 2004 წელთან. მაშ ასე, შედეგები, მიღწევები, წარუმატებლობები და წარმატებები.

■ ■ ■

ლუტრაკი, საბერძნეთი (12-20 აპრილი) ევროპის ჩემპიონატი ძალოსნობაში.

რამდენიმე წლის განმავლობაში საქართველოს ძალოსანთა ნაკრები ევროპულ თუ მსოფლიო სარბიელზე საკუთარ სიტყვას ამბობდა. ეს კი, მნიშვნელოვანწილად, მსოფლიო ჩემპიონის გიორგი ასანიძის დამსახურებაა. მაგრამ, მოხდა ისე, რომ ასანიძე, მხრის ქრონიკული ტკივილის გამო, ევროპის ჩემპიონატზე ვერ გაემგზავრა. ნაკრების სხვა წევრების წაუსვლელობის მიზეზიც სწორედ ეს გახლდათ. რომ არა ტრავმა, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, წლევანდელ მონაგარში ასანიძეც შემატებდა საკუთარ მედალს. იგივე განმეორდა ვანკუვერში, კანადის (11-12 ნოემბერი) მსოფლიო ჩემპიონატზე. არადა, მსოფლიოს ჩემპიონატზე ოლიმპიური ლიცენზიებიც გათამაშდა. ამჟამად ასანიძე და კომპანია საგაისო ევროპის ჩემპიონატისთვის ემზადება, რომელიც, ასევე, სალიცენზიოა.

რიგა, ლატვია (1-4 მაისი)

ლატვიის დედაქალაქში თავშეყრილ "თავისუფლებს" შორის საქართველოს ნაკრები სრული შემადგენლობით წარდგა. ლატვიურ ხალიჩაზე, რევაზ მინდორაშვილისა და ალექსი მოდებაძის წყალობით, საქართველოს ნაკრებმა ოქროსა და ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს.



■ ■ ■

დიუსელდორფი, გერმანია (16-19 მაისი) ძიუდოისტთა ევროპის ჩემპიონატი.

საკმაოდ წარმომადგენლობით "ფილიპსჰალეს" ევროპულ ტატამზე საქართველოს ნაკრებისთვის რვა წონითი კატეგორიიდან სამი წარმატებული გამოდგა. ნესტორ ხერგიანმა, დავით მარგოშვილმა და რამაზ ჩოჩიშვილმა სამივე ხარისხის მედლები, შესაბამისად, ოქრო, ვერცხლი და ბრინჯაო მოიპოვეს. დიუსელდორფული შედეგები იმითაცაა მნიშვნელოვანი, რომ ევროპის ჩემპიონატზე ერთმანეთს ერკინებოდა ხუთი ოლიმპიური, შვიდი მსოფლიო და 25 ევროპის ჩემპიონი.

■ ■ ■

ბელგრადი, იუგოსლავია (23-25 მაისი) ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ევროპის ჩემპიონატი.

ქართველ ბერძენ-რომაელთა ევროპული მონაგარი თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა შედეგების მსგავსი აღმოჩნდა. თუმცა, უნდა აღინიშნოს ახალგაზრდული ნაკრების წევრის რამაზ ნოზაძის დებიუტი, რომელმაც ევროპული ხალიჩა დაუმარცხებლად დატოვა და ექსპერტთა საყოველთაო ყურადღება მიიპყრო. ევროპის ჩემპიონატი იმითაც იყო მნიშვნელოვანი, რომ მსოფლიოს ჩემპიონმა მუხრან ვახტანგაძემ, რომელსაც ევროპაში არასდროს უმართლებდა, ნავსი გატეხა და პირველი ევროპული მედალი (ბრინჯაო) მოიპოვა.

■ ■ ■

2003 ქართული ალპინიზმისთვისაც უმნიშვნელოვანესი გამოდგა.

ქართველთა ოთხკაციანი ექსპედიცია ჰიმალაის გზას 8 მაისს გაუდგა. ექსპედიციის ხიბლი გახლდათ ის, რომ ჰიმალაებში, ამა დაბლამზე, ქართული ალპინიზმის ისტორიაში პირველად, ჩვენი თანამემამულე ქალი ავიდა - სოფო თვარაძე. ბენო ქაშაკაშვილმა, აფი გიგანმა, გელა ოთარაშვილმა და სოფო თვარაძემ ამა დამბლამის მწვერვალიდან 22 მაისს შეძლეს ჰიმალაის ხედებით ტკბობა.

■ ■ ■

დედამიწის უმაღლეს მწვერვალი ევერესტი ჩრდილოეთიდან (კლასიკური მარშრუტით) არაერთ ექსპედიციას დაულაშქრავს, მათ შორის, ქართველებსაც, თუმცა დღემდე ორივე მხრიდან - ანუ ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან, ქართველთაგან არავის გადმოეხედა. რუსული ექსპედიციის წევრმა ბიძინა გუჯაბიძემ წელს "დედამიწის სახურავი", როგორც მას სხვანაირადაც უწოდებენ, ჩრდილოეთიდან - ტიბეტიდან დაიპყრო. გუჯაბიძეს ევერესტი მანამდეც დაელაშქრა, მაგრამ მაშინ სამხრეთის მარშრუტით გაიკვლია გზა. წელს კი ევერესტიდან საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს - 26 მაისს გადმოიხედა.

■ ■ ■

მანჩესტერი, ინგლისი (28 მაისი) ჩემპიონთა ლიგის ფინალი.

"ოლდ ტრაფორდზე" თავშეყრილი 67 ათასი ფეხბურთის გულშემატკივარი და 200 ქვეყნის ასეულობით მილიონი ტელემაყურებელი ჩემპიონთა ლიგის იტალიური კლუბების ტურინის "იუვენტუსისა" და მილნის "მილანის" არცთუ სანახაობრივი საფეხბურთო სპექტაკლის მოწმე შეიქნა. ჩვენთვის უპრესტიჟულესი საკლუბო თასის ფინალი იმით იყო მნიშვნელოვანი, რომ მილანელთა რიგებში საქართველოს ნაკრების მცველი კახი კალაძე თამაშობდა. მატჩის ბედი პენალტების (3:2) სერიამ გადაწყვიტა. ჩვენდა სამწუხაროდ, კალაძემ პენალტი ააცილა. მიუხედავად ამისა, "მილანი" ჩემპიონთა თასს დაეუფლა და, შესაბამისად, კალაძე გახდა პირველი ქართველი ფეხბურთელი, რომელიც ჩემპიონთა თასის მფლობელი გახდა.

■ ■ ■

სტამბოლი, თურქეთი (30 მაისი – 14 ივნისი) ვაჟ მოჭადრაკეთა ევროპის პირადი ჩემპიონატი.

პირველად ქართული ჭადრაკის ისტორიაში ევროპის ჩემპიონი გვყავს. ზურაბ აზმაიფარაშვილმა სტამბოლის დაფაზე კონტინენტის უძლიერესი მოთამაშის ტიტული დაისაკუთრა. მოგვიანებით აზმაიფარაშვილი გუნდური ჩემპიონატის ბრინჯაოს დაეუფლა.

■ ■ ■

პილზენი, ჩეხეთი (16-28 ივლისი) ტყვიის მსროლელთა ევროპის ჩემპიონატი.

ოლიმპიური ჩემპიონი ნინო სალუქვაძე, რომელსაც ოთხჯერ უასპარეზია ოლიმპიურ თამაშებზე (2004 წელს ამ მაჩვენებელს ხუთამდე გაზრდის, რაც რეკორდულია ქართველ ოლიმპიელთა შორის), წელს აშკარად ჩავარდნა ჰქონდა, მაგრამ... მარად ოლიმპიელს ბედმა გაუღიმა. პილზენის ევროპულ სამიზნეში (25 მ.) მასზე ერთი საფეხურით დაწინაურებულ მეტოქეს დოპინგი აღმოაჩნდა; საყოველთაო განაწესით აკრძალულ პრეპარატის ხმარებაში მხილებულ სპორტსმენს ადგილი ჩამოერთვა. გამოთავისუფლებული მესამე ადგილი კი ავტომატურად მასზე ერთი საფეხურით ქვევით მდგომს – ნინო სალუქვაძეს დარჩა. ასე რომ, სალუქვაძე ევროპის ჩემპიონატის "ბრინჯაოსანია".

■ ■ ■

ოსაკა, იაპონია (11-14 სექტემბერი) ძიუდოისტთა მსოფლიო ჩემპიონატი.

ძიუდოს ფუძემდებლებთან ჭიდილი რასაც ნიშნავს, რთული მისახვედრი არ უნდა იყოს - მით უმეტეს, თუ მასპინძლად თავად იაპონელები გვევლინებიან. აქვე აღვნიშნოთ, რომ ოსაკაში უკეთეს შედეგებს ველოდით, მაგრამ ხელმოცარულები დავრჩით. ნაწილობრივ, ზურაბ ზვიადაურმა გვიხსნა. ზვიადაურმა ფინალამდე ეფექტურად გაიკვლია გზა და ფინალური ორთაბრძოლაც ისე დაიწყო, რომ ოქროს მედალი, ლამის, გაინაღდა, მაგრამ მოხდა ისე, რომ კორეელმა მეტოქემ ჰე ტაე ვანგმა მას წამიერი მოდუნება არ აპატია და ზვიადაურს ვერცხლის მედლით მოუწია დაკმაყოფილება.

■ ■ ■

ნიუ იორკი, აშშ (12-14 სექტემბერი) მსოფლიო ჩემპიონატი.

სპორტულ დარბაზთა დარბაზში "მედისონ სკვერ გარდენში" საქართველოს თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრებმა არნახულ წარმატებას მიაღწია. საბოლოო შედეგების შეჯამების შემდეგ "თავისუფლებს" გუნდური პირველი ადგილისთვის განკუთვნილი თასი გადაეცათ. მანამდე კი ელდარ კურტანიძემ ქართველთაგან პირველმა მსოფლიო ჩემპიონის ტიტული შეინარჩუნა - გახდა ორგზის მსოფლიო ჩემპიონი. ჩემპიონობამდე ორი ნაბიჯი დააკლდა ევროპის ჩემპიონ რევაზ მინდორაშვილს. მინდორაშვილი ოკეანის გაღმიდან ბრინჯაოს მედლით დაგვიბრუნდა.

■ ■ ■

კრეტეი, საფრანგეთი (1-5 ოქტომბერი) ბერძენ-რომაელთა მსოფლიო ჩემპიონატი.

მსოფლიოს უმთავრეს ხალიჩაზე, ისევე როგორც ევროპის ჩემპიონატზე, ბერძენ-რომაელებმა "თავისუფლების" მსგავს შედეგებს მიაღწიეს. მანუჩარ კვირკველიამ ჩემპიონობა იზეიმა, ხოლო ევროპის ჩემპიონმა რამაზ ნოზაძემ, რომელსაც ჩემპიონობაც შეეძლო, მსოფლიოს ჩემპიონატი ბრინჯაოს მედლით დატოვა. კვირკველიასა და ნოზაძის გამარჯვებამ, ასევე, დანარჩენი წონითი კატეგორიების მოჭიდავეთა მიღწევებმა საქართველოს ნაკრებს გუნდური პირველი ადგილი და მისთვის დაწესებული შესაბამისი თასი არგუნა.

■ ■ ■

პლოვდივი, ბულგარეთი (10-21 ოქტომბერი) ევროპის ვაჟთა გუნდური ჩემპიონატი ჭადრაკში.

ზურაბ აზმაიფარაშვილმა, ბადურ ჯობავამ, მიხეილ მჭედლიშვილმა, გიორგი ყაჭეიშვილმა და მერაბ გაგუნაშვილმა შეუძლებელი შეძლეს. პირველად ქართულმა საჭადრაკო სკოლამ კონტინენტის საუკეთესო სამეულში ადგილი დაიკავა. რას ნიშნავს ევროპაში მესამე საუკეთესო გუნდის სახელი, საკამათო არ უნდა იყოს. მსოფლიო საჭადრაკო ელიტა, ძირითადად, ბებერ კონტინენტზე მოდის. ასე რომ, ვაჟ მოჭადრაკეთა მიღწევა უთუოდ აღნიშვნის ღირსია.

■ ■ ■

პერტი, სიდნეი, ავსტრალია (10 ოქტომბერი - 22 ნოემბერი) მსოფლიო თასი რაგბში.

პირველად სათამაშო სახეობათაგან მსოფლიო თასზე ასპარეზობის უფლება ქართველმა მორაგბეებმა მოიპოვეს. "ბორჯღალოსანთა" სამსოფლიოთასო დებიუტი პერტში მომავალ ტრიუმფატორებთან ინგლისელებთან შედგა. თავიდანვე არავის ჰქონია იმის ილუზია, რომ საქართველოს მორაგბეთა ნაკრები წარმატებას მიაღწევდა. C ჯგუფში მოასაპრეზე საქართველოს ნაკრები პირველივე მატჩში ინგლისელებთან გამანადგურებელი ანგარიშით - 6:84 დამარცხდა. ინგლისელებთან მატჩს მოჰყვა წაგებათა სერია სამოასთან, სამხრეთ აფრიკასთან და ურუგვაისთან. ერთადერთი, რაც შევძელით, ეს სამხრეთაფრიკელებთან გატანილი ლელოა.

■ ■ ■

ლონდონი, ინგლისი (6 დეკემბერი) ძიუდოისტთა ევროპის გუნდური ჩემპიონატი.

2003 წლის სეზონი ქართული სპორტისთვის ძიუდოისტთა ევროპის გუნდურ ჩემპიონატში ასპარეზობით დასრულდა. სეზონის ბოლო მნიშვნელოვანი შეჯიბრება ქართველებმა ტრიუმფული აკორდით დაასრულეს. შენარჩუნებულია შარშან დაუფლებული კონტინენტის უმთავრესი ჯილდო. საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრებმა ევროპის უძლიერესი გუნდის სახელი მეორედ განიმტკიცა. ლონდონშივე ტიტულის დაუფლებიდან რამდენიმე საათში, საზეიმო წვეულებაზე საქართველოს ნაკრები ევროპის წლის გუნდად დასახელდა. ძიუდოისტთა წარმატება უყურადღებოდ არც საქართველოში დარჩენიათ - საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის ტრადიციულ რეფერენდუმში ძიუდოისტთა ნაკრები წლის საუკეთესო გუნდად მიიჩნიეს.

# ბოლო გაჩერება - 31 დეკემბერი, 2003

*2004-მა მოგვიკაკუნა და განურჩევლად ყველას სურს, რომ მომავალი წელი ახალი, კარგი და მხიარული ნოტით დაიწყოს. ეს დღესასწაული იმით არის კარგი, რომ ყველა გახარებულია. შეიძლება არც კი იცოდნენ, რა უხარიათ, მაგრამ, რაც მთავარია, უხარიათ და ეს ყველაზე მნიშვნელოვანია.*

სანდრო ნავერიანი

საახალწლო თოვლიც მოვიდა და მთელი მსოფლიო წინა საახალწლო მზადებამ მოიცვა. ზოგი სახლში ხვდება ახალ 2004 წელს, ზოგიც ქუჩაში ფეიერვერკის სილამაზით უნდა დატკბეს, ზოგისთვის კი არანაირი მნიშვნელობა არ აქვს იმას, თუ სად და როგორ შეხვდება ახალ წელს. საქართველოში, თბილისში, როგორც გვპირდებიან, გრანდიოზული შოუ ჩატარდება, რომელსაც ძალიან ბევრი ადამიანი დაესწრება. ზოგისთვის ქუჩაში ახალი წლის შეხვედრა "გოიმობაა", ზოგისთვის კი ტრადიცია. ეს საქართველოშია ასე თორემ ევროპაში და სხვა განვითარებულ ქვეყნებში მილიონობით ადამიანი გამოდის გარეთ, რათა ხალხთან ერთად გაიზიაროს ის სიხარული, რაც ახალ წელს მოაქვს.

2003 წელი ვისთვის იღბლიანი და ვისთვის უიღბლო გამოდგა, მაგრამ ახალი წლის მოსვლა სწორედ იმიტომ უხარიათ ადამიანებს, რომ შეუძლიათ ახალი მიზნებისათვის იბრძოლონ. უკვე, თითქმის, გასული წელი ბევრი საინტერესო მოვლენით აღინიშნა, მაგრამ მე მათ გახსენებას არ ვაპირებ. მე გეტყვით, თუ ვინ, სად და როგორ ხვდება ახალ 2004 წელს. იმდენი საინტერესო რამ მაქვს სათქმელი, რომ არ ვიცი, საიდან დავიწყო.

"ჩიკაგო ბულზის" მოთამაშეებმა გადაწყვიტეს, რომ ახალ წელს ერთად შეხვდნენ. "ჩვენ, ყველანი შევიკრიბებით "სირს ტაურთან" და მერე გადავწყვეტთ, რა ვქნათ. ყველაზე მნიშვნელოვანი ჩვენთვის ერთად ყოფნაა და არა ის, თუ სად და როგორ ვიქნებით. მართალი რომ გითხრათ, დიდად არ მახარებს ახალი წლის მოსვლა, მაგრამ ამ დღესასწაულში ის არის საოცარი, რომ ყველა კარგ ხასიათზეა და არავინ ცდილობს ვინმესათვის ხასიათის გაფუჭებას, - განაცხადა "ჩიკაგო ბულზის" ერთერთმა ლიდერმა ჯამალ კროუფორდმა. "მე გაგიმხელთ, თუ რა სიურპრიზს ვუმზადებთ ჩიკაგოს მოსახლეობას , რა თქმა უნდა, ჩვენ თავს - ჩვენ შევიკრიბებით, ღია ავტობუსში ჩავსხდებით და ყველას, ვინც კი გზაზე შეგვხვდება, საჩუქრებს ვაჩუქებთ", - განაცხადა ედი კარიმ, რომელმაც, ასევე, თქვა, - თუ შენ არ გიხარია მაშინ სხვა უნდა გაახაროო.

ენდი როდიკი თავის მეგობარ გოგონასთან ერთად თბილ ქვეყნებში მიდის და ახალ წელს ტროპიკულ პლაჟზე კოქტეილით ხელში შეხვდება.

მალაიზიაში, კუალა ლუმპურში, მსოფლიოში ყველაზე მაღალ ცათამბჯენ "პეტრონას ტაუერში" აზიელი სპორტსმენები ახალ წელს აღნიშნავენ. ამ საზეიმო საღამოს ტაილანდელი ჩოგბურთელი პარადორნ შრიჩაპხანი გახსნის. აზიელებს ნამდვილად ვერ ვასწავლით იმას, თუ როგორ უნდა მოაწყონ ზეიმი. ეს საღამო განსაკუთრებული იქნება იმით, რომ ყველა სტუმარს თუ მონაწილეს მითოლოგიური გმირების კოსტუმებში გამოაწყობენ, ხოლო ზუსტად 12 საათზე "პეტრონას ტაუერზე" დაიწყება ფეიერვერკი, რომელიც, დაახლოებით, ოთხ საათს გასტანს; მალაიზიის ტელევიზია კი ამ ყველაფერს თანამგზავრიდან გადაიღებს და პირდაპირ ეთერში უჩვენებს; კუალა ლუმპურის ქუჩებში ივლის 167-მეტრიანი ცეცხლოვანი დრაკონი, რომელსაც სამასზე მეტი ადამიანი ამოძრავებს. პარადორნ შრიჩაპხანი ლოტოსის კოსტუმში გამოწყობილი პირველი მიულოცავს მალაიზიელებს ახალ წელს.

ყველაზე უჩვეულოდ, ალბათ, როჟე ფედერერი შეხვდება ახალ წელს. ის უიმბლდონის ფინალის ჩანაწერის ყურებას აპირებს."ის დღე ჩემს ცხოვრებაში ერთ-ერთი ყველაზე ბედნიერი იყო. მე არ ვაპირებ სმოკინგით და წკაპუნა ფეხსაცმელებით რომელიმე საახალწლო ბანკეტზე წასვლას. ჩემთვის ის არის ბედნიერება, როდესაც თავს თავისუფლად ვგრძნობ და ჩემ ოჯახის წევრებთან ვარ",- განაცხადა როჟე ფედერერმა.

"დალას მავერიქსის" გამთამაშებელი სტივ ნეში ახალ წელს მძინარე შეხვდება."თუ დაღლილი ვიქნები, მაშინ დავწვები და დავიძინებ და თუ არ დამეძინა, მაშინ ჩემი არაჩვეულებრივი ვიდეოთეკიდან რომელიმე კასეტას გამოვიღებ და ვუყურებ. თუ გაინტერესებთ, იმასაც გეტყვით, რა ფილმის ყურებას ვაპირებ - "ქორწინება იტალიურად;" აი, ამ ფილმის ყურება მინდა ძალიან, ჰოდა, ეს იქნება ჩემთვის ახალი წელიც და ყველაფერი. ნუ ჩათვლით, რომ დავბერდი და აღარ მიყვარს მეგობრებთან ერთად სიმღერა და ცეკვა – არა, უბრალოდ, ვიცი, რომ ყველა კარგ ხასიათზე იქნება და, მერწმუნეთ, არავის არ გავახსენდები იმ დროს, როდესაც 12 საათი დაჰკრავს", -განუცხადა BBC-ს კორესპონდენტს სტივ ნეშმა.

"მე კარგი ბიჭი ვარ და ვიცი, როგორ უნდა მოვიქცე. ძალიან მინდა, რომ ახალი წელი ჩემს მეგობრებთან ერთად სადმე ხმაურიან და მხიარულ ატმოსფეროში გავატარო, მაგრამ უფლება არ მაქვს, დავივიწყო ყველა ჩემი პრობლემა და ხალხს ვათქმევინო, რომ ყველაფერი ფეხებზე მკიდია. მე მეცოდება ის გოგო, რომელმაც ჩემს წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელი შეიტანა. არ მინდა, რომ ის დასაჯონ, მაგრამ უფრო მეტად არ მინდა, რომ მე დამსაჯონ - მე უდანაშაულო ვარ; ამას დავამტკიცებ და ყველას დავანახებ, რომ კობი ბრაიანტი არ არის ის პიროვნება, ვისაც ამგვარი საქციელის ჩადენა შეუძლია. რაც შეეხება ახალ წელს, ალბათ, როდესაც 12 საათი გახდება, მე ჩემს მეუღლესთან ერთად სადმე წყნარ რესტორანში ვიჯდები. მანამდეც გითხარით, რომ ძალიან მიყვარს მხიარულ და ხმაურიან ატმოსფეროში გართობა, მაგრამ ახლა ამის დრო არ არის. მე და ჩემი მეუღლე წავალთ რესტორანში, დავლევთ თითო ჭიქა ღვინოს და წავალთ სახლში",- განაცხადა კობი ბრაიანტმა.

როგორც ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში, ასევე, ინგლისის პრემიერლიგაში, ფეხბურთელებს მოსვენება არ აქვთ – წარმოიდგინეთ, 1 იანვარს ტურია დანიშნული. ეს რომ საქართველოში ყოფილიყო, ალბათ, მოთამაშეები ნასვამები ან ნაბახუსევები მივიდოდნენ სათამაშოდ. "ლიდს იუნაიტედის" ფორვარდი ალან სმიტი ახალ წელს მეტად ორიგინალურად გაატარებს: "ახალ წელს სახლში შევხვდები ოჯახთან ერთად, მერე კი ყველა ჩემ მეგობარს დავუვლი და ლოყაზე კოცნით მივულოცავ ახალ 2004 წელს. ძალიან კი მიყვარს კარგად მოლხენა, მაგრამ მომბეზრდა ამდენი ზეიმები, ბანკეტები და მასკარადები. ეს ყველაზე ორიგინალური იყო, რაც კი მომაფიქრდა და, ალბათ, ვისთანაც მივალ, ყველას გავახარებ და მათ კარგ ხასიათს უფრო გავაუმჯობესებ", -განაცხადა ალან სმიტმა, რომლის ტუჩების ფორმაზეც ინგლისელი გოგონები "ეცემიან" და, ვისაც სმიტი თავის მეგობრად თვლის, იმათ ნამდვილად გაუმართლებს.

ასეთი უცნაური ხალხია ეს "როკფელერის შვილები" - აღარ იციან, რა ქნან, რით გაერთონ, მაგრამ ჩვენ ხელს არაფერში გვიშლიან და, გავუშვათ, "იფრინონ". რაც შეგვეხება ჩვენ, ვეცადოთ, მომავალი წელი გასულზე უკეთესი ყოფილიყოს და ნურც ერთი დიდი ნაბიჯის გადადგმას ნუ მოვინდომებთ – ნელ-ნელა მივაღწიოთ იმას, რაც გვინდა. ყველას გილოცავთ დამდეგ ახალ წელს. ღმერთმა მოგცეთ ძალა თქვენივე კეთილდღეობისათვის.

ჭორიკანა



ნინო I

# საახალწლო ჭორები მალიბუდან

რამდენიმე საათში ახალი წელი შემოაღებს კარს და უკლებლივ ყველას - დიდს თუ პატარას, მოხუცს თუ ახალგარზდას, ღარიბს თუ მდიდარს საცეკვაოდ გაიწვევს, ბროლის ჭიქას შამპანურით შეუვსებს და ბედნიერ მომავალს უსურვებს. ახალთახალი 2004 წელი ისეთი დაუდგრომელი ვინმეა, რომ გულნაკლულს და უკმაყოფილოს არავის დატოვებს, ყველას აიძულებს, გამხიარულდეს და უსიამოვნებები დაივიწყოს. ახალი წლის ღამეს მაშინაც კი ბედნიერი და მხიარული უნდა იყო, როცა ვერ გაგიგია, საყვარელ ადამიანს ისევ სურს შენთან ურთიერთობა, თუ მომავალ წელს სხვასთან ერთად აპირებს ახალი ცხოვრების დაწყებას. სწორედ ასეთ დღეშია საბრალო ანა კურნიკოვა, რომელმაც ვერაფრით გაარკვია, ჰყავს თუ არა ბოიფრენდი - ენრიკე იგლესიასი ხომ არაფრით არ იშლის დონჟუანობას...




*ენრიკე იგლესიასი კურნიკოვაზე დაქორწინებას არ აპირებს.*

### მდიდრული საშობაო საჩუქარი

ანა კურნიკოვას და ენრიკე იგლესიასის ურთიერთობა გვირილათი მკითხაობას წააგავს - უყვარს, არ უყვარს, უყვარს, არ უყვარს, უყვარს? თავად ენრიკე ამ საჭირბოროტო კითხვაზე ყოველთვის დადებით პასუხს იძლევა, თუმცა კი კატეგორიულად უარყოფს ჭორებს ანაზე დაქორწინების შესახებ: "ამ ცხოვრებაში ყველაზე საუკეთესო სიყვარულია და ერთმანეთის ნდობა. ქორწინება აქ არანაირ როლს არ ასრულებს. ჩვენ შეგვიძლია გვიყვარდეს და ბავშვებიც კი გვყავდეს, ისე, რომ ჩვენი ურთიერთობა საერთოდ არ იყოს ოფიციალურად გაფორმებული,"- ასეთი აზრისა გახლავთ ენრიკე ქორწინების შესახებ. შობას ისინი ერთად შეხვდნენ. ენრიკემ ანას ულამაზესი ბეჭედი აჩუქა, რომელიც ლონდონში იყიდა 71 000 ევროდ. ასეთმა ძვირფასმა საჩუქარმა ანა ძალიან გაახარა და დროებით ყველაფერი დაივიწყა: ჩხუბიც, ეჭვიანობის სცენებიც და ენრიკეს ნაირნაირი ქალებიც, რომელთაც ესპანელი მომღერალი, უბრალოდ, თაყვანისმცემლებს ეძახის და ასე ცდილობს სიტუაციის განმუხტვას, რაც მას ზოგჯერ სამწუხაროდ არ გამოსდის ხოლმე. ანა კურნიკოვა მეტად ეჭვიანი და ფიცხი ვინმე გახლავთ და ასეთი არადამაჯერებელი ახსნა-განმარტებები ვერ აკმაყოფილებს. თუმცა, საშობაოდ ანამ დროებით ყველაფერი გადაივიწყა. ორივენი მალიბუში გაემგზავრნენ და ოკეანის პირას განცხრომას მიეცნენ. მაგრამ, მშვიდად განმარტოების საშუალება არც სანაპიროზე ჰქონდათ - პაპარაცოებმა მაშინვე აღმოაჩინეს წყნარი ოკეანის თეთრ ქვიშაზე მოკალათებული წყვილი და ორივეს თაყვანისმცემლებს სასწრაფოდ მიახარეს, - ანა და ენრიკე ისევ შერიგებულანო. მართლა ასეა, ნეტავ? ძნელად დასაჯერებელია, თუ გავითვალისწინებთ ენრიკეს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ მისი პროფესიის ადამიანს ერთგული მეგობარი სჭირდება და არა ისეთი ქალი, ვინც გამუდმებით სკანდალს უწყობს: "როცა ასეთი გადატვირთული სამუშაო გრაფიკი გაქვს და გამუდმებით მოგზაურობ, გვერდით ისეთი მეგობარი უნდა გყავდეს, რომელსაც უყვარხარ და გენდობა. ეჭვიანობის სცენები და ჩხუბი ძალიან დამღლელია," - ამბობს ენრიკე და იქვე დასძენს, რომ მას და ანას კარგად ესმით ერთმანეთის და პრობლემები არ აქვთ. ამის გამგონე ჟურნალისტები სიცილით კვდებიან: ენრიკეს ხომ უფრო მეტი სკანდალი აქვს აქტივში ვიდრე ჰიტი, ანამ კი აქამდე უკვე, სულ ცოტა, ოცჯერ მაინც მოასწრო უმცროსი იგლესიასისთვის სცენების მოწყობა... ამ ყოველივეს შემდეგ ვინღა დაიჯერებს, რომ მათ პრობლემები არ ექმნებათ?

### ენრიკე და ოქროსფერთმიანები

ესპანელ დონ ჟუანს ძალიან უყვარს ქერა ქალები. ყოველთვის, როცა ენრიკე გვერდზე გახედვის ხასიათზე დგება, ანას მუდამ ოქროსფერთმიან გოგონებთან ღალატობს ხოლმე. 2003 წლის 30 ოქტომბერს ენრიკე სწორედ ასეთ ქალთან ერთად ნახეს მადრიდში. მომღერალს, ლამის, ცხვირამდე ჩამოწეული შავი ქუდი ეხურა, მაგრამ რესტორან " კასა ლუსიოდან" შეუმჩნევლად გამოსვლა მაინც ვერ შეძლო - მაშინვე იცნეს და ანას ყურში ჩააწვეთეს, - მეტოქე გყავსო. 1 ნოემბერს პაპარაცებმა ენრიკეს ლონდონში ჩაავლეს, როცა ის უცნობ ქერა ქალთან ერთად აპირებდა სასტუმრო "სკიჩის" დატოვებას. ენრიკეს კომპანიონმა იმდენი მოახერხა, რომ თმები სახეზე ჩამოიშალა, თავი ჩაღუნა და სასწრაფოდ შევარდა მანქანაში ისე, რომ მისთვის სურათის გადაღება ვერავინ მოასწრო. ცნობისმოყვარეებმა მარტო ის დაინახეს, რომ ენრიკეს თანხმლები ქალი ახალგაზრდა და ლამაზი იყო. 6 დეკემბერს ენრიკემ და ანამ კიდევ ერთხელ იჩხუბეს და ერთმანეთს გაებუტნენ. ინგლისური ბულვარული გაზეთი "სანი" ამტკიცებდა, რომ ისინი საბოლოოდ გაიყარნენ, მაგრამ განშორება მხოლოდ შობამდე გაგრძელდა. ამ ხნის განმავლობაში ენრიკეს ერთ ხორვატ მოდელთან ერთად ხედავდნენ. "კლასიკ აგენტურის" მომხიბვლელი მოდელი მონიკა იაკისიჩი ანასავით ქერა და გრძელთმიანია. ინგლისური "მირორის" ცნობით, ენრიკე, თურმე, ჭკუას კარგავს მონიკაზე. როგორც ეს გაზეთი ამტკიცებს, ენრიკეს მეგობრებისთვის უთქვამს, - მონიკაზე ვგიჟდებიო. თავად ხორვატი მოდელი, რომელიც ამჟამად ლონდონში ცხოვრობს და მსოფლიო პოდიუმების დაპყრობაზე ოცნებობს, თავს იკავებს კომენტარის გაკეთებისგან: " მე ვიცნობ ენრიკეს, ეს მართლია, მაგრამ პრესასთან არ მსურს მის პირად ცხოვრებაზე ლაპარაკი,"- ამბობს მონიკა. ენრიკე კი ყველაფერს ჭორს უწოდებს. როგორც მან გერმანულ "ბილდთან" საუბარში თქვა, მთელი მსოფლიოს ჟურნალისტები, განსაკუთრებით კი ინგლისელები, მუდამ იმის ცდაში არიან, როგორმე რაიმე ჭორი მოუგონონ და ანას წაჰკიდონ. მას კი ძალიან უყვარს ანა, რადგან ის შესანიშნავი ქალია. "ანა ახლა უფრო სტაბილური გახდა, ვიდრე ადრე იყო. ის ჯერ კიდევ ძალიან ახალგაზრდაა. ალბათ, ცოტა კიდევ უნდა გაიზარდოს. ანა დიდებული ვინმეა. მას შეუძლია, შუაღამისას საცურაოდ წავიდეს. სულაც არ უშლის ხელს სველი, გაწეწილი თმა. თავისუფლად შეუძლია ქუჩაში მაკიაჟის გარეშე გასვლა, რესტორნის ნაცვლად, მაკდონალდსში ჭამა, ანდა - სულაც ჭუჭყიანი ტანსაცმლით სიარული. ანა შესანიშნავია,"- ასე ახასიათებს ენრიკე თავის სატრფოს, მაგრამ ანას ეს საუკეთესო თვისებები მას მაშინვე ავიწყდება, როგორც კი რომელიმე საინტერესო ქერათმიან ქალს გაიცნობს. რა გაეწყობა, როგორც ჩანს, ენრიკეს, უბრალოდ, არ შეუძლია, დიდხანს გაძლოს ერთ ქალთან...

რა იყო ბეთლემის ვარსკვლავი – კომეტა, ორი პლანეტის მიახლოების წერტილი, მთვარის მიერ იუპიტერის დაბნელება, თუ სამივე მოვლენის კომბინაცია? თუ ასეა, ამტკიცებენ, რომ იესო ძველი წელთაღრიცხვის მეშვიდე წლის მაისიდან მეექვსე წლის აპრილამდე პერიოდში დაიბადა.

# სასწაულის მომასწავებელი ვარსკვლავი

**8** ჩვ. წ.-აღ-მდე — გამოცხადდა აღწერა

**7** ჩვ. წ.-აღ-მდე — გაჩნდა ვარსკვლავი

**6** ჩვ. წ.-აღ-მდე — აღწერა დასრულდა

**5** ჩვ. წ.-აღ-მდე — იესო დაიბადა?

**4** ჩვ. წ.-აღ-მდე — გარდაიცვალა ჰეროდე

შობის წლები:
რომის იმპერატორი ცეზარ ავგუსტუსი აცხადებს საყოველთაო აღწერას, რათა გადასახადები გამოითვალოს. ებრაელებს ევალებათ როგორც პიროვნული, ისე მიწის ბეგარის გადახდა. აღწერასა და ხარკის აკრეფას ორი წელი სჭირდება.

აღწერის გამო ხალხი დაბადების ადგილზე ბრუნდება.

იოსები და მარიამი ბეთლემში მიდიან.

ბრძენი მოგვების მოგზაურობა

ახალშობილების გაჟლეტვა
არ მოიპოვება იმის დამადასტურებელი საბუთი, რომ ჰეროდემ ბეთლემში გაწყვიტა ორ წლამდე ასაკის ყველა ბავშვი, რათა როგორმე მოეკლა ებრაელთა ახალშობილი მეფე. თუმცა, მსგავსი ქმედება უთუოდ შეესაბამება იმ კაცის ხასიათს, რომლის მეფობაც მთლიანად სისხლითაა მორწყული, მათ შორის, საკუთარი ვაჟის სისხლითაც.

რადგანაც ცნობილია, რომ იესო ჰეროდეს მმართველობის დროს დაიბადა, ეს აღწერიდან ჰეროდეს გარდაცვალებამდე ოთხწლიან პერიოდში უნდა მომხდარიყო.

ძველი წელთაღრიცხვის მე-7 წელი: პლანეტების ციური ცეკვა:
პირველი ნიშანი იმისა, რომ გრანდიოზული ამბები უნდა მომხდარიყო, გახლდათ თევზების თანავარსკვლავედში იუპიტერისა და სატურნის სამჯერადი შეერთება – მაისში, სექტემბერსა და დეკემბერში. იუპიტერი წარმოადგენს ღმერთების მეფეს, სატურნი – სამართლიანობასა და პალესტინას, თევზები კი დაკავშირებულია ებრაელებთან.




ძველი წელთაღრიცხვის მე-6 წელი
მეორე გამოჩენა

თებერვალი: მარსი უერთდება იუპიტერსა და სატურნს თევზების თანავარსკვლავედში. მხოლოდ რვა გრადუსით დაშორებული პლანეტების გამო მაგები ასკვნიან, რომ მეფე ძალაუფლებით სავსე იქნება.
აპრილი: იერუსალიმის თავზე ნახევარმთვარის მიერ ბნელდება იუპიტერი. პლანეტების მეფის ხელახალი გამოჩენა სამეფო შობაზე მიუთითებს.




ამ ორი მოვლენიდან რომელიმეს შეიძლება ვარსკვლავის მეორედ გამოჩენის ინტერპრეტაცია გაუკეთდეს.



## აღმოსავლელი მოგვები

ვარსკვლავი: მათეს სახარების მიხედვით, ვარსკვლავი ჩნდება სამჯერ. პირველ გამოჩენას – რომელიც ძალიან ჰგავს სამჯერად შეერთებას ძველი წელთაღრიცხვის მე-7 წელს – მაგები (ბერძნული "მაგოიდან" – ბრძენი) შემდეგნაირად ხსნიან: იუდეის ებრაულ სამეფოში მეფე-მესია უნდა დაიბადოს.




## ელიან მესამე ნიშნის გამოჩენასაც, რაც საბოლოოდ ცხადყოფს, რომ მეფე იშვა.





Adoration of the Magi, after Andrea Mantegna

ძველი წელთაღრიცხვის მე-5 წელს:
საბოლოო ნიშანი

**კომეტა:** ძველ ჩინურ ჩანაწერებში აღწერილია კუდიანი კომეტა, რომელიც აღმოსავლეთიდან მოდის, რაც მაგებს აშკარა ნიშანს აძლევს, რომ მოგზაურობა უნდა დაიწყონ. ამ ვოიაჟს, სავარაუდოდ, 70 დღე დასჭირდებოდა, უხეშად რომ ვთქვათ, თითქმის იგივე დრო, რაც კომეტას აღმოსავლეთიდან სამხრეთისაკენ ცაზე სამოგზაუროდ მოუნდებოდა. ეს ცნობა თანხვედრია მათეს სახარებასთანაც:

**ნოვა:** ჩინურ ჩანაწერებს ნოვას, იგივე ახალი ვარსკვლავის გამოჩენის ასახსნელადაც იყენებენ. ალიონის ცაზე ის ბაბილონიდან აღმოსავლეთით უნდა გაჩენილიყო. იმ დროისთვის, როცა მაგები იერუსალიმამდე ჩავიდოდნენ, სამხრეთში ის გამთენიას გამოჩნდებოდა და მაგებს ბეთლემისკენ გზას გაუნათებდა.

Sources: 'The Star of Bethlehem Mystery', David Hughes; 'The Star of Bethlehem', Mark Kidger; Colin Humphreys, Cambridge University © GRAPHIC NEWS




# მშვიდობით

## გასული წლის დანაკარგები

**1. ანა ლინდი:** გარდაიცვალა 11 სექტემბერს, 46 წლის ასაკში.

შვედეთის ყველასაგან გამორჩეულ და პოპულარულ საგარეო საქმეთა მინისტრის აშკარა მტრები არ ჰყავდა. ის თავისი ქერა თმითა და მომხიბვლელი ღიმილით ყველასთვის მისაღები ფიგურა იყო. თუმცა, ანა ლინდი მაინც მოკლეს, თანაც იმ პერიოდში, როცა მისი ქვეყანა ევროს რეფერენდუმისთვის ემზადებოდა.

**2. ბობ ჰოუპი:** გარდაიცვალა 27 ივლისს, 100 წლის ასაკში.

ამერიკის ყველაზე ცნობილი შოუმენი. კაცი, რომელმაც თავისი კარიერა გაწვრთნილი სელაპებით სავსე დასთან ერთად დაიწყო და უდიდესი წარმატებით დაასრულა. კომედიანტს, მსახიობს, მომღერალს, ცნობილ მეგოლფეს – ჰოუპს მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდის ყველა პრეზიდენტი აჯილდოვებდა იმ დამსახურებებისთვის, რაც მას შოუბიზნესში მიუძღოდა.

**3. ჩარლზ ბრონსონი:** გარდაიცვალა 30 აგვისტოს, 81 წლის ასაკში.

ბრონსონი პენსილვანიაში, მეშახტის ოჯახში დაიბადა, ჰყავდა 14 და-ძმა. მისი ვარსკვლავი ჰოლივუდში "დიდი გაქცევის" გამოსვლის შემდეგ ამობრწყინდა. მაშინ ბრონსონი 39 წლის იყო. თუმცა, ასაკის მიუხედვად ბრონსონი ამერიკული კინოს ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი "მაგარი ბიჭი" მალევე გახდა.

**4. ჯონი კეში:** გარდაიცვალა 12 სექტემბერს, 71 წლის ასაკში.

არკანზასში გატარებული ღარიბული ბავშვობის შემდეგ კეში ქანთრის ყველაზე ცნობილი შემსრულებელი გახდა. "კაცი შავში" იმიჯის მიღმა იდგა ყველასაგან პატივცემული მუსიკოსი და სიმღერების ავტორი, რომელმაც 48 ჰიტი-სინგლი გამოუშვა და 11 "გრემი" მოიპოვა.

**5. მორის გიბი:** გარდაიცვალა 12 იანვარს, 53 წლის ასაკში.

გიბმა შეძლო, დაეძლია ნარკოტიკებისა და ალკოჰოლის პრობლემები და პოპვარსკვლავის სტატუსი 40 წლის განმავლობაში შეინარჩუნა. "ბი-ჯიზ"-ი – მორისი, მისი ტყუპის ცალი რობინი და უფროსი ძმა ბერი – ყველა დროის ყველაზე მეტად გაყიდული შემსრულებლების ხუთეულში შედის.

**6. იდი ემინი:** გარდაიცვალა 16 აგვისტოს, 78 წლის ასაკში.

უგანდას სისხლიანი დიქტატორი, რომლის მიერ განხორციელებულ ტერორსაც 400 ათასი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა. რაც არ უნდა ირონიული იყოს, თავად ემინი საუდის არაბეთში, საავადმყოფოს ოთახის ძალზე მშვიდ გარემოში გარდაიცვალა. საუდის არაბეთში ის 1979 წლიდან – უგანდიდან გაქცევის შემდეგ ცხოვრობდა.

**7. ჯონ პოლ გეტი:** გარდაიცვალა 17 აპრილს, 70 წლის ასაკში.

წარმოშობით ამერიკელმა მილიარდერმა ფილანტროპისტმა გეტიმ თითქმის ყველაფრის ყიდვა შეძლო, ბედნიერების გარდა. ის ხან ოჯახური ქიშპობით იტანჯებოდა, ხან გატაცებული შვილის გამოხსნას ცდილობდა, ხანაც – ნარკომანიის პრობლემა ჰქონდა. სიცოცხლის ბოლო წლებში მან ქველმოქმედებისთვის 100 მილიონ გირვანქა სტერლინგზე მეტი გასცა და ბრიტანეთში, თავის მეორე სამშობლოში, რაინდის საპატიო ტიტულიც მიიღო.

**8. ნინა სიმონე:** გარდაიცვალა 21 აპრილს, 70 წლის ასაკში.

სოულის დედოფალი და სამოქალაქო უფლებების აქტიური დამცველი. ჯაზისა და ბლუზის სახელგანთქმული მომღერალი. ცნობილი ინტერპრეტატორი, პიანისტი და კომპოზიტორი.

**9. ჰარდი ემისი:** გარდაიცვალა 5 მარტს, 93 წლის ასაკში.

დიზაინერი, რომელიც მთელი 50 წლის განმავლობაში დედოფალ ელიზაბეტ მეორისთვის კერავდა კაბებს. 80 წლის იყო, როდესაც ღიად აკრიტიკებდა ახალგაზრდა ბრიტანელ დიზაინერებს.

**10. გრეგორი პეკი:** გარდაიცვალა 12 ივნისს, 87 წლის ასაკში.

დიდი ეკრანის ყველაზე ცნობილი სახე, ყველაზე შთამბეჭდავი გმირების შემქმნელი. თუმცა, ის ერთადერთი "ოსკარის" მფლობელია, რომელიც ფილმისთვის "ნუ მოკლავ ჯაფარას" მოიპოვა. გრეგორი პეკი ცნობილი იყო თავისი ლიბერალური იდეალებითა და საქველმოქმედო საქმიანობითაც.

**11. კეტრინ ჰეპბერნი:** გარდაიცვალა 29 ივნისს, 96 წლის ასაკში.

კინოეკრანის ლეგენდა, ოთხი "ოსკარის" მფლობელი ქალბატონი თითქმის 70 წლის განმავლობაში თამაშობდა ფილმებში. პარალელურად ის თეატრის სცენებზეც ხშირად ჩნდებოდა. ჰეპბერნი არასდროს ყოფილა დაქორწინებული, თუმცა, 27 წლის განმავლობაში ჰქონდა დიდი რომანი სპენსერ ტრეისისთან. მასთან ერთად ის ცხრა ფილმში თამაშობს.

**12. ბარი ვაიტი:** გარდაიცვალა 4 ივლისს, 59 წლის ასაკში.

მის სასიყვარულო სიმღერებსა და ღრმა, ხავერდოვან ხმას მთელი მსოფლიო ცნობს. მიუხედავად იმისა, რომ თვითონ არც ერთი სიმღერა არ დაუწერია, გაყიდული აქვს 100 მილიონზე მეტი ჩანაწერი. მისი ხმით აღფრთოვანებულმა ერთმა მსმენელმა თქვა: შოკოლადის ნამცხვარს რომ სიმღერა შეეძლოს, ალბათ, ასე იმღერებდა".

## სკანვორდი




## TV პროგრამა

31 დეკემბერი

### რუსთავი - 2

**07.00** დილა მშვიდობისა **09.30** მხ. ფილმი "სანტა კლაუსი" **11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00** კურიერი **11.10** მხ. ფილმი "სანტა კლაუსი" **11.40** მხ. ფილმი "საკარნავალო ღამე" **13.30** მხ. ფილმი "შრეკი" **16.10** ა. ვივალდი "წელიწადის დროები" (შემოდგომა) **16.25** მხ. ფილმი "ბედის ირონია ანუ გაამოთ" **17.00, 18.00, 21.00** კურიერი **17.10** მხ. ფილმი "ბედის ირონია ანუ გაამოთ" **19.30** მხ. ფილმი "თოჯინები იცინიან" **22.00** გოგოების შოუ **23.30** საახალწლო კონცერტი რესპუბლიკის მოედნიდან **02.00** კონცერტი "ბონი ემი" **02.40** ფილმი კონცერტი "ტინა ტერნერი"

### პირველი არხი

**07.30** ალიონი **09.45** მულტსერიალი "ახალი თოვლის ბაბუა" **10.10** კონცერტი **10.35** მხ. ფილმი "შესანიშნავი" **12.00, 15.00, 20.00** მოამბე **12.15** ტელესერიალი "სოლედადი" **13.00** ნაშუადღევს **14.00** მოამბე ინგლ. ენაზე **14.05** დოკ. ფილმი "მულენ-რუჟი" **15.15** არჩევნები **17.00** საქართველო, დრო, მოვლენები **17.30** საქართველო არის ესე **18.00** ეკონომიქსი **18.45** "საახალწლო" **19.40** "ბაბილინა" **21.00** ტელეთამაში "იმღერე რამე" **21.35** კრიმინალური ქრონიკა **22.30** "საახალწლო" **03.30** მხ. ფილმი "რაც არ გერგება არ შეგერგება"

### პირველი სტერეო

**08.00** მუსიკა **09.00** ტოროლა **12.00** ფილმი **14.00** მუსიკა **16.00** ფილმი "ჯადოქარი" მთ.რ-ში ა. აბდულოვი, ა. იაკოვლევა. **18.00, 19.15** ქართული მუსიკა **19.00, 20.00, 21.00, 22.00** ინფორმატორი **19.30, 20.15** ვიდეორადიო **20.50** ათი ლექსი **21.15** პროფათეული **22.35** პაპარაცი **23.00** "ბრავო" "თქვენ სახელზე წერილია" მთ.რ-ში მეგ რაიანი, ტომ ჰენკსი. **00.00** საახალწლო გასართობი პროგრამა

### მზე

**09.00** მზის საახალწლო სერენადები **09.30** მულტფილმი "წაღებულნი" მე-2 ნ. **11.00** მულტფილმი "ფიფქია და შვიდი ჯუჯა" **13.30** საბ. მხ. ფილმი "კატები და ძაღლები" **14.00, 17.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **14.10** მხ. ფილმი "მამაკაცები შავებში" (ტომი ლი ჯონსი, უილ სმიტი) **16.00** მხ. ფილმი "მამაკაცები შავებში-2" **18.00** მხ. ფილმი "ბლეფი" (ადრიანო ჩელენტანო) **20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **23.00** პირდაპირი ჩართვა რუსთაველის გამზირიდან **00.20** საახალწლო კონცერტი რესპუბლიკის მოედნიდან

### მეორე არხი

**19.00** "მოამბე" მეორე არხზე **19.10** მულტფილმი "თოვლის კაცი ფოსტალიონი" **19.35** ორატორი **19.50** ბენი ჰილი **20.05** არქივიდან "მეტეხის ჩრდილში" **20.40** ვარსკვლავები გვამცნობენ **21.00** მხ. ფილმი "მზე შემოდგომისა" **22.30** საახალწლო

### კავკასია

**12.00** მხ. ფილმი "მულენ რუ:ი" **14.10** ქართ. მხ. ფილმი "ჩემი საყვარელი ძვირფასი ბაბუ" **16.10** მუსიკა **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **17.15** მულტფილმი "მეფე ლომი" **19.20** მულტფილმები **23.00** საახალწლო პროგრამა

### იბერია

**08.00** ანონსი **08.05** დიალოგი **10.00** დოკ. ფილმი **11.00** მხ. ფილმი "ქარწაღებულნი" 2ს. **12.50, 14.50, 19.30, 23.30, 01.05** მუსიკა **13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00, 22.45** ახალი ამბები **13.10, 17.30** მულტსერიალი "კაპიტანი სიმიანი და კოსმიური მაიმუნები" **13.30, 18.00** დოკ. ფილმი **15.15** მხ. ფილმი **18.45** ბუნების ფერები **19.45** გადაცემა - მურადა **20.00** დოკ. ფილმი **21.00** კონცერტი -"დაიმონთსი" **23.00** საახალწლო კონცერტი **01.30** ტელე სინე ვიდეო **02.15** კონცერტი

### მეცხრე არხი

**08.00** პროგრამა "დილა" **10.00, 14.30, 17.30, 20.30, 00.00** დღის ამბები **10.15, 13.35, 17.50, 22.10** მუსიკა **10.30** სერიალი "მოჯადოება" **11.30** მხ. ფილმი "მედოლეთა მწკრივი" **13.15** "ცხელი ცხრიანი" **14.00** დოკ. ფილმი "ცირკის ხელოვნება" მე-2ნ. **14.50** "ევროპის სტადიონებზე" **15.10** მხ. ფილმი "სათამაშო" **17.00** მხ. სერიალი "სამოდელო სკოლა" **17.50** ტელემეტრი **18.00** მულტსერიალი "ურჩხულთა კორპორაცია" 1-ლი ნ. **18.30** მუს. ფილმი "ეს სანახაობაა" მე-3 ნ. **19.00** სერიალი "ზამთრის ალუბალი" მე-3 ს. **19.35** დოკ. ფილმი "ივ სენ ლორანი" **20.05** "ევროპის სტადიონებზე" **20.20** მუსიკა **22.00** მარიონ. ფილიმ "ყოჩაღები" **22.25** საახალწლო ვალსები **22.30** საახალწლო "ღამის მატარებელი" **00.30** საახალწლო "ოლიმპი" **01.15** პირდაპირი ჩართვა რესპუბლიკის მოედნიდან **03.20** მხ. ფილმი "შოუს გოგონები"

### იმედი

**07.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 17.00** ქრონიკა **07.15, 13.15, 04.30** იმედის მელოდიები **07.45** "იმედის" დილა **10.05** სერიალი "სიყვარული უდაბნოში" **11.05** მხ. ფილმი "მთამსვლელი" **13.30** "ლარის მახე" **14.05** ქართ. ფილმები "ჯერ შეიცადეთ", "რეისებს შორის" **15.15** მხ. ფილმი "ბედის ირონია ანუ გაამოთ" **19.00** ქართ. სერიალი "ყავა და ლუდი" 1-2 ს. **21.00** ქრონიკა **22.15** "საახალწლო" 1-ლი ნაწ. **22.30** საახალწლო კონცერტი-2004 (პირდაპირი რეპორტაჟი) **00.10** "საახალწლო" 1-ლი ნაწ. (გაგრძ.) **01.00** საახალწლო კონცერტი-2004 (პირდაპირი რეპორტაჟი) **03.00** მხ. ფილმი "შესანიშნავი"

### არხი

**08.00, 03.00** საინფორმაციო დაიჯესტი **08.40** მუსიკა **09.00, 12.00, 16.00** საინფ. გამოშვება "დღეს" **09.20, 12.10, 16.10** საინფ. გამოშვება "ნოვოსტი" **09.20** მულტსერიალი "ლილო და სტიჩი" **10.45** მუსიკა **11.00** კომედია "გამარჯობათ, მე თქვენი დეიდა ვარ!" **13.10** მუსიკა **13.20** კომედია "რა უნდა ქალებს" **14.00, 18.00** საინფორმაციო დაიჯესტი **14.05** კომედია "რა უნდა ქალებს" (გაგრძ.) **15.25** მუსიკა **16.20** მელოდრამა "მოდი ჩემს სანახავად" **18.05** "ექსკლუზივი" **19.00, 22.00** საინფ. გამოშვება "დღეს" **19.15, 22.30** საინფ. გამოშვება "ნოვოსტი" **19.30** კომედია "ოპერაცია ახალი წელი" **21.20** საახალწლო გადაცემა **23.00** საინფ. გამოშვება ინგლისურ და ფრანგულ ენებზე **23.10** საახალწლო პროგრამა **03.00** Звезды эстрады поздравляютЪ 1

### OPT

**07.00** "Доброе утро!" **10.00, 13.00, 16.00, 19.00** Новости **10.20 Детектив "Участок" 11.30, 20.000 Сериал "Земля любви, земля надежды" 12.20** "Ералаш" **12.40** Дисней-клуб: "Чудеса на виражах". **13.20 Комедия "Берегись автомобиля" 15.00** Новогодний салат "Города женщин" **16.20 Комедия "Здравствуй, дедушка Мороз!" 17.50** "Большая стирка". Л. Гурченко **19.30** "Новые русские бабки" **20.20 Комедия "Иван Васильевич меняет профессию" 22.00** "Время". Итоги года **22.40** "Непоследний герой". Новогодний вечер с М. Галкиным **00.50** Новогоднее обращение Президента В. Путина

### PTP

**06.00** "Доброе утро, Россия!" **09.45 Мелодрама "Четвертое желание", 2 с. 11.25** Маленькие комедии "Ха" **11.40** Мультфильмы "Пиф-паф-ой-ой-ой!", "Новогодняя песенка Деда Мороза" **12.00, 15.00, 21.00** "Вести" **12.30, 21.10** "Местное время. Вести - Москва" **12.50 Фильм-сказка "Морозко" 14.05** "Аншлаг" **15.10 Комедия "Карнавальная ночь" 16.35** Концерт М. Задорнова "С наступающим!" **17.20 Комедия "Укрощение строптивого" 19.05** Новогодний "Кубок юмора-2003" **21.20** "Новогодний голубой огонек на Шаболовке-2004" **22.10** Юбилейный концерт В. Винокура **00.50** Новогоднее обращение Президента В. Путина **01.00** "Новогодний голубой огонек на Шаболовке-2004" **02.50** Муз. фильм "Снежная королева"

### НТВ

**7.00** "Утро на НТВ" **10.00** Мультфильм "Двенадцать месяцев" **11.00** "Сегодня утром" **11.25** "Кулинарный поединок". А.Стоцкая - Б.Хвошнянский **12.20** Ток-шоу "Страна советов" **13.00, 17.00, 20.00** "Сегодня" **13.25** "Все сразу!" Новогодний выпуск **14.05** "Женский взгляд". Б. Брыльска **14.45 Комедия "Ирония судьбы, или С легким паром!", 1-2 с. 19.10** "Собачья жизнь" с Л. Вайкуле **20.35** "Квартирный вопрос": сани накрыты, лыжи поданы!" Новогодний выпуск **21.40** Муз. фильм "Безумный день, или Женитьба Фигаро" **00.50** Новогоднее обращение Президента В. Путина **01.00** "Дедушки по вызову, или Посторонним вход... разрешен". Новогодняя ночь на НТВ




თბილისის სააღსრულებლო ბიუროს სასამართლო აღმასრულებელი იაგო ათაბეგაშვილი 2004 წლის 08 იანვარს აცხადებს განმეორებით იძულებით აუქციონს ბადრი ბახტაძის სახელზე რიცხულ საცხოვრებელ ბინაზე მდებარე: ქ. თბილისი, შარტავას ქ. 36. ბინა 7.

აუქციონზე გამოტანილი საცხოვრებელი ბინა განლაგებულია ოთხსართულიანი სახლის მეოთხე სართულზე, ოთხოთახიანი ბინა გადაკეთებულია სამოთახიანად, საცხოვრებელი ფართია 72 კვ.მ. ბინა გარემონტებულია, იატაკი ძვირფასი პარკეტისაა,. ბინას აქვს დამხმარე სარდაფი საერთო ფართით 25 კვ.მ.

აუქციონზე გამოტანილი იპოთეკით დატვირთული საცხოვრებელი ბინის საწყისი ფასია 50 000 (ორმოცდაათიათასი) აშშ დოლარი.

ყველა სხვა პირი, რომელთაც გააჩნიათ უფლება აღნიშნულ ქონებაზე, ვალდებულნი არიან ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებანი წარმოადგინონ აუქციონის დაწყებამდე.

უძრავი ქონების შეძენის მსურველებმა აუქციონზე უნდა წარმოადგინონ გარანტია ბინის ფასის 10 %-ის ოდენობით, ხოლო დარჩენილი თანხა სააღსრულებლო მოსაკრებლის 7 %-ის დამატებით, დაფაროს ერთი კვირის განმავლობაში.

აუქციონი ჩატარდება 2004 წლის 08 იანვარს დღის 11:00 საათზე თბილისის სააღსრულებლო ბიუროში, მისამართია: ქ. თბილისის ვაჟა-ფშაველას გამზ. მე-3 კვ. მე-8ა კორპუსი.

ფონდი "ღია საზოგადოება - საქართველო"
OPEN SOCIETY - GEORGIA FOUNDATION

საგამომცემლო მთარგმნელობითი პროგრამა

ფონდის "ღია საზოგადოება საქართველო" საგამომცემლო მთარგმნელობითი პროგრამა, ფონდი Next Page Foundation-ის და ბუდაპეშტის ღია საზოგადოების ინსტიტუტის საგამომცემლო ცენტრის დახმარებით, აცხადებს კონკურსს

სასწავლო-სამეცნიერო ლიტერატურის თარგმნასა და გამოცემაზე

შემდეგ პრიორიტეტულ სფეროებში:

- პოლიტიკური მეცნიერებები;
- საერთაშორისო ურთიერთობები;
- სოციოლოგია;
- ეკონომიკა.

კონკურსი ჩატარდება მხოლოდ იმ წიგნების თარგმნასა და გამოცემაზე, რომლებიც მოცემულია რეკომენდირებული წიგნების სიაში. კონკურსზე განაცხადის წარდგენა შეუძლიათ მხოლოდ გამომცემლობებს.

კონკურსზე განაცხადის წარდგენის ბოლო ვადაა: 2004 წლის 5 თებერვალი

კონსულტაციები პროექტის შესახებ შედგება ფონდის ოფისში, ყოველ სამშაბათსა და ხუთშაბათს 16:00 სთ-ზე.

მისამართი: თ. ჭოველიძის ქ. №10. თბილისი 0108
ტელ: 25 04 63
93 89 99
25 05 92
ფაქსი: 29 10 52
www.osgf.ge



# ადამიანი - სამარკო ნიშანი

ბრიტანელი პოპ-ვარსკვლავი რობი ვილიამსი საკუთარ თავს საფირმო ნიშნად აცხადებს. ამიერიდან მას სრული უფლება აქვს, საკუთარი სახელი კომპაქტ-დისკებს, ვიდეოკასეტებს თუ ცხვირსახოცებს დააწეროს. ასეთი გამოცდილება მადონას და დევიდ ბექჰემს უკვე ჰქონდათ, სხვა თუ არაფერი, ეს ფულის მომტანი წამოწყებაა – სამარკო ნიშნის უკანონო გამოყენება მისი მფლობელის უფლებების შეზღუდვის ტოლფასია.

დიდ ბრიტანეთში სამარკო ნიშნის რეგისტრირება 280 ევრო ჯდება. მისი განახლება მხოლოდ ათი წლის შემდეგ უნდა მოხდეს.













თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.